

# საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე

2013, №4

## მტკიცებულება

საძიებელი

**სასამართლოს მიერ დამატებითი**

მტკიცებულებების გამოთხოვა

მტკიცებულებების შეგროვება სასამართლოს მიერ

სააპელაციო სასამართლოში ახალი

მტკიცებულებების წარდგენა

**მტკიცების ტვირთი**

მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის

განაწილების თავისებურებანი

მტკიცების ტვირთი

მტკიცების ტვირთის განაწილება

**მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევა**

**მტკიცებულებების სრულყოფილად**

გამოკვლევის აუცილებლობა

მტკიცებულებების არასრულყოფილად

გამოკვლევა სააპელაციო სასამართლოს მიერ

მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევა

მტკიცებულებების სრულყოფილად

გამოკვლევის ვალდებულება

მტკიცებულებების სრულყოფილად

გამოკვლევა

მტკიცებულებათა დადგენისა და

შეფასების კრიტერიუმები

მტკიცებულებების სრულყოფილად

გამოკვლევა და შეფასება

მტკიცებულებების არასათანადო გამოკვლევა



ში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესით“ დადგენილი მოთხოვნები.

სასამართლომ განმარტა, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით და საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესით“ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის განხილვისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მოთხოვნის შესაბამისობა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმის პირობებთან და მიწის განკარგვის სტრატეგიულ გეგმასთან, რომლის განსაზღვრის შემთხვევაში კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების ან საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ. სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში ს. დ-ქმ მიმართა კომისიას განცხადებით და მოითხოვა თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, თუმცა ადმინისტრაციულმა ორგანომ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნაზე მოსარჩელეს უარი უთხრა იმ მოტივით, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან არ დასტურდებოდა მიწის ნაკვეთის ფლობისა და სარგებლობის ფაქტი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ კომისიამ სადავო მიწის ნაკვეთზე იმსჯელა, როგორც მფლობელობასა და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მაშინ როდესაც სადავო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომისიას უნდა განეხილა საკითხი, გამოეკვლია გარემოებები და დაედგინა ს. დ-ქმ მიერ მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების ფაქტი, ამასთან სივრცით-ტერიტორიული დაგეგმის პირობებთან და მიწის განკარგვის სტრატეგიულ გეგმასთან მოთხოვნის შესაბამისობის განსაზღვრის შემდეგ საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან უნდა მიეღო ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება, რაც მოპასუხე კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ ყოფილა განხორციელებული. სასამართლომ აღნიშნა, რომ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ საკითხის განხილვისას კომისიას მინიჭებული ჰქონდა დისკრეტული უფლებამოსილება, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ავალბდა კომისიას ეს უფლებამოსილება განეხორციელებინა კანონით დადგენილ ფარგლებში და არ ათავისუფლებდა მას კანონით დადგენილი ვალდებულებებისაგან – დაესაბუთებინა მის მიერ დისკრეტული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩათვალა, რომ ს. დ-ქმ განცხადების განხილვისას ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა გამოეკვლია და ემსჯელა დაინტერესებულ პირის მოთხოვნა აკმაყოფილებდა თუ არა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული წესით თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის განსაზღვრულ პირობებს, კერძოდ, განცხადებისათვის დართული დოკუმენტებით დასტურდებოდა თუ არა მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების ფაქტი; ხოლო ასეთის არარსებობის პირობებში კომისია ვალდებული იყო დაესაბუთებინა თუ რის საფუძველზე მივიდა ამგვარ დასკვნამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 თებერვლის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ს. დ-ქმ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მაისის განჩინებით ს. დ-ქმ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 თებერვლის განჩინება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მაისის განჩინებით ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ არასრულად განმარტა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი. კერძოდ, ამ კანონის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების

აღიარების მოთხოვნის დასადასტურებლად დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს მინის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტები. მინის თვითნებურად დაკავების დოკუმენტების დეფინიციას კი იძლევა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულება. აღნიშნული ბრძანებულების მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მინის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტი არის ცნობადახსიათება, მინის თვითნებურად დაკავების დამადასტურებელი სასამართლოს აქტი, ორთოფოტო (აეროფოტოგადაღება), აბონენტად აყვანის დოკუმენტი, გადახდის ქვითარი ან/და სხვა დოკუმენტი.

კასატორი მიუთითებს, რომ კანონმდებელი სავალდებულოდ მიიჩნევს „ან/და სხვა დოკუმენტების“ წარმოდგენას, რომელიც დაადასტურებს მინის ნაკვეთის ფლობისა და სარგებლობის ფაქტს. საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ განმცხადებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით ვერ დადასტურდა მინის ნაკვეთის ფლობისა და სარგებლობის ფაქტი, რაც საფუძვლად დაედო მისთვის მინის დაკანონებაზე უარის თქმას.

კასატორი აღნიშნავს, რომ მინის თვითნებურად დაკავების ფაქტი უნდა არსებობდეს 2007 წლის პირველ იანვრამდე და აღნიშნული განმცხადებელმა უნდა დაადასტუროს წარმოდგენილი დოკუმენტაციით. თუკი წარმოდგენილი დოკუმენტაცია ვერ ადასტურებს პირის მიერ 2007 წლის პირველ იანვრამდე მინის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების ფაქტს, თავისთავად კომისია მიდის იმ დასკვნამდე, რომ შესაბამისად პირის მიერ ვერ დასტურდება მინის ფლობა და სარგებლობა. გადაწყვეტილებაში კი აისახება ერთ-ერთი და კომისიას არჩევანის საშუალება ეძლევა. ამიტომ კასატორი არ იზიარებს, სასამართლოს მითითებას იმის თაობაზე, რომ კომისიას არ უნდა ემსჯელა მინის ნაკვეთის ფლობის და სარგებლობის საკითხებზე, არამედ უნდა შეეფასებინა და დაედგინა მინის ნაკვეთის ფლობის თვითნებურად დაკავების ფაქტი.

კასატორი აღნიშნავს, თუკი განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ იძლევა მის მიერ სადავო მინის ნაკვეთის ფლობისა და სარგებლობის თაობაზე დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, უკვე ზედმეტია სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პირობებთან და მინის განკარგვის სტრატეგიული გეგმისათვის მოთხოვნის შესაბამისობაზე მსჯელობა.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გაიმეორებათა გამო:

საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სწორად გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი; საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ს. დ-ძის განცხადების განხილვისას ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს და იმსჯელოს დაინტერესებული პირის მოთხოვნა აკმაყოფილებს თუ არა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული წესით თვითნებურად დაკავებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის განსაზღვრულ პირობებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არ დაასაბუთა, რატომ იყო შეუძლებელი საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულების შემოწმებისა და შეფასების შემდეგ თვითონ გამოეკვლია საქმის გარემოებები და სადავო საკითხის არსებითად გადწყვეტით, საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილება მიეღო.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს, პირველ ყოვლისა, თვითონ უნდა დაედგინა შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები, გამოეკვლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით განმტკიცებულ ინკვიზიციურობის პრინციპზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამარ-

თლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო პალატის განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ჩაითვალოს

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### და ა დ გ ი ნ ა:

1. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საკასაციო საჩივარი;

2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 მაისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### მტკიცებულებების შებროშება სასამართლოს მიერ

#### ბანჩინება

№ბს-242-232(კ-10) 27 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, მოქმედების განხორციელების დავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 2 ივლისს ფოთის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა გ. პ-აკის წარმომადგენელმა ნ. ჯ-ძემ, მოპასუხეების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 1 ივნისისა და ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, ქ. ფოთში ... №135-ში (141) მდებარე უძრავ ქონებაზე გ. პ-აკის საკუთრების უფლების აღიარება და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის დევალდებულება მოახდინოს გ. პ-აკის საკუთრებად ქ. ფოთში, ... №135-ში (141) მდებარე უძრავი ქონების დარეგისტრირება. მოსარჩელე ასევე ითხოვდა მის მიერ გადახდილი სარეგისტრაციო თანხის გადახდილად ჩათვლას.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 2009 წლის 18 მაისს განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა ქ. ფოთში, ... №141-ში (ყოფილი №135) მდებარე უძრავი ქონების მის სახელზე დარეგისტრირება. მოსარჩელემ განცხადებას თან დაურთო სამკვიდრო მონმობა და ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს მიერ გაცემული 1969 წლის 24 თებერვალის ცნობა.

2009 წლის 19 მაისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანებით დამტკიცებული „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის 62-ე მუხლისა და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, გ. პ-აკს დაევალა უძრავ ნივთზე უფლების დამდგენი დოკუმენტის წარდგენა. აღნიშნული გადაწყვეტილება გ. პ-აკის წარმომადგენელმა გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მიუთითა, რომ ვერ ხერხდებოდა დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა, ვინაიდან, ქ. ფოთის ტექნიკური არქივი განადგურებული იყო ხანძრის გამო. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით გ. პ-აკს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძველით, რომ მის მიერ ვერ იქნა წარდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით გ. პ-აკის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებდა, რომ „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანების მე-10 მუხლის თანახმად, რეგისტრაცია წარმოებს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის, საკადასტრო მონაცემების და სხვა დოკუმენტაციის საფუძველზე. ამავე ბრძანების მეორე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი არის ნორმატიული ან/და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სასამართლო (საარბიტრაჟო) აქტი, რომელიც წარმოშობს უძრავ ნივთზე უფლების, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილებების და მათი შეწყვეტის რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას.

სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან მოსარჩელემ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურს ვერ წარუდგინა „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანების მეორე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების დამადასტურებელი რომელიმე დოკუმენტი, მოპასუხეთა მხრიდან მას სწორად ეთქვა უარი უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე და არ არსებობდა გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობის საფუძველი.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, მოწმეების ჩვენებები, სანოტარო აქტი და 1969 წლის 24 თებერვალს გაცემული ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს ცნობა, არ წარმოადგენდა საკმარის მტკიცებულებას იმისათვის, რომ აღიარებული ყოფილიყო სადავო ქონებაზე გ. პ-აკის საკუთრების უფლება.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. პ-აკის წარმომადგენელმა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 დეკემბრის განჩინებით გ. პ-აკის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 1 ივნისისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებები მიღებულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ შეიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლით დადგენილ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძველებს.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. პ-აკმა.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანების მეორე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს სხვა სამართლებრივი აქტი, როგორც სახის აქტსაც კასატორის მოსაზრებით, წარმოადგენდა სწორედ ტექნიკური აღრიცხვის ცნობა, რაც იძლეოდა უძრავი ქონების რეგისტრაციაში გატარების საფუძველს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 დეკემბრის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. პ-აკის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო, მართალია, ნორმათა შეფარდების ნაწილში იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებებს და თვლის, რომ ამ თვალსაზრისით არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, მაგრამ იმავდროულად მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიდგომა დავის საგნისადმი ატარებს ფორმალურ ხასიათს, საკითხი არასრულყოფილადაა გამოკვლეული და არ არის შეფასებული იმ შესაძლო სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების საკითხი, რაც შესაძლებელს გახდის მოსარჩელის თავდაპირველ უფლებებში აღდგენას.

საქართველოს კონსტიტუციის 21.1 მუხლის შესაბამისად, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით განმტკიცებული საკუთრების უფლება არის, ერთი მხრივ, საკუთრების უფლების, როგორც ინსტიტუტის გარანტია და მეორე მხრივ, პიროვნების უფლების გარანტია.

საკუთრების უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს პირის უფლებების უარყოფას მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მას საკუთარი ბრალის გარეშე არ შეუძლია წარმოადგინოს უფლების დამდგენი დოკუმენტი. უდავო და მხარეთათვის ცნობილ ფაქტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ქ. ფოთის ტექბიუროს არქივში დაცული მასალები განადგურებულია მომხდარი ხანძრის გამო. ასეთ პირობებში საკასაციო სასამართლო თითოეული მსგავსი დავის მართებულად გადანყვეტისათვის საჭიროდ მიიჩნევს ყველა არსებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებასა და შეფასებას, რამაც ერთობლიობაში უდავო უნდა გახადოს მოსარჩელის სამართლებრივი კავშირი მოთხოვნილი ნივთისადმი.

საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული მოსაზრების განვითარების საფუძველს აძლევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებები, რის შედეგადაც იურიდიული ფაქტის დადგენის გზით მსგავსი უფლებების განსაზღვრა შეიზღუდა საკანონმდებლო დონეზე. ასეთ პირობებში საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, მოსარჩელეს მიეცეს შესაძლებლობა მის ხელთ არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, საქმის არსებითად განხილვის გზით დაადასტუროს მოთხოვნის საფუძვლიანობა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105.2 მუხლის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შემდეგაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო ასევე მოიხმობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის დებულებებს, რომლის შესაბამისადაც, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს ან გარდაცვლილი გ. გ. ძე დ-ოვის კავშირი უძრავი ნივთისადმი, ვინ ცხოვრობს მითითებულ სახლში ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდგომ, ხომ არ მომხდარა აღნიშნული სახლის გასხვისება და არის თუ არა სახლი აღრიცხული მე-3 პირის საკუთრებაში. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მითითებული გარემოებების დადგენის მიზნით სასამართლომ უნდა გამოიყენოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ყველა შესაძლო მექანიზმი.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს სათანადო შეფასება მიეცეს საქმეში დაცულ ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს 1969 წლის 24 თებერვლის №152 ცნობას, რომლითაც ირკვევა, რომ მოქ. გ. გ. ძე დ-ოვის ფოთში გააჩნდა საკუთარი საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო მიწის ნაკვეთი; გამოთხოვილი და დადგენილი უნდა იქნას არსებობს თუ არა აღნიშნულ ბინასა და მიწის ნაკვეთზე შესაბამისი გადასახადების გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებები; წარმოდგენილი და გაანალიზებული უნდა იყოს საბინაო წიგნი, რომელიც სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას დაადგინოს ან გარდაცვლილი გ. გ. ძე დ-ოვის კავშირი საცხოვრებელი სახლისადმი, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ამ და სხვა სათანადო მტკიცებულებების გამოკვლევის გარეშე შეუძლებელი იქნება არსებითად სწორი გადანყვეტილების მიღება.

საკასაციო სასამართლო ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლომ შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მისცეს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის ქმედებას, კერძოდ გააჩნდა თუ არა ამ უკანასკნელს სათანადო უფლებამოსილება ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ამ გარემოებებზე დაყრდნობით მიეღო გადანყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს რა საქმის გარემოებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას, იმავდროულად აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ თანაბარმნიშვნელოვნად უნდა უზრუნველყოს როგორც პირის უფლებების გარანტირება, ისე მოთხოვნის კანონიერება და წინამდებარე სარჩელი დააკმაყოფილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე უდავო გახდება კასატორისა და მისი მამკვიდრებლის უფლებრივი კავშირი მოთხოვნილი ნივთისადმი.

ზემოაღნიშნული გარემოებების დადგენა-გამოკვლევის მიზნით საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. გ. პ-აკის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 16 დეკემბრის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სახელმწიფო ბაჟის მხარეთა შორის გადანაწილების საკითხი გადანყვედეს საქმეზე საბოლოო გადანყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# სააკადემიური სასამართლოში ახალი მტკიცებულებების წარდგენა

## ბანკინება

№ბს-815-789(კ-10)

12 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)  
ნ. ქადაგიძე  
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 14 ნოემბერს შპს „...“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიმართ.

მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებით მოითხოვა, რომ ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 24 დეკემბრის №1996 ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 25 დეკემბრის №1490 საგადასახადო მოთხოვნა შპს „...“ 399 482 ლარით დაჯარიმების ნაწილში; ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 18 დეკემბრის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღწერის ოქმი შემდეგ ნაწილებში: სამეურნეო ოპერაციის დამთავრებიდან 45 დღის ვადაში საბუღალტრო დოკუმენტებში აღურიცხავი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღწერის ოქმის დანართი №1, ძირითადი საშუალებები – სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღწერის ოქმი №2, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღწერის ოქმი – დანართი №2, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგების აქტი – დანართი №3-ის შესაბამისად დაფიქსირებული ზედმეტობა – 399 482 ლარი; ძირითადი საშუალებების – სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღწერის ოქმი №2, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღწერის დანართი №2, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღწერის ოქმი – დანართი №2-ით დაფიქსირებული დანაკლისი 474 382 ლარის ოდენობით, რამაც გამოიწვია დღგ-ის ნაწილში კომპანიის გადასახადის გაზრდა 85 388 ლარით; ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 28 თებერვლის №358 ბრძანება და მისი საფუძვლის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის მიერ 2007 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით 2007 წლის 18 დეკემბერს შედგენილი ინვენტარიზაციის მასალების აქტის შედეგები იმ ნაწილში, რომელიც ეხება კომპანიაში დანაკლისის სახით 1 283 316,18 ლარის ოდენობის აქტივის აღიარებას, რამაც გამოიწვია დღგ-ის ნაწილში კომპანიის გადასახადის გაზრდა 84775 ლარით; ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის №358 ბრძანება; ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2008 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისი მუხლების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ 2007 წლის 11 აპრილს გამოიცა №337 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა „საგადასახადო ორგანოების მოთხოვნით სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“. საქალაქო სასამართლომ ინვენტარიზაციის ჩატარების წესის 3.1 მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ საწარმოში ინვენტარიზაციის დადგენილ ვადაში ჩატარებაზე, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეტანის სისრულესა და სიზუსტეზე, საინვენტარიზაციო აღწერებში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განმასხვავებელი ნიშნების (ტიპის, ხარისხის, ზომის და ა.შ.) სწორად შეტანაზე პასუხისმგებელი იყო საინვენტარიზაციო კომისია.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ინვენტარიზაციის ჩატარების წესის 3.21 მუხლის თანახმად, თუ მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ინვენტარიზაციის შემდეგ საინვენტარიზაციო აღწერებში შეამჩნევდა შეცდომებს, იგი ვალდებული იყო ამის შესახებ დაუყოვნებლივ (საწყობის, საკუჭნაოს, სექციის გახსნამდე) განეცხადებინა საინვენტარიზაციო კომისიისთვის, რომელიც შეამოწმებდა განცხადებაში დამონებული ფაქტებს და მათი აღმოჩენის შემთხვევაში გაასწორებდა დაშვებულ შეცდომებს. საქალაქო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების შედეგად მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიერ საინვენტარიზაციო კომისიისთვის მიმართვის ფაქტი ვერ დაადასტურა.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საინვენტარიზაციო კომისიის მიერ №2 საკარანტინო საწყობი არ იქნა აღწერილი. აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდე-



გოდ სასამართლომ აღნიშნა, რომ არც კომისიაში და არც სასამართლოში არ იქნა წარდგენილი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ კომისიამ ვერ შეძლო რომელიმე სათავსოში შესვლა ან სხვა რაიმე პირობამ შეუშალა ხელი ფასეულობების აღწერაში.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 20 ნოემბრის №260-მ, №261-მ, №263-მ ბრძანებებით და მის საფუძველზე, შპს „...“ თბილისის ფილიალის მიერ 2007 წლის 20 ნოემბრის №112/07 ბრძანებით საწარმოში უნდა ჩატარებულიყო სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია და შესაბამისად, კომისია უფლებამოსილი იყო შედარების აქტი შეედგინა სწორედ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღწერის ოქმის საფუძველზე. ამასთან, საწარმოს საინვენტარიზაციო კომისიის მიერ წარდგენილ იქნა 2007 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების აღწერის ოქმიც, რის საფუძველზე შედგენილ იქნა შედარების აქტი. ძირითადი საშუალებების საინვენტარიზაციო აღწერის ოქმის საფუძველზე შედგენილი შედარების აქტით საწარმოს ფინანსური საწესდები არ დარიცხვია და შესაბამისად, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან სამართლებრივ კავშირში არ იყო.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საგადასახადო მიზნებისათვის ინვენტარიზაციის მიზანს წარმოადგენდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღწერის მონაცემების ფაქტობრივ მდგომარეობასთან შედარების შემოწმება. საინვენტარიზაციო კომისიის მიერ მოხდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ფაქტიური აღწერა. კომისიის მიერ 2007 წლის 20 ნოემბრის მდგომარეობით აღწერილ იქნა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. აღწერის ოქმში შეტანილ იქნა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დასახელება, საზომი ერთეული, ერთეულის ფასი, მთლიანი თანხა. საინვენტარიზაციო კომისიის წევრების მიერ ხელმოწერილი საინვენტარიზაციო ოქმები გადაეცა საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირებს, რის საფუძველზეც შედგენილ იქნა შედარების აქტი, რომლითაც აისახა შედეგი, ანუ გამოვლინდა სხვაობა მატერიალური აღრიცხვის მონაცემებსა და ინვენტარიზაციით დადგენილ ფაქტიურ ნაშთს შორის.

საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მსჯელობა ინვენტარიზაციის მასალებით ზედმეტად აღიარებული 110 538 ლარის ღირებულების სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის – ეტიკეტების ჩამოწერის კანონიერების თაობაზეც.

საქმის მასალების საფუძველზე საქალაქო სასამართლომ დადგინდა, რომ შპს „...“ ჩატარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ზედმეტობა 399 482 ლარის ოდენობით, რაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის შესაბამისად, დაექვემდებარა სრულად დარიცხვას. ამასთან, მოსარჩელე გადასახადის დასაბეგრი ობიექტის აღრიცხვის წესის დარღვევის გამო, ამავე საკანონმდებლო აქტის 133-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დაჯარიმდა 1000 ლარით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

სააპელაციო წესით საქმის განხილვის სტადიაზე, აპელანტმა სასამართლოში წარმოადგინა სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ შპს „...“ შეიცვალა სახელწოდება და აიდიეს ბორჯომი საქართველო, შპს „...“ დაერქვა, შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ოქტომბრის საოქმო განჩინებით „...“, შპს „...“ დადგინდა იქნა შპს „...“ უფლებამონაცვლედ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 ნოემბრის განჩინებით „...“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა „...“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსთვის დაბრუნება მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ მის მიერ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს წარდგენილ იქნა ახალი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ 110538 ლარის ღირებულების ეტიკეტების ჩამოწერა მართლზომიერად განხორციელდა შესაბამისი კომისიისა და ქარხნის დირექტორის მიერ. ამდენად, ისინი ზედმეტობაში არ უნდა ასახულიყო. სააპელაციო სასამართლომ კი ისე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები, რომ აღნიშნულ მტკიცებულებას არ მისცა სამართლებრივი შეფასება.

კასატორი აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარი დასაშვებია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულ იქნა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით. კასატორის განმარტებით, აღნიშნულს წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის დარღვევა, რომლის მიხედვითაც, სააპელაციო სასამართლოში შესაძლოა წარდგენილ იქნეს ახალი ფაქტობრივი გარემოებები და ახალი მტკიცებულებები, თუ ეს გარემოებები და მტკიცებულებები საპატიო მიზეზით ვერ იქნა წარდგენილი პირველი ინსტანციის სასამართლოში. წინამდებარე საქმეზე კასატორმა (აპელანტმა) წარადგინა ახალი მტკიცებულება და მასთან დაკავშირებული ფაქტები სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს. ამასთან, ეს მტკიცებულება ვერ იქნებოდა წარდგენილი პირველი ინსტანციის სასა-

მართლოში, რადგან იგი ამ დროს არ არსებობდა. სააპელაციო სასამართლომ კი დაუსაბუთებლად თქვა უარი ხსენებული მტკიცებულების დაშვებაზე. ამასთან, იმ გარემოებაზეც მიუთითა, რომ მტკიცებულება, რომლის დაშვებასაც მხარე ითხოვდა და რომელიც ადმინისტრაციულ აქტს წარმოადგენდა, მის მიერ გასაჩივრდა, რის გამოც აღნიშნული აქტის მოქმედება შეჩერებული იყო. თუმცა კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ ხსენებული ადმინისტრაციული აქტი გასაჩივრებული იყო არა იმ ნაწილში, რომელზეც მხარე ახდენდა აპელირებას.

კასატორი იმ გარემოებაზეც მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დარღვევას, რომლებიც სასამართლოს უფლებას ანიჭებდა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით თავად შეეგროვებინა ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, კერძოდ, მოცემული საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებისათვის.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ სამართლებრივი შეფასება არ მისცა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს წარდგენილ ახალ მტკიცებულებას, რომელიც ადასტურებდა ეტიკეტების ჩამონერის მართლობიერებას კომპანიის მიერ, რაც სადავო საკითხს წარმოადგენდა, კერძოდ, იყო თუ არა კომისია და ქარხნის დირექტორი უფლებამოსილი ეტიკეტების გადარჩევა განხორციელებინა (შემდგომი უტილიზაციის მიზნით) კომპანიის სახელით და იყო თუ არა კომპანიის ქმედება – გადარჩეული ეტიკეტების ჩამონერა (რომელიც გადარჩევის აქტს ეფუძნებოდა), მართლობიერი.

კასატორმა ასევე მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმე განხილულ იქნა საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა. ამასთან, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

კასატორის განმარტებით, სანარმოში 2009 წლის 5 თებერვლიდან – 19 ივნისის ჩათვლით განხორციელდა გეგმური გასვლითი საგადასახადო შემონმება, რომელიც მოიცავდა 2004 წლიდან 2009 წლამდე პერიოდს. შემონმების შედეგად მიღებულ იქნა შემონმების აქტი (19.06.2009), მის საფუძველზე გამოიცა შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2009 წლის 16 ივლისის №319 ბრძანება და მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 2009 წლის 17 ივლისის №100 საგადასახადო მოთხოვნა. სწორედ ეს მტკიცებულებები არ მიიღო სააპელაციო სასამართლომ, თუმცა მათი წარდგენა სარჩელის აღძვრასა და საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას ვერ მოხდებოდა, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ გადაწყვეტილება მიიღო 2009 წლის 12 ივნისს, ხოლო საგადასახადო შემონმების აქტი (პირველი დოკუმენტი) დათარიღებულია 2009 წლის 19 ივნისით.

კასატორის განმარტებით, საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს შეიძლებოდა წარდგენილი ყოფილიყო, რაც განხორციელდა კიდევ, თუმცა სააპელაციო სასამართლომ არ დაუშვა ისინი და ვერ განმარტა, თუ რაში მდგომარეობდა მათი დაგვიანებით წარდგენის არასაპატიოობა მაშინ, როდესაც თავად მტკიცებულებებიდან ჩანდა, რომ ისინი შედგენილი იყო უფრო გვიან, ვიდრე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება იყო დათარიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებამი იქნა მიღებული „...“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განჩინებით „...“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის მიხედვითაც, სააპელაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამონმებს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ საქმეს განიხილავს, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ისე მათი სამარ-

თლებრივი შეფასების კუთხით. ამდენად, სააპელაციო სასამართლო საქმის გადასინჯვას ახდენს არა მხოლოდ საქმეში არსებული მასალების საფუძველზე, არამედ სააპელაციო სასამართლოში კანონით დადგენილი წესით წარდგენილი ახალი მტკიცებულებების საფუძველზეც, თუ მათი წარდგენა შეუძლებელი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს დაადგინოს ახალი ფაქტები, ხოლო საქმის მონაწილე პირებს უფლება აქვთ პირველ ინსტანციაში უკვე განხილულთან ერთად სააპელაციო სასამართლოში წარადგინონ ახალი მტკიცებულებები. აღნიშნულს პირდაპირ ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის მიხედვითაც, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები. ამავ ე მუხლის მე-2 ნაწილი კი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც სააპელაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი მიიღოს ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, კერძოდ, ხსენებული ნორმის თანახმად, სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს იმ ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, მართალია, ახალი მტკიცებულებების მიღება სასამართლოს შეხედულებაზე დამოკიდებული, მაგრამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მიხედვით სააპელაციო სასამართლო ვალდებულია გამოიკვლიოს საქმესთან დაკავშირებული ახლად წარმოდგენილი მტკიცებულებები, თუ მიიჩნევს, რომ ისინი არ შეიძლება წარდგენილი ყოფილიყო პირველი ინსტანციის სასამართლოში, ანუ მხარეს არ შეეძლო მოეყვანა ისინი პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამასთან, ვინაიდან ახალ მტკიცებულებათა დაშვების საკითხს მნიშვნელობა აქვს საქმისათვის, სასამართლოს დასკვნა (მოტივები), მტკიცებულებათა დაშვებაზე უარის თქმის შესახებ, უნდა აისახოს განჩინებაში და უნდა იყოს დასაბუთებული.

კასატორის განმარტებით, „...“ 2009 წლის 5 თებერვლიდან – 19 ივნისის ჩათვლით განხორციელდა გეგმიური გავლითი საგადასახადო შემონმება, რომელიც მოიცავდა 2004 წლიდან 2009 წლამდე პერიოდს. შემონმების შედეგად 2006 წლის 19 ივნისს მიღებულ იქნა შემონმების აქტი, მის საფუძველზე გამოიცა შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2009 წლის 16 ივლისის №319 ბრძანება და მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 2009 წლის 17 ივლისის №100 საგადასახადო მოთხოვნა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული მტკიცებულებები იქნა წარდგენილი სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს, რომელთა დაშვებაზე სააპელაციო სასამართლომ უარი განაცხადა ისე, რომ არ იმსჯელა იმ გარემოებაზე, რომ ხსენებული მტკიცებულებების წარდგენა სარჩელის აღძვრასა და საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას ვერ მოხდებოდა, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო 2009 წლის 12 ივნისს, ხოლო საგადასახადო შემონმების აქტი დათარიღებული იყო 2009 წლის 19 ივნისით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ დაუშვა „...“ მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი ახალი მტკიცებულებები, რა დროსაც სასამართლომ არ დაასაბუთა თუ რაში მდგომარეობდა მათი დაგვიანებით წარდგენის არასაპატიოობა.

საკასაციო სასამართლო იმ გარემოებაზეც მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს, იმ გარემოებაზეც თუ რა ნაწილში ასაჩივრებდა „...“ სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულებების სახით წარდგენილ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოქმედებს როგორც შეჯიბრებითობის, ისე სასამართლოს მიერ საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის პრინციპი, რაც გულისხმობს აქტიურ სასამართლოს, რომელიც ყოველმხრივ იკვლევს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად, უფრო მეტიც, საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილი). ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმე განხილულია ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის გათვალისწინებით სრულყოფილად უნდა იმსჯელოს მხარის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი ახალი მტკიცებულებების დაშვებაზე და აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ხსენებული მტკიცებულებების გათვალისწინებით დაადგინოს მოიცვა თუ არა 2009 წლის საგადასახადო შემონმებამ ის პერიოდი, რომელზეც სადავო ინვენტარიზაცია განხორციელდა, გამოვლენილ იქნა თუ არა შესამონმებელ პერიოდზე დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შექენის, რეალიზაციისა თუ სხვა გზით გამოყენების მხრივ და აღნიშნული საკითხების გარკვევის გზით იმსჯელოს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საკასაციო სასამართლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებსა და მე-3 ნაწილზე, რომელთა თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევით არის გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. ამასთან, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არანორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძველები – საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის შედეგად მოცემულ საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა სწორად გააკეთა კასაციის განაცხადი და სრულიად საფუძვლიანად მოითხოვა საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსთვის დაბრუნება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და საქმეზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, რისთვისაც სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

#### დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 4 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### 2. მტკიცების ტვირთი

### მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების თავისებურება

#### განჩინება

№ბს-304-293(კ-10)

26 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 8 მაისს თ. ლ-იამ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში ქ. ბათუმის მერიისა და ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიმართ და მოითხოვა ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2008 წლის 29 დეკემბრის №243/08 დადგენილებისა და ქ. ბათუმის მერიის 2008 წლის 10 აპრილის №268 ბრძანების ბათილად ცნობა შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელის მითითებით, ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2008 წლის 29 დეკემბრის №243/08 დადგენილებით მოსარჩელეს დაეკისრა ჯარიმის სახით 2000 ლარის გადახდა, რომელიც მოსარჩელეს ჩაჰბარდა 2009 წლის 9 იანვარს. 2009 წლის 10 აპრილს ქ. ბათუმის მერმა გამოსცა №268 ბრძანება, რომელიც მოსარჩელეს აყენებს პირდაპირ და უშუალო ზიანს, უკანონოდ ზღუდავს მის საკუთრების უფლებას, რაც არის ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული ერთ-ერთი ძირითადი ფუნდამენტური უფლება და მისი ხელყოფა თუ ფორმალური ხელშეშლა ეწინააღმდეგება კანონის, კერძოდ, საქართველოს

კონსტიტუციის 21-ე მუხლს. საკუთრების უფლება აღიარებულია საქართველოში რატიფიცირებული საერთაშორისო პაქტებით, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციით“ და დამატებითი ოქმით, ასევე გაეროს გენერალური ასამბლეის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-17 მუხლით.

მოსარჩელის მითითებით, ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის დადგენილება დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო და უკანონოა, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 120.1, 110-ე, 112-ე, 95.2, 96.1, 11.4 მუხლების მოთხოვნები, რამდენადაც თ. ლ-ია, როგორც დაინტერესებული მხარე არ იყო მიწვეული სხდომაზე. სადავო აქტით გაუარესდა მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა, რამდენადაც შესაძლებელია მისი კანონიერ ძალაში შესვლითა და აღსრულებით შეიზღუდოს მოსარჩელის ქონებრივი მდგომარეობა. ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას არ გამოუკვლევია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის სააქტო ჩანაწერები.

მოსარჩელის მითითებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 120-ე და 17.2 მუხლების შესაბამისად, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამომცემ ორგანოებს ეკისრებათ აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი.

თ. ლ-იას სარჩელი არ ცნო მოპასუხე ქ. ბათუმის მერიისა და ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენელმა უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2008 წლის 29 დეკემბრის №243/08 დადგენილებით არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევისათვის ლ. კ-მ დაჯარიმდა 2000 ლარით და დაევალა ავარიული სახლის დემონტაჟი, რომლის ავარიულობის ხარისხი უშუალოდ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2008 წლის 29 დეკემბრის №243/08 დადგენილების გამოცემის საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. №13-ში თ. ლ-ია საკუთრების უფლებით ფლობდა ფართს. საცხოვრებელი სახლი იყო მთლიანად ავარიული, რომლის ფუნქციონირება შპს „...“ მიერ 2006 წლის 29 დეკემბრის დასკვნით საფრთხეს უქმნიდა ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რომლის დემონტაჟის განუხორციელებლობაც „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „კ“ პუნქტის „კ-ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევას. ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიწერილობით თ. ლ-იას ეცნობა, რომ 15 დღის ვადაში დაეწყო მის საკუთრებაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია ან/და დემონტაჟი, რომლის ავარიულობის ხარისხი უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ თ. ლ-ია შემონმდა არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის თაობაზე, რა დროსაც დადგინდა, რომ მის მიერ უგულებელყოფილ იქნა ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიწერილობა, კერძოდ, მის მიერ არ შესრულდა მიწერილობით მასზე მიცემული პირობები, რაც უნდა შესრულებულიყო მიწერილობის ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში.

ამდენად, მოპასუხეებმა მიიჩნიეს, რომ თ. ლ-იას მიმართ მიღებული დადგენილება და გატარებული სანქცია სრულიად შეესაბამება მის მიერ ჩადენილ სამართალდარღვევას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით თ. ლ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2008 წლის 29 დეკემბრის №243/08 დადგენილება და ქ. ბათუმის მერიის 2009 წლის 10 აპრილის №268 ბრძანება თ. ლ-იას ნაწილში, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულია საქმის გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევის გარეშე, კერძოდ, ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევია თ. ლ-იას მიერ ჩადენილი ქმედებით დაირღვა თუ არა „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის 5<sup>10</sup> მუხლის „გ“ პუნქტის მოთხოვნა, ადგილი ჰქონდა თუ არა კანონის მითითებული ნორმით გათვალისწინებული იმ ავარიული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის განუხორციელებლობას, რომლის ავარიულობის ხარისხი უშუალო საფრთხეს უქმნიდა ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და 5<sup>8</sup> მუხლის „გ“ პუნქტით განსაზღვრული არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიწერილობის შეუსრულებლობას, არადროულად შესრულებას.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების და ამ სფეროში მონაწილე ყველა სუბიექტის უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობის საკითხებს ანესრიგებს საქართველოს კანონი „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“, რომლის 5<sup>10</sup> მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა იმ შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის განუხორციელებლობისათვის, რომლის ავარიულობის ხარისხი უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას.

საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადმინისტრაციული აქტი შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქ. ბათუმში, ... ქ. №13-ში მდებარე სახლის ავარიულობის ხარისხის დადგენის შესახებ და ზედამხედველობის სამსახური მოსარჩელისათვის მიწერილობის ვაგზავნისას დაეყრდნო მხოლოდ შპს „...“ მიერ 2006 წლის 29 დეკემბერს შედგენილ, საც-

ხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნას. სასამართლოს მოსაზრებით, შენობა-ნაგებობის ავარიულობის ხარისხის დადგენისა და მათი დაშლა-აღდგენის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის ზოგადი წესებისა და მოქმედი ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 2 აპრილის №07.15.116 დადგენილებით დამტკიცებული მუნიციპალიტეტის საბინაო მეურნეობის სამმართველოსთან არსებული „სახლების ავარიულობის ხარისხისა და მათი დაშლა-აღდგენის მიზანშეწონილობის დამდგენი კომისიის მუშაობისა და ანაზღაურების წესებით“, ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-15 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისში, ავარიული საცხოვრებელი შენობების აღრიცხვის, გამაგრება-გაძლიერების, რეკონსტრუქციის ან დაშლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წესების მე-9 მუხლით და მიიჩნია, რომ მრავალბინიანი სახლის სავალდებულო რეკონსტრუქციას ან დემონტაჟს დაქვემდებარების თაობაზე გადაწყვეტილება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებით უნდა მოხდეს, მოცემულ შემთხვევაში კი ... ქ. №13-ში მდებარე სახლის სავალდებულო რეკონსტრუქციას ან დემონტაჟს დაქვემდებარების შესახებ ზედამხედველობის სამსახურის მიერ გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ზედამხედველობის სამსახური არ იყო უფლებამოსილი მოსარჩელისათვის გაევზავნა 2008 წლის 22 თებერვლის მიწერილობა 15 დღის ვადაში სახლის რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის განხორციელების მოთხოვნით. ამასთან, ქ. ბათუმში, ... ქ. №13-ში მდებარე მრავალბინიანი სახლი თ. ლ-იას ინდივიდუალურ საკუთრებას არ წარმოადგენდა, სახლში რამდენინე საცხოვრებელი ბინის მესაკუთრე ცხოვრობდა, რომლებიც არიან ბინის ამხანაგობა „...“ წევრები. ამავე სახლის ერთ-ერთი თანამესაკუთრე ქ. ბათუმის მერიაა. თ. ლ-იას ბინა სახლის მე-2 სართულზე მდებარეობდა და მის მიერ მთლიანი სახლის ნაწილის დემონტაჟი ან რეკონსტრუქცია სახლის დანარჩენი ნაწილისაგან დამოუკიდებლად ფიზიკურად შეუძლებელი იყო.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოებისას არ ყოფილა გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები, მას არ მიუღია გადაწყვეტილება სახლის ავარიულობის ხარისხის შესახებ. ამასთან, მოსარჩელის მიმართ არ ყოფილა დაცული „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის 4<sup>1</sup>.4 მუხლის მე-7 ქვეპუნქტის მოთხოვნა.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადებისა და გამოცემის დროს დაირღვა კანონის მოთხოვნები, რითაც ზიანი მიადგა მოსარჩელის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. ბათუმის მერიამ და ზედამხედველობის სამსახურმა, რომლებმაც მოითხოვეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი მოტივით:

აპელანტების მითითებით, „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონში კანონმდებელმა პირდაპირ მიუთითა დემონტაჟის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და დაჯარიმების უშუალო წინაპირობები – ავარიული შენობა-ნაგებობის არსებობა და მისი რეკონსტრუქცია-დემონტაჟის განუხორციელებლობა საფრთხეს უნდა უქმნიდეს ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. ... ქ. №13-ში არსებულ შენობასთან დაკავშირებით ორივე პირობა არსებობდა, მოცემული კანონი სწორად იქნა გამოყენებული თ. ლ-იას, როგორც ავარიული სახლის მესაკუთრის მიმართ.

აპელანტებმა არ გაიზიარეს საქალაქო სასამართლოს დასკვნა, რომ შენობის ავარიულობის ხარისხი უნდა განისაზღვროს ადმინისტრაციული აქტით. მოცემულ შემთხვევაში არსებობდა ლიცენზიის მქონე შესაბამისი ორგანოს – შპს „...“ დასკვნა შენობის ავარიულობის შესახებ, რომლის საწინააღმდეგო მტკიცებულება სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

აპელანტების მოსაზრებით, საქალაქო სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 2 აპრილის №07.15.116 დადგენილებით დამტკიცებული მუნიციპალიტეტის საბინაო მეურნეობის სამმართველოსთან არსებული „სახლების ავარიულობის ხარისხისა და მათი დაშლა-აღდგენის მიზანშეწონილობის დამდგენი კომისიის მუშაობისა და ანაზღაურების წესებით“ და ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-15 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისში, ავარიული საცხოვრებელი შენობების აღრიცხვის, გამაგრება-გაძლიერების, რეკონსტრუქციის ან დაშლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წესების მე-9 მუხლით, რამდენადაც ისინი ეხება მხოლოდ ქ. თბილისის საბინაო ფონდში არსებულ ბინებს, ამასთან „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ამოქმედდა 2006 წლის დეკემბრიდან. შესაბამისად, კანონით რეგულირებადი გახდა მსგავსი ურთიერთობები.

აპელანტების მოსაზრებით, ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის გასაჩივრებული აქტის სამართლებრივი საფუძვლიანობის შესამოწმებლად სავალდებულოა ქ. ბათუმში, ... ქ. №13-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ავარიულობის დადასტურება, რომლის ხარისხი უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და ასევე უნდა დადასტურდეს მესაკუთრეების მიერ მისი რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის განუხორციელებლობა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ქ. ბათუმის მერიისა და ზედამხედველობის სამსახურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილებულია.

ფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით თ. ლ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ე“ პუნქტით, 5<sup>10</sup> მუხლის „გ“ პუნქტით, 4.7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით, 4<sup>1</sup> მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით, 4<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 4<sup>1</sup> მუხლის მე-7, მე-8 ნაწილებით, შპს „მშენალმდგენის“ 2006 წლის 29 დეკემბრის დასკვნის საფუძველზე დადასტურებულიად მიიჩნია, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. №13-ში მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი მწვავე ავარიულ მდგომარეობაში იყო, მის მზიდ კონსტრუქციებს არ გააჩნდათ არავითარი სიმტკიცის რეზერვი და უმნიშვნელო ზემოქმედებას შესაძლოა გამოეწვია შენობის უცარი ჩამონგრევა.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ თ. ლ-იას მიმართ ამ უკანასკნელის კუთვნილი, ... ქ. №13-ში მდებარე, ავარიული შენობის დემონტაჟის განუხორციელებლობის გამო დაჯარიმებისა და დემონტაჟის დავალდებულების შესახებ 2008 წლის 29 დეკემბრის №243.08 დადგენილება არ ეწინააღმდეგება კანონს, არ არის დარღვეული მისი მომზადებისა და გამოცემის კანონით დადგენილი წესი, რის გამოც არ არსებობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ლ-იამ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი მოტივით:

კასატორის მითითებით, ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2008 წლის 29 დეკემბრის №243/08 დადგენილებით გაუარესდა მისი სამართლებრივი მდგომარეობა, რამდენადაც შესაძლებელია მომავალში დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლისა და აღსრულების დროს შეიზღუდოს მისი ქონებრივი მდგომარეობა.

კასატორის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლის შესაბამისად, არ მოუხდენია ფაქტების შეფასება, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულია საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის გარეშე, კერძოდ, არ გამოუკვლევია ის გარემოება, რომ თ. ლ-იას მიერ ჩადენილი ქმედებით დაირღვა თუ არა „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონის 5<sup>10</sup> მუხლის „გ“ პუნქტის მოთხოვნა, ანუ ადგილი ჰქონდა თუ არა კანონის მითითებული ნორმით გათვალისწინებული იმ ავარიული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის განუხორციელებლობას, რომლის ავარიულობის ხარისხი უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, ასევე ადგილი ჰქონდა თუ არა ამავე კანონის 5<sup>8</sup> მუხლის „გ“ პუნქტით განსაზღვრული არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მინერლოგის შეუსრულებლობას ან არადროულად შესრულებას. ასევე, არ არსებობს ადმინისტრაციული აქტი, რომლითაც შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგინდებოდა ... ქ. №13-ში მდებარე სახლის ავარიულობის ხარისხი.

კასატორის მოსაზრებით, „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ კანონი ზუსტად განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც ზედამხედველობის სამსახური გზავნის მინერლოგას. მათში არ იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც ზედამხედველობის სამსახური მიიჩნევს, რომ შენობა-ნაგებობა არის ავარიული და მისი რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის მოთხოვნით მესაკუთრეს უნდა გაეგზავნოს მინერლოგა. ამასთან, თ. ლ-იას ბინა მდებარეობს სახლის მე-2 სართულზე და მის მიერ მთლიანი სახლის ნაწილის დემონტაჟი ან რეკონსტრუქცია სახლის დანარჩენი ნაწილებისაგან დამოუკიდებლად შეუძლებელია.

კასატორის მოსაზრებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2 მუხლის შესაბამისად, მტკიცების ტვირთი ეკისრება აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს, კერძოდ. ქ. ბათუმის მერიასა და ზედამხედველობის სამსახურს.

კასატორმა მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დარღვეულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4, მე-13, 95.1, 95.2, 96.1 მუხლების, 97<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“-„დ“ ქვეპუნქტების, 110-ე, 112-ე, 115-120-ე მუხლების მოთხოვნები.

კასატორის მითითებით, საკუთრების უფლება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა და მისი ხელყოფა თუ ფორმალური ხელშეშლა ეწინააღმდეგება კანონს, უპირველესად საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს, „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას“ და დამატებით ოქმს, გაეროს გენერალური ასამბლეის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას“.

საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის განჩინებით თ. ლ-იას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად (აბსოლუტური კასაცია).

მონინალმდგეე მხარეებს წერილობითი შესაგებელი საკასაციო საჩივარზე არ წარმოუდგენიათ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაანალიზების, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად

გად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო საჩივრის მოტივი – განსახილველ დავაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით განსაზღვრულ მტკიცების ტვირთის გადანაწილების თაობაზე, საკასაციო სასამართლომ უნდა მისცეს სამართლებრივი შეფასება თუ რამდენად კანონიერად იქნა რეალიზებული მხარეთა საპროცესო უფლება აღნიშნული საპროცესო ინსტიტუტის კონტექსტში სააპელაციო სასამართლოს მხრიდან. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთის გადანაწილების პრობლემა ჯერ კიდევ აქტუალურია, როგორც თეორიული, ასევე, ტექნიკური თვალსაზრისით, რამაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით შექმნა აბსოლუტური კასაციის ნანამძღვრები, არის საგულისხმო და განსაკუთრებული, შესაბამისად მოცემულ საქმეს მიანიჭა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საქმის სტატუსი.

განსახილველ საქმეში დავის საგანს წარმოადგენს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, კერძოდ, ქ. ბათუმის მერიის ზედამხედველობის 2008 წლის 29 დეკემბრის №243/08 დადგენილება „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში ჩადენილი დარღვევისათვის თ. ლ-იას დაჯარიმებისა და ობიექტის დემონტაჟის შესახებ“ და ქ. ბათუმის მერიის 2009 წლის 15 აპრილის №268 ბრძანება თ. ლ-იას ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის მიხედვით სადავო აქტების, როგორც მატერიალური /საკუთრების უფლების შეზღუდვა/, ასევე, ფორმალური /პროცედურის არსებითი დარღვევა/ კანონსაწინააღმდეგობა.

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები გამოკვლეული და დადგენილია კანონშესაბამისად, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, რადგან წარმოდგენილი არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორი შეფასება მისცა საქმის მასალებს და სადავო სამართალურითერობას სწორად შეუფარდა სამართლის ნორმა, შესაბამისად, საკასაციო საჩივრის არგუმენტები დაუსაბუთებელია და მათი გაზიარების სამართლებრივი წინაპირობები არ არსებობს, კერძოდ: სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დარღვეული არ არის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით განსაზღვრული მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების თავისებურება.

საკასაციო სასამართლო მოცემულ საქმეზე სამართლებრივი დასკვნების ჩამოყალიბებისას ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის განჩინებაში საქმეზე №ბს-626-596(კ-07) ნ-შილის სარჩელისა გამო მოპასუხე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ, ჩამოყალიბებულ სასამართლო დასკვნებს, კონკრეტულად, საერთო სასამართლოების მხრიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლის სწორ გაგება-განმარტებასთან დაკავშირებით.

მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტს აქვს არა მარტო საპროცესო სამართლებრივი, არამედ მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სრულად გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში. მითითებული პრინციპის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლები).

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის 1 პუნქტის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი, წარადგინოს თავისი შესაგებელი და შესაბამისი მტკიცებულებები. მითითებული დებულება ადგენს მხარეთა საპროცესო მოვალეობებს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რაც უზრუნველყოფს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის სრულყოფილ რეალიზაციას. აქვე, კანონი ადგენს საგამონაკლისო შემთხვევას, კერძოდ, როცა დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლზომიერების შემოწმება, მტკიცების ტვირთი გადადის აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოზე – მოპასუხე სუბიექტზე. საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ დამტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილება აქტთან დაკავშირებულ სარჩელის წარდგენისას არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ მოსარჩელე საერთოდ თავისუფლდება სარჩელის დასაბუთების ვალდებულებისაგან, ანუ იმ გარემოებების შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურების მოვალეობისგან, რითაც მისი მოთხოვნა ფაქტობრივად და იურიდიულად გადართლებული აღმოჩნდება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით დადგენილი პირობა სწორედ ამგვარად უნდა იქნას გაგებული, რამდენადაც სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას აქტის გამომცემ ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერების დამტკიცება სასამართლოს წინაშე, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ვალდებულებას და სამართლებრივ პასუხისმგებლობას აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით, შესაბამისად ადმინისტრაციუ-



ლი საპროცესო კოდექსის 17.2 მუხლით სადავო აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთისგან ათავისუფლებს მოსარჩელეს და ავალდებულებს მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაამტკიცოს, რომ მან უზრუნველყო მის მიერ გამოცემული გადაწყვეტილების კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად მომზადება, მიღება, გამოცემა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით ადმინისტრაციულ ორგანოს ევალება დაამტკიცოს სწორედ სადავო აქტის სამართლებრივი მხარე, რადგან მატერიალურ-სამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით მას აქვს საჯარო-სამართლებრივი ვალდებულება თავისი გადაწყვეტილება, ყოველგვარი გასაჩივრების პრეზუმფციის გარეშე, მიიღოს მხოლოდ კანონის შესაბამისად, ამდენად სავსებით ლოგიკურია მტკიცების ტვირთის ადმინისტრაციულ ორგანოზე დაკისრება.

სადავო სამართალურთიერთობა წარმოშობილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში, ერთის მხრივ, ფიზიკურ პირსა და თვითმმართველობის ორგანოს სამსახურს, მეორეს მხრივ, ადმინისტრაციული საჩივრის ავტორსა და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს შორის.

სააპელაციო სასამართლოში მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა კვალიფიციურად უზრუნველყვეს გასაჩივრებული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების კანონიერების დასაბუთება, როგორც ფორმალური, ასევე, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით. თავის მხრივ, მოსარჩელის პროცესუალური ვალდებულება დაასაბუთოს აქტის კანონსაწინააღმდეგობა – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში გამოკვლეული და დადგენილი ფაქტების უსწორობა, მათი გამაქარწყლებელი მტკიცებულებების წარმოდგენის უზრუნველყოფით, შესრულებული არ ყოფილა, მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა სადავო აქტებით დადგენილად მიჩნეული და შეფასებული ფაქტების შესაბამობა საქმის გარემოებებთან. ასევე, დაუსაბუთებელია საკასაციო საჩივრის მოტივი, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევიან საკითხი კასატორის მიერ ჩადენილი ქმედებით დაირღვა თუ არა „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის 5<sup>10</sup> მუხლის „გ“ პუნქტის და ამავე კანონის 5<sup>8</sup> მუხლის „გ“ პუნქტის მოთხოვნები, დაუსაბუთებელია, ვინაიდან კასატორი ვერ აკონკრეტებს რაში გამოიხატა ამ ნორმატიული აქტის მითითებული ნორმების მოთხოვნების დარღვევა. შესაბამისად, ამ თვალსაზრისითაც არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნის უსაფუძვლოდ მიჩნევის წინაპირობა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ასევე, დაუსაბუთებელია კასატორის მოტივი – საკუთრების უფლების ხელყოფის თაობაზე და აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს შემდეგს:

საერთაშორისო აქტებით და საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და დაცული უფლება – საკუთრების უფლება ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძირითად უფლებათაგანია, თუმცა, იგი არ განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა რიგს. ეროვნული კანონმდებლობები ითვალისწინებენ შემთხვევებს, როდესაც აღმატებული საჯარო ინტერესის სასარგებლოდ შეიძლება საკუთრების უფლების შეზღუდვა, თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით.

საკუთრების უფლება თავის თავში მოიცავს ამ უფლების ქვეშ მყოფი ობიექტის იმგვარ მდგომარეობაში ყოფნის, შენახვა-მოვლის ვალდებულებას, როგორც არის მესამე პირთათვის და გარემოსათვის საფრთხის გამომრიცხველ და ზიანის მიუყენებლად ფუნქციონის უზრუნველყოფა.

განსახილველ შემთხვევაში ობიექტურად არის დადგენილი თ. ლ-იას საკუთრებაში მყოფი სახლის შეუსაბამობა უსაფრთხო ნაგებობის სტანდარტებთან. შპს „...“-ს დასკვნის თანახმად ქ. ბათუმში, ... ქუჩაზე №13-ში მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი არის მწვავე ავარიულ მდგომარეობაში, მის მზიდ კონსტრუქციებს აღარ გააჩნია არავითარი სიმტკიცის რეზერვი და უმნიშვნელო ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს შენობის უეცარი ჩამონგრევა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ეყრდნობა სწორედ აღნიშნული საექსპერტო დასკვნით შეფასებულ ფაქტობრივ გარემოებას, რომლის საწინააღმდეგოს დამტკიცება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.1. მუხლის საფუძველზე სწორედ მოსარჩელის საპროცესო ვალდებულებას – მტკიცების ტვირთს წარმოადგენს, რაც მხარემ ვერ უზრუნველყო.

მოქმედი კანონმდებლობა საკუთრების ობიექტის მდგომარეობის შეფასებით საჯარო ინტერესების უზრუნველსაყოფად ითვალისწინებს ნაგებობის რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის დავალდებულების შემთხვევებს, რაც მოცემულ შემთხვევაში კანონის პროცედურების არსებითად დაცვის ფარგლებში რეალიზებულია თვითმმართველობის ორგანოების მიერ, შესაბამისად, არ არსებობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული სადავო აქტების ბათილად ცნობის საფუძველები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 391-ე, 401-ე, 410-ე მუხლებით და  
და ა ა დ გ ი ნ ა:

1. თ. ლ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო;

2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

## მტკიცების ტვირთი

### განჩინება

№ბს-1916-1869 (კ-10)

1 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 3 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა შპს ტელერადიო კომპანია „...“ მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2009 წლის 11 მაისის №... გადაწყვეტილების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 18 თებერვლის №... გადაწყვეტილების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2009 წლის 5 იანვრის №16-17-7/02-48 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, მოპასუხის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის დავალდებულებას გამოეცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც მოსარჩელის – შპს ტელერადიო კომპანია „...“ გადასახადის ვალდებულების პირადი აღრიცხვის ბარათიდან მოიხსნებოდა 49 354 ლარი.

მოსარჩელე – შპს „...“ სარჩელში აღნიშნავდა, რომ პირადი აღრიცხვის ბარათზე დარიცხული თანხა – 49 354 ლარი, წარმოადგენს განმეორებით დარიცხულ ერთი და იგივე თანხას; მოსარჩელის მტკიცებით, მან ერთხელ უკვე გადაიხადა მასა და არარეზიდენტი იურიდიულ პირს – „...“ შორის დადებული საინფორმაციო მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადასახადები, კერძოდ არარეზიდენტი პირის საშემოსავლო გადასახადი (დარიცხული აქტით) – 22 076 ლარი, აგრეთვე არარეზიდენტი პირის მიერ მიღებულ შემოსავალზე უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ს თანხა (დარიცხული აქტით) – 27 278 ლარი. მოსარჩელის აზრით, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო საგადასახადო ინსპექციის 2003 წლის 29 ივლისის გასვლითი გეგმიური საგადასახადო შემომწების აქტითა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2004 წლის 28 მაისის შემომწებების აქტით განხორციელდა ერთი და იგივე თანხების ორჯერ დარიცხვა, რადგან ორივე შემთხვევაში შემომწებულ იქნა მასა და არარეზიდენტი იურიდიულ პირს – „...“ შორის დადებული საინფორმაციო მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ერთი და იგივე სახის საგადასახადო ვალდებულებების ერთსა და იმავე საგადასახადო პერიოდში შესრულების საკითხი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს ტელერადიო კომპანია „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ ზემოხსენებული გადაწყვეტილება მიიღო შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით:

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის პირადი აღრიცხვის ბარათზე დარიცხული თანხა – 49 354 ლარი არ წარმოადგენს განმეორებით დარიცხულ ერთი და იგივე თანხას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები კანონიერია, სრულად შეესაბამება მათი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს ტელერადიო კომპანია „...“.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით შპს ტელერადიო კომპანია „...“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

მოსარჩელის – შპს ტელერადიო კომპანია „...“ მიმართ ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო საგადასახადო ინსპექციის მიერ შედგენილ იქნა 2003 წლის 29 ივლისის გასვლითი გეგმიური საგადასახადო

შემონმების აქტი. მოსარჩელეს არარეზიდენტი იურიდიული პირისთვის გადარიცხული აქვს განუვლი საინფორმაციო მომსახურების საფასური – 104 960 ლარი, რაც არ არის დაბეგრილი გადახდის წყაროსთან ორი სახის გადასახადით – საშემოსავლო გადასახადით და დღგ-ით. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელეს, 2003 წლის 29 ივლისის შემონმების აქტი დაერიცხა საშემოსავლო გადასახადში ძირითადი თანხა – 11 622,30 ლარი და ჯარიმა – 576,90 ლარი, აგრეთვე დღგ-ში ძირითადი თანხა – 23 324,55 ლარი, ჯარიმა – 4 486,30 ლარი; მოსარჩელემ – შპს ტელერადიო კომპანია „...“ ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო საგადასახადო ინსპექციის 2003 წლის 29 ივლისის გასვლითი გეგმიური საგადასახადო შემონმების აქტი გაასაჩივრა სასამართლოში. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 27 თებერვლის №3/468-04 გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი 2003 წლის 29 ივლისის გასვლითი გეგმიური საგადასახადო შემონმების აქტი იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელეს დაერიცხა 40 048 ლარი არარეზიდენტ იურიდიულ პირთან – „...“ – თან („...“) დაკავშირებული ოპერაციის გამო.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება, შპს ტელერადიო კომპანია „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება არ გაუქმებულა, დღეისათვის შესულია კანონიერ ძალაში.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში აღძრული №... სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს სპეციალისტებმა ჩაატარეს მოსარჩელის შპს „...“ შემონმება, შემონმება შეეხებო 1998 წლის 1 აპრილიდან 2004 წლის 1 აპრილამდე პერიოდს. შემონმების შედეგად შედგა 2004 წლის 28 მაისის შემონმების აქტი; შემონმებლებმა დაადგინეს, რომ მოსარჩელეს, როგორც სატელევიზიო მომსახურების ხელშეკრულების მხარეს, ევალებოდა, არარეზიდენტი იურიდიული პირისათვის – „...“ გადახდილი თანხები გადახდის წყაროსთანვე დაებეგრა საშემოსავლო გადასახადითა და დღგ-ით. შემონმებლებმა ასევე დაადგინეს, რომ მოსარჩელემ „...“ გადაუხადა 2002 წლის 13, 14 მაისსა და 2003 წლის 8 აპრილს, 30 მაისსა და 14 დეკემბერს განუვლი მომსახურების საკომპენსაციო თანხა, სულ – 64 000 აშშ დოლარი, ანუ 139 840 ლარი, საიდანაც მოსარჩელეს 48 000 აშშ დოლარიდან (104 960 ლარიდან) არ დაუკავებია საშემოსავლო გადასახადი და დღგ 28.05.2004 წლის შემონმების აქტის თანახმად, მოსარჩელეს საშემოსავლო გადასახადში დაერიცხა ძირითადი თანხის სახით 10 496 ლარი, ჯარიმა – 519 ლარი, ჯარიმა დეკლარაციის წარუდგენლობისთვის – 2 624 ლარი, საურავი – 8 437 ლარი, სულ – 22 076 ლარი. აგრეთვე, მოსარჩელეს დღგ-ში დაერიცხა ძირითადი თანხა – 20 992 ლარი, 10%-იანი ჯარიმა – 1 038 ლარი, დეკლარაციის წარუდგენლობისთვის ჯარიმა – 5 248 ლარი, სულ – 27 278 ლარი; სასკპ „...“ (საბანკო დაწესებულების) მიერ 15.06.2007 წლის ვაცემული ნაერთი ამონაწერით, აგრეთვე იმავე საბანკო დაწესებულების 2004 წლის 7 ივნისის №52 და №53 საგადასახადო დავალებებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ – შპს „...“ 2004 წლის 7 ივნისს გადაიხადა არარეზიდენტი პირის საშემოსავლო გადასახადი (დარიცხული აქტით) – 22 076 ლარი, აგრეთვე არარეზიდენტი პირის მიერ მიღებულ შემოსავალზე უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ს თანხა (დარიცხული აქტით) – 27 278 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ასევე, რომ მოსარჩელემ 2008 წლის 9 დეკემბერს მოპასუხეს – თბილისის რეგიონულ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას) წარუდგინა გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა და მოითხოვა მისი პირადი აღრიცხვის ბარათზე განმეორებით (ორმაგად) დარიცხული თანხის, სულ ჯამში – 50 038 ლარის გაუქმება. მოპასუხემ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონულმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექციამ) თავისი 2009 წლის 5 იანვრის №... გადაწყვეტილებით (წერილით) არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, რაც მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულ იქნა შემოსავლების სამსახურში. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 18 თებერვლის №... გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, ხოლო შპს „...“ საჩივარი ასევე არ დაკმაყოფილდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2009 წლის 11 მაისის №... გადაწყვეტილებით.

დადგენილი გარემოებების ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, საქმის მასალებიდან გამომდინარე არ დასტურდება და არც მოსარჩელის მიერ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება (სსსკ 102-ე მუხლი) იმ გარემოებების დასადგენად, რომ მოსარჩელის პირადი აღრიცხვის ბარათზე დარიცხული თანხა – 49 354 ლარი წარმოადგენს განმეორებით დარიცხულ ერთი და იგივე თანხას და შესაბამისად სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები არ არის მიღებული კანონით დადგენილი მოთხოვნების ისეთი დარღვევით, რაც საფუძველი გახდებოდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლით განსაზღვრული გასაჩივრებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს ტელერადიო კომპანია „...“.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ ფაქტი იმის შესახებ, რომ შპს „...“ პირადი აღრიცხვის ბარათზე დარიცხული თანხა – 49,354 ლარი არის განმეორებით დარიცხული თანხა, დასტურდება შემდეგი გარე-

მოებებით: დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო საგადასახადო ინსპექციის 2003 წლის 29 ივლისის შემონმების აქტის საფუძველზე შპს „...“ ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა 571,8 ათასი ლარი. მოგვიანებით, დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო საგადასახადო ინსპექციამ შპს „...“ საგადასახადო დავალიანება 518,161 ლარამდე შეუმცირა. დარიცხვის შედეგები ასახულია 2003 წლის 2 იანვრიდან 2004 წლის 2 იანვრამდე შედარების აქტში. დარიცხვის შედეგების გასაჩივრების შედეგად საგადასახადო დეპარტამენტმა 518,161 ლარი 468,123 ლარით შეამცირა და შპს „...“ საბოლოო გადასახდელად დააკისრა მხოლოდ 50,038 ლარი, მათ შორის, არარეზიდენტის დღგ-ის ნაწილში 27,809 ლარი, არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადის ნაწილში – 12,239 ლარი, ანუ სულ 40,048 ლარი. დარიცხვის შედეგები ასახულია 2004 წლის 2 იანვრიდან 2005 წლის 2 იანვრამდე შედარების აქტში. კასატორის მითითებით, ეს გარემოება ასევე დადასტურებულია შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2004 წლის 28 მაისის შემონმების აქტით და სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2010 წლის 5 მაისის ექსპერტიზის დასკვნით №...

კასატორი აღნიშნავდა, რომ 2004 წლის 28 მაისის საქართველოს გენერალური პროკურატურის დავალების საფუძველზე შპს „...“ შემონმება ჩაატარა შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკურმა მთავარმა სამმართველომ, რომლის აქტითაც იმავე ეპიზოდებში, რაზედაც საგადასახადო ორგანომ შპს „...“ 50,038 ლარში შემავალი, 40,048 ლარი დაარიცხა, შპს „...“ გადასახდელად დაერიცხა 49,354 ლარი. მისი აზრით, სხვაობა გამონვეული იყო იმით, რომ საგადასახადო ორგანოს შემონმებლებმა გადაუხდელ თანხას საურავი დაარიცხეს. 2004 წლის 7 ივნისს შპს „...“ მიერ გადახდილი იქნა 49,354 ლარი.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ 2008 წლის 18 სექტემბრის შედარების აქტში პირველად გამოჩნდა ის, რომ შპს „...“ განმეორებით დაერიცხა 49,354 ლარი, რაც შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2004 წლის 28 მაისის შემონმების აქტით განსაზღვრული თანხებია. კასატორის მოსაზრებით, მას შემდეგ, რაც 2004 წლის 7 ივნისს შპს „...“ მიერ გადახდილი იქნა 49,354 ლარი, 2008 წლის 18 სექტემბერს საგადასახადო ორგანოს აღნიშნული თანხის განმეორებით დარიცხვის საფუძველი არ ჰქონია. კასატორი აღნიშნავდა, რომ სასამართლოებმა დაუსაბუთებლად მიუთითეს, რომ საქმის მასალებით არ დგინდებოდა მოსარჩელის პირადი აღრიცხვის ბარათზე დარიცხული თანხის განმეორებით დარიცხვის ფაქტი, ვინაიდან მათ მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან რეალურად დასტურდება 49 354 ლარის განმეორებით დარიცხვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სსსკ-ის შესაბამისად გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლების შემონმებისას საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით. 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არსრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება შემოიფარგლება მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებით, არ შეიცავს სამართლებრივ დასაბუთებას, რაც შეუძლებელს ხდის სარჩელის საფუძვლიანობისა და განჩინების კანონიერების შემონმებას და რაც, ზემოაღნიშნული მუხლის შესაბამისად, ქმნის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

როგორც საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, შპს „...“ სარჩელი შეეხება ამ უკანასკნელის პირადი აღრიცხვის ბარათზე 49 354 ლარის დარიცხვის კანონიერებას. კასატორი თვლის, რომ მითითებული თანხის დარიცხვა მის ანგარიშზე მომხდარია განმეორებით, რაც იძლევა ამ თანხის სააღრიცხვო ბარათიდან მოხსნის საფუძველს.

ქვედა ინსტანციის სასამართლოები სარჩელის უარყოფისას შემოიფარგლებიან ერთადერთ მოტივზე მითითებით, მოსარჩელემ თავი ვერ გაართვა მტკიცების ტვირთს, თუმცა, მათი მხრიდან შეფასებული და გაანალიზებული არ არის მათ მიერვე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, წარმოდგენილი არ არის ამ ფაქტების სამართლებრივი ანალიზი, რაც საკასაციო სასამართლოს ართმევს სარჩელის უსაფუძვლობის თაობაზე სასამართლოთა დასკვნის გაზიარების შესაძლებლობას.

დადგენილია, რომ დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო-საგადასახადო ინსპექციის 2003 წლის 29 ივლისის შემონმების აქტის საფუძველზე შპს „...“ ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა 571,8 ათასი ლარი. მოგვიანებით, დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო-საგადასახადო ინსპექციამ შპს „...“ საგადასახადო დავალიანება შეამცირა 518,161 ლარამდე.

დარიცხვის შედეგების გასაჩივრების შედეგად საგადასახადო დეპარტამენტმა ზემოაღნიშნული 518,161 ლარი შეამცირა 468,123 ლარით და შპს „...“ საბოლოოდ გადასახდელად დააკისრა 50,038 ლარი, მათ შორის არარეზიდენტის დღგ-ის ნაწილში 27,809 ლარი, არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადის ნაწილში 12,239 ლარი.

საგულისხმოა, რომ აქტის შესაბამისად დარიცხვის საფუძველად მითითებულია იმ გარემოებაზე, რომ შპს „...“ არარეზიდენტი იურიდიული პირისათვის „...“ გადარიცხული აქვს განუხლები საინფორმაციო მომსახურების საფასური 104 960 ლარი, რაც არ არის დაბეგრული გადასახადის წყაროსთან ორი სახის გადასახადით: საშემოსავლო გადასახადით და დამატებული ღირებულების გადასახადით.

დადგენილია, რომ შპს „...“ დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო-საგადასახადო ინსპექციის 2003 წლის 29 ივლისის შემომწმების აქტი გაასაჩივრა სასამართლოში. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი 2003 წლის 29 ივლისის გასვლითი გეგმიური საგადასახადო შემომწმების აქტი იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელეს დაერიცხა 40 048 ლარი არარეზიდენტი იურიდიულ პირთან „...“ დაკავშირებული ოპერაციის გამო.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება და შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილებით კანონიერად იქნა მიჩნეული დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო-საგადასახადო ინსპექციის 2003 წლის 29 ივლისის შემომწმების აქტი არარეზიდენტი იურიდიულ პირთან „...“ დაკავშირებით 40 048 ლარის დარიცხვის ნაწილში.

დადგენილია, რომ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს მიერ ჩატარებული შემომწმების შედეგად განისაზღვრა, რომ შპს „...“, როგორც სატელევიზიო მომსახურების ხელშემკვრელ მხარეს ევალუბოდა არარეზიდენტი იურიდიული პირის „...“ გადახდილი თანხების გადახდის წყაროსთანავე დაბეგვრა საშემოსავლო გადასახადით და დღგ-ით. შემომწმებით დადინდა, რომ მოსარჩელემ „...“ გადაუხადა 2002 წლის 13,14 მაისსა და 2003 წლის 8 აპრილს, 30 მაისსა და 14 დეკემბერს განუული მომსახურების საკომპენსაციო თანხა სულ – 64 000 აშშ დოლარი ანუ 139 840 ლარი, ამასთან შპს „...“ 104 960 ლარიდან არ დაუკავებია საშემოსავლო გადასახადი და დღგ.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ დადგენილ ზემოაღნიშნულ გარემოებებს და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს არ მოუხდენია დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერება, სააპელაციო სასამართლო ადასტურებს ფაქტს იმის თაობაზე, რომ 2004 წელს შპს „...“ მიერ გადახდილია საგადასახადო დავალიანება 49,354 ლარის ოდენობით, თუმცა სასამართლო არ იკვლევს იმ საკითხს, მოხდა თუ არა ორივე შემომწმების მიერ ერთი და იგივე დასაბეგრი ბაზის შემომწმება, დარიცხულია თუ არა ერთი და იგივე თანხა და შპს „...“ მხრიდან 49,354 ლარის გადახდით კასატორის მხრიდან შესრულებულია თუ არა საგადასახადო ვალდებულება.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს ამავე საქმეში წარმოდგენილ 2005-2006 წლების, 2006 წლის და 2007 წლის შედარების აქტებს სადაც, 2004-2005 წლის შედარების აქტისგან განსხვავებით, სადავო თანხა აღარ ჩანს. საგულისხმოა, რომ სადავო თანხა ჩნდება 2008 წლის შედარების აქტში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის (სადავო პერიოდისათვის მოქმედი რედაქცია) 68-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის თანახმად გადასახადის თანხის დარიცხვა გულისხმობს საგადასახადო ორგანოში კონკრეტული საგადასახადო პერიოდისათვის გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის, სხვა ვალდებული პირის კუთვნილი გადასახადის თანხის აღრიცხვას. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს განახორციელოს თითოეული გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის, სხვა ვალდებული პირის კუთვნილი საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა ამ კოდექსისა და საგადასახადო კანონმდებლობის სხვა აქტების მიხედვით, შემდეგი ერთი ან ერთზე მეტი ინფორმაციის წყაროს საფუძველზე: ა) გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის საგადასახადო დეკლარაციები; ბ) ამ კოდექსის 218-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად გადახდილი თანხების შესახებ ინფორმაცია; გ) შემომწმების მასალები და სხვა სათანადო ინფორმაცია, რომელიც ცნობილია საგადასახადო ორგანოსათვის.

აღნიშნული მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ გადასახადის თანხის დარიცხვა შეუძლებელია დარიცხვის შესაბამისი საფუძვლების არასებობის პირობებში, საკასაციო სასამართლო არამართებულად მიიჩნევს მტკიცების ტვირთის მხოლოდ მოსარჩელეზე გადაკისრებას და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა დაადგინოს და გამოიკვლიოს, რა გახდა სადავო თანხის დარიცხვის საფუძველი. რა მოზნითაც ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა, რაც სასამართლოს მისცემს სადავო თანხის წარმომავლობის დადგენის შესაძლებლობას.

რაც შეეხება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2009 წლის 11 მაისის №... გადაწყვეტილებას და შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 18 თებერვლის №... გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ადმინისტრაციული ორგანოების უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე არის მკვეთრად ფორმალური. საკასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ შპს „...“ მიერ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა“ საგადასახადო კოდექსის 81-ე მუხლის საფუძველზე ატარებს სრულად განსხვავებულ სამართლებრივ დატვირთვას, თუმცა, საგულისხმოა, რომ ტექსტის სათაურში და მთლიანად ტექსტში ცალსახადაა დაფიქსირებული ის მოთხოვნა, რასაც განმცხადებელი ისახავდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, გასაჩივრების ადმინისტრაციული წესი იძლევა ადმინისტრაციულ სფეროში პრევენციული ზომების მიღების, ადმინისტრაციული ორგანოს სისტემის თვითკონტროლის საშუალებას, იძლევა შესაძლებლობას ადმინისტრაციულმა ორგანომ თავადვე გამოასწოროს საკუთარი შეცდომა, რაც წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების მთავარ მახასიათებელს, საერთოა მმართველობითი საქმიანობის ყველა სფეროსთვის და აძლევს დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობას, მოითხო-

ვოს ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების გადასინჯვა. სწორედ მითითებულ მიზანს ემსახურება საგადასახადო კოდექსში ჩადებული ის ნორმები, რომელიც იძლევა გადაწყვეტილებების ფინანსთა სამინისტროს ვერტიკალურ რგოლში გასაჩივრების შესაძლებლობას, რის გამოც საკასაციო სასამართლო არამართებულად მიიჩნევს საჩივრის უარყოფას მხოლოდ იმ მოტივით, რომ პირმა არასწორად შეარჩია საჩივრის სათაური, თუმცა ცალსახად და სრულად გადმოსცა საკუთარი მოთხოვნები და ის მოტივები, რომელზეც ამყარებს თავის მოთხოვნას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არც ადმინისტრაციული ორგანოს და არც სასამართლოს არ გამოუკვლევია საქმის გარემოებები, რაც საკასაციო სასამართლოს ართმევს პროცესუალურ შესაძლებლობას იმსჯელოს მოთხოვნის მართებულობაზე და შეაფასოს გასაჩივრებული განჩინების კანონიერება. აღნიშნული მოტივით საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა:

1. შპს ტელეკომპანია „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. მხარეთა შორის სახელმწიფო ბაჟის გადანაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მტკიცების ტვირთი

### განჩინება

№ბს-518-513(კ-11)

19 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 2 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ს. პ-მა მოპასუხეების ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისა და ქ. თბილისის მერიის მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 16 ნოემბრის №... დადგენლებისა და ქ. თბილისის მერიის 2009 წლის 28 დეკემბრის №... განკარგულების ბათილად ცნობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით ს. პ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 8 სექტემბრის №... მიწერილობით ირკვევა, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ. №9-ში ს. პ-ის მიერ განხორციელებულ იქნა ერთ სართულიან სახლზე მეორე სართულის დაშენება თბილისის არქიტექტურის სამსახურის ნებართვის გარეშე. მიწერილობის შედგენის დროისათვის მშენებლობა იყო დაუსრულებული. მიწერილობით ს. პ-ს დაევალა დარღვევის გამოსწორების მიზნით, ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა ან შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარდგენა 30 დღის ვადაში.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 10 ოქტომბრის №... შემონმების აქტით დადგენილია, რომ 2009 წლის 8 სექტემბერს გაცემული მიწერილობით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის დადგენის მიზნით შედგენილ იქნა შემონმების აქტი მასზე, რომ ს. პ-ის მიერ არ იქნა შესრულებული მიწერილობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2009 წლის 16 ნოემბერს გამოტანილ იქნა №... დადგენილება, რომლითაც ს. პ-ი დაჯარიმდა 10 000 ლარით უნებართვო მშენებლობისათვის და 3000 ლარით მიწერილობის შესრულებლობისათვის, „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-51 მუხლის „ბ“ პუნქტითა და მე-58 მუხ-

ლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, კერძოდ ქ. თბილისში, ...ის ქ.№9-ში ს. პ-ის მიერ განხორციელებულ იქნა ერთსართულიან საცხოვრებელ სახლზე მეორე სართულის დაშენება შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის (შეთანხმებული პროექტი და მშენებლობის ნებართვა) გარეშე, ასევე არ იქნა შესრულებული მინერილობით მითითებული მოთხოვნები.

ქ. თბილისის მერიის 2009 წლის 28 დეკემბრის №... განკარგულებით არ დაკმაყოფილდა ს. პ-ის ადმინისტრაციული საჩივარი და ძალაში დარჩა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 16 ნოემბრის №... დადგენილება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 3 იანვრით დათარიღებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან დადგენილია, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ.№9-ში მიმდებარედ დაზუსტებული 179 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი 330,21 კვ.მ. საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ს. პ-ის სახელზე.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ს. პ-ის მიერ ქ. თბილისში, ...ის ქ.№9-ში მიმდებარედ საცხოვრებელი სახლის მეორე სართულის რეკონსტრუქცია ნაწარმოები იქნა შეთანხმებული პროექტისა და მშენებლობის ნებართვის გარეშე. საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი აცხადებენ, რომ სადავო შენობა ს. პ-ის მიერ აშენდა 1994 წელს და 2009 წელს განხორციელებულ იქნა მხოლოდ შენობა-ნაგებობის სახურავის და ფანჯრების შეცვლა, თუმცა მხარემ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მითითებული გარემოების დადასტურება. აქედან გამომდინარე, სასამართლომ არ გაიზიარა მოწმეთა წერილობითი განცხადება და მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტზე.

სასამართლომ მიუთითა „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების ამოცანას შეადგენს: ა) მშენებლობაში მონაწილეთა მიერ მშენებარე შენობა-ნაგებობების საპროექტო, ნორმატიული და სახელმძღვანელო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის კონტროლი და ბ) კანონმდებლობით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის უზრუნველყოფა მშენებლობის დაწყებიდან მის დასრულებამდე. იმავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებს უფლება აქვთ არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დარღვევის არსებობის შემთხვევაში, მშენებლობაში მონაწილეთათვის გასცენ მინერილობა პროექტის სამშენებლო ნორმებისა და წესების და სხვა ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევათა გამოსწორების შესახებ. მინერილობა გაიცემა აგრეთვე არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში დადგენილი საორგანიზაციო წესების დარღვევისათვის. დამრღვევი მინერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, დადგენილებით ჯარიმდება, როგორც მინერილობის შეუსრულებლობისათვის ან არადროულად შესრულებვისათვის, ასევე არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევისათვის, რომლის გამოსასწორებლადაც გაიცა მინერილობა. იმავე კანონის მე-4<sup>1</sup> მუხლის თანახმად, არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო დამრღვევის მიმართ საქმის წარმოებას იწყებს მინერილობის გაცემით. მინერილობით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამოწმებს დამრღვევს, რაზედაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტის საფუძველზე, თუ აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას დაჯარიმების შესახებ. დადგენილების მიღებამდე არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია დამრღვევს უწყებით აცნობოს არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის განხილვის ადგილი, თარიღი, დრო და საქმის განმხილველი თანამდებობის პირი. არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილება არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის აღსრულება ხდება ამ კანონითა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილება უნდა იყოს დასაბუთებული და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ რეკვიზიტებთან ერთად უნდა შეიცავდეს მითითებას იმ ორგანოზე, რომელშიც შეიძლება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, აღნიშნული ორგანოს მისამართსა და გასაჩივრების ვადას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-3 მუხლის 50-ე პუნქტის თანახმად, რეკონსტრუქციად მიიჩნევა არსებული შენობა-ნაგებობის ან/და მისი ნაწილ(ებ)ის არსობრივად შეცვლა, მათი ფიზიკური, ხარისხობრივი და თვისობრივი განახლების მიზნით. იმავე დადგენილების 36-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია კანონმდებლობით, მათ შორის, ამ დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში სათანადო წესით მიღებული მშენებლობის ნებართვა, ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნართვა გაიცემა: ა) ახალ მშენებლობაზე (მათ შორის მონტაჟზე); ბ) არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციაზე; გ) არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟზე; დ) სამშენებლო დოკუმენტის ისეთ ცვლილებაზე, რომელიც საჭიროებს ახალ ნებართვას.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 16 ნოემბრის №00001180 დადგენილება და ქ. თბილისის მერიის 2009 წლის 28

დეკემბრის №2148 განკარგულება გამოცემულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და მოსარჩელე მხარის მიერ ვერ იქნა მითითებული ვერც ერთ სამართლებრივ ნორმაზე, ან კანონით დადგენილ პროცედურულ დარღვევაზე, რომელიც შესაძლოა საფუძველი გამხდარიყო გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისათვის.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. პ.-მა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 17 დეკემბრის განჩინებით. ს. პ.-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ს. პ.-მა.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 ივლისის №135 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოარკვია ადგილი ჰქონდა თუ არა სახურავის სამუშაოთა (სახურავის შეცვლის) შესრულებას და საჭიროებდა თუ არა იგი მოცემულ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვას, სასამართლომ არ შეაფასა აგრეთვე ტექ.აღრიცხვის მასალები სახლთმფლობელობის 1990 წლის მდგომარეობის შესახებ, საიდანაც დგინდება, რომ 1990-იან წლებში ...ის ქუჩა №9-ში ს. პ.-ის სახლი იყო ორსართულიანი თავისი სარდაფით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნებას, საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორმა დააზუსტა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა ახალი გადაწყვეტილების მიღების გზით სარჩელის სრული მოცულობით დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ს. პ.-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 8 სექტემბრის №00001180 მიწერილობით ირკვევა, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ. №9-ში ს. პ.-ის მიერ განხორციელებულ იქნა ერთ სართულიან სახლზე მეორე სართულის დაშენება თბილისის არქიტექტურის სამსახურის ნებართვის გარეშე. მიწერილობის შედგენის დროისათვის მშენებლობა იყო დაუსრულებული. მიწერილობით ს. პ.-ს დაევადა დარღვევის გამოსწორების მიზნით, ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა ან შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარდგენა 30 დღის ვადაში.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 10 ოქტომბრის №00001180 შემოწმების აქტით დადგენილია, რომ 2009 წლის 8 სექტემბერს გაცემული მიწერილობით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის დადგენის მიზნით შედგენილ იქნა შემოწმების აქტი მასზედ, რომ ს. პ.-ის მიერ არ იქნა შესრულებული მიწერილობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2009 წლის 16 ნოემბერს გამოტანილ იქნა №00001180 დადგენილება, რომლითაც ს. პ.-ი დაჯარიმდა 10 000 ლარით უნებართვო მშენებლობისათვის და 3000 ლარით მიწერილობის შეუსრულებლობისათვის, „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-51 მუხლის „ბ“ პუნქტითა და მე-55 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, კერძოდ ქ. თბილისში, ...ის ქ. №9-ში ს. პ.-ის მიერ განხორციელებულ იქნა ერთსართულიან საცხოვრებელ სახლზე მეორე სართულის დაშენება შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის (შეთანხმებული პროექტი და მშენებლობის ნებართვა) გარეშე, ასევე არ იქნა შესრულებული მიწერილობით მითითებული მოთხოვნები.

ქ. თბილისის მერიის 2009 წლის 28 დეკემბრის №2148 განკარგულებით არ დაკმაყოფილდა ს. პ.-ის ადმინისტრაციული საჩივარი და ძალაში დარჩა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2009 წლის 16 ნოემბრის №00001180 დადგენილება.

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქმე გამოკვლეულია არასრულყოფილად, რაც არ იძლევა გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმებისა და საქმეზე არსებითად სწორი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, კასატორი სადავოდ ხდის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითებს სააპელაციო და პირველ ინსტანციაში დაცულ მტკიცებულებებზე და თვლის, რომ მითითებული დოკუმენტები არ ქცეულა სასამართლოს მსჯელობის საგნად, რამდენადაც გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით ს. პ.-ი 2009 წლის 16 ნოემბერს სახდელდადებულია ერთსართულიან საცხოვრებელ სახლზე მეორე სართულის დაშენების გამო საპროექტო დოკუმენტაციის გარეშე ჩადენილი სამართალდარღვევისათვის, მაშინ როდესაც იგი აწარმოებდა საცხოვრებელი სახლის სახურავის მოხსნასა და ფანჯრების შეცვლას.



სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

მოცემული ნორმის მოთხოვნებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს ტექალრიცხვის ბიუროდან წარმოდგენილ დოკუმენტზე. კერძოდ, საქმეში დაცულია საინვენტარიზაციო გეგმა-ნახაზები, მათ შორის 1990 წლების მდგომარეობით, რომლითაც დასტურდება მითითებულ შენობაზე მეორე სართულის არსებობა (ლიტ „ბ“ შენობა-ნაგებობა). საქმეში წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 26 ოქტომბრის №273672 წერილი შეიცავს იგივე მითითებას, რომ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივის მონაცემების შესაბამისად, ...ის ქ. №9-ში მდებარე სახლთმფლობელობა უკანონო მიშენება-დაშენების ჩათვლით 1990 წლის და შემდგომი პერიოდის მდგომარეობით შედგება: ლიტ. „ა“ ერთ სართულიანი საცხოვრებელი შენობა-ნაგებობისაგან სარდაფით და ლიტ. „ბ“ ორ სართულიანი საცხოვრებელი შენობა-ნაგებობისაგან.

საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, ზემოაღნიშნულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სააპელაციო სასამართლოს კვლევის საგნად იქცეს ის გარემოება, ს. პ-ი სახდელდადებულია მეორე სართულის მშენებლობისათვის, თუ უკვე არსებული და 1990 წლის მდგომარეობით დაფიქსირებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციისათვის, რაც არსებითად ცვლის საქმეზე მისაღები გადაწყვეტილების სამართლებრივ შედეგს.

სააპელაციო სასამართლომ შეფასება უნდა მისცეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 3 იანვრით დათარიღებულ ამონაწერს საჯარო რეესტრიდან, რომლითაც ქ. თბილისში, ...ის ქ. №9-ში მიმდებარედ დაზუსტებული 179 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი 330,21 კვ.მ. საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ს. პ-ის სახელზე.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2010 წლის 5 თებერვლის №... დასკვნით საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით ქ. თბილისში, ...ის ქ. №9-ში მდებარე ს. პ-ის სახელზე რიცხული მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი შეადგენს 179 კვ.მ. ხოლო მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი შეადგენს 330,21 კვ.მ. წარმოდგენილი შპს „...ის“ მიერ 2007 წელს შესრულებული შენობის შიდა აზომვითი ნახაზის მიხედვით მისი ოთახებისა და სათავსოების საერთო ფართობი შეადგენს 330,21 კვ.მ., რასაც ემთხვევა ექსპერტიზის მიერ ფაქტობრივად ჩატარებული აზომვითი სამუშაოების მონაცემები. აღნიშნული შენობა-ნაგებობისა და შპს „...ის“ მიერ შესრულებული შიდა აზომვითი ნახაზის ურთიერთშედარების შედეგად ექსპერტიზამ დადგინილად მიიჩნია, რომ მისი შიდა ტიხრების ფაქტობრივი მდგომარეობა ოთახებისა და სათავსოების შიდა ზომები და მათი ფართობი შეესაბამება შპს „...ის“ მიერ შესრულებულ შიდა აზომვით ნახაზზე დატანილ მონაცემებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შენობის შიდა ოთახებისა და სათავსოების გაბარიტული ზომები, ასევე კედლებისა და ტიხრების მდებარეობა არ არის შეცვლილი შპს „...ის“ მიერ შესრულებული შიდა აზომვით ნახაზთან მიმართებაში.

იმ პირობებში, როდესაც შესაბამის ორგანოებში დაცული დოკუმენტაციით ცალსახად დასტურდება მე-2 სართულის არსებობის ფაქტი, საკასაციო სასამართლო ექვემდებარება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას მე-2 სართულის დაშენების თაობაზე.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად, არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონმდებლობის მკაცრი დაცვის საფუძველზე. საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირები ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით.

სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პასუხისმგებლობის დადება უნდა მოხდეს კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით, დაუშვებელია პირს სახდელი დაედოს იმ გადაცდომისათვის, რომელიც მას არ ჩაუდენია.

სადავო აქტების კანონიერების შეფასების პროცესში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგნად უნდა იქცეს ჩაიდინა თუ არა კასატორმა (მოსარჩელემ) ის კონკრეტული სამართალდარღვევა, რომელიც მას შეერაცხა.

ამასთან საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელთა განმარტებას მტკიცების ტვირთთან მიმართებაში და აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტებს შემდეგს: უდავოა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლენა და მის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს სპეციფიკურ მმართველობით საქმიანობას. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება არსებითად განსხვავდება სხვა მმართველობით სფეროში მიღებული გადაწყვეტილებისაგან მისი მიღებისა და გამოცემის პროცედურის თვალსაზრისით, რის გამოც საკასაციო სასამართლო ამ ტიპის აქტების კანონიერების შემოწმების პროცესში არ არის კატეგორიული და საჭიროდ არ მიიჩნევს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის უპირობო დაცვას, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული აქტების კანონიერებას შემოწმების პროცესში სასამართლო ვერ გამორიცხავს ადმინისტრაციული სამართალ-

წარმოების ზოგადი პრინციპის-შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვის სავალდებულობას, რომლის შესაბამისადაც, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წარმოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის სრულყოფილ რეალიზაციას უზრუნველყოფს ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, მტკიცების ტვირთის ამგვარი განაწილება სარჩელის წარდგენისას არცერთ შემთხვევაში არ გულისხმობს იმას, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური საერთოდ გათავისუფლებულია სარჩელის უარყოფის ვალდებულებისაგან ანუ იმ გარემოებების შესაბამისი მტკიცებულებებით უარყოფის მოვალეობისაგან, რომლითაც ექვემდებარება აყენებს მისი აქტის კანონიერებას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ყოველი კონკრეტული სამართალდარღვევის თაობაზე წარმოებულ დავაში ისევე როგორც წინამდებარე შემთხვევაში გადამწყვეტია გარკვეული ფაქტის დადგენა, რადროსაც მოსარჩელესა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის მტკიცების ტვირთი პროპორციულად უნდა გადანაწილდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი ყველა მტკიცებულების შეჯერების საფუძველზე უნდა დაადგინოს, ჰქონდა თუ არა ადგილი მოსარჩელის მხრიდან ერთ სართულიან სახლზე მეორე სართულის დაშენების ფაქტს, ვინაიდან კონკრეტული სამართალური თიერთობა აღმოცენებულია სწორედ აღნიშნული ფაქტის საფუძველზე და სადავო აქტი დამდგარ იურიდიულ შედეგს უკავშირებს სწორედ ამ კონკრეტული ფაქტის არსებობას და არა სხვა რაიმე გარემოებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე საქროებს დამატებით შესწავლა-გამოკვლევას, რა მიზნითაც საქმეს განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

1. ს. პ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 17 დეკემბრის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### მტკიცების ტვირთის განაწილება

#### გადანწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1657-1629(კ-11)

29 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: დ. გ-ი

მოპასუხე: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახური

სარჩელის სახე: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე და 24-ე მუხლების საფუძველზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და საჯარო რეესტრის დავალდებულება ქმედების განხორციელების თაობაზე.

სარჩელის საგანი:

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 23 თებერვლის №... გადაწყვეტილებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 14 თებერვლის №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დავალდებულება გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც შევა ცვლილება საჯარო რეესტრის ამონაწერიში;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დავალდებულება, საჯარო რეესტრის ამონაწერში სიტყვა „დაუზუსტებელი“ შეცვალოს „დაზუსტებულით“.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურმა, დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის მიერ გაცემული საკუთრების უფლების №... მონაწილის საფუძველზე, განახორციელა დაზუსტებული მონაცემებით 7500 კვ/მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია და 2008 წლის 21 აპრილს გაიცა ამონაწერი. შემდგომ, 2011 წლის 9 თებერვალს გაცემულ საჯარო რეესტრის ამონაწერში 7500 კვ/მ მიწის ნაკვეთი დაფიქსირებულია დაუზუსტებელი მონაცემებით. დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურმა 2011 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით უარი განაცხადა ხარვეზის გამოსწორებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, რომელმაც არ დააკმაყოფილა ადმინისტრაციული საჩივარი. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, საქმის ვითარებაში გარკვევის გარეშე იდენტური, დაუსაბუთებელი და აუხსნელი პასუხი გასცა, ისე რომ არც გამოიკვლია, თუ რატომ მოხდა დაზუსტებული მიწის ნაკვეთის მოულოდნელად დაუზუსტებლად გადაქცევა.

სამართლებრივი: მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მარეგისტრირებული ორგანოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და დაევალოს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე, 23-ე და 24-ე მუხლების საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 31 მარტის განჩინებით, საქმე განსახილველად გადაეგზავნა განსჯად – მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

მოპასუხის შესაგებელი:

ფაქტობრივი:

მოპასუხე მხარემ წარმოდგენილი შესაგებელით და საქმის ზეპირი მოსმენის დროს სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებები მიღებულია კანონმდებლობის ნორმათა სრული დაცვით და არ არსებობს მათი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველები, ვინაიდან უძრავ ნივთზე რეგისტრირებული მონაცემები შეესაბამება სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში არსებულ მონაცემებს.

სამართლებრივი: მოპასუხის მითითებით, არ არსებობს საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული ტექნიკური ხარვეზი, რომელიც შეიძლება გამოწვეულიყო სარეგისტრაციო სამსახურის მიერ დოკუმენტაციიდან მონაცემების უზუსტო გადატანით და ტექნიკური ან გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომით. ამდენად მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძველავა.

საქმის გარემოებები:

დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე უფლების აღიარების მუდმივმოქმედმა კომისიამ, 2008 წლის 12 მარტის სხდომაზე განიხილა დ. გ-ის განცხადება, დუშეთის რაიონის სოფ. ... არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 7500 კვ/მ მიწის ფართობზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ. კომისიამ დააკმაყოფილა განცხადება და აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე 2008 წლის 17 მარტს გაცემულ იქნა საკუთრების უფლების მონაწილე №..., რომლის თანახმად, დ. გ-ს საკუთრებაში გადაეცა სოფ. ... მდებარე 7500 კვ/მ ფართობის მიწის ნაკვეთი.

2008 წლის 21 აპრილს დ. გ-მა №... განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურს, რომლითაც მოითხოვა, დუშეთის რაიონის სოფ. ... მდებარე მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია და დადგენილი წესით საჯარო რეესტრის ამონაწერისა და საკადასტრო რუკის გაცემა. 2008 წლის 21 აპრილის სააღრიცხვო ბარათის თანახმად, დუშეთის რაიონის სოფ. ... მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით: ... რეგისტრირებულია დ. გ-ის საკუთრების უფლება, ხოლო მიწის ფართობი მითითებულია – 0,75 ჰა (დაზუსტებული). უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი – 2008 წლის 17 მარტის საკუთრების უფლების მონაწილე №...; უფლების განაცხადის რეგისტრაციის №...; უფლების განაცხადის რეგისტრაციის თარიღი – 2008 წლის 21 აპრილი; უფლების რეგისტრაციის თარიღი – 2008 წლის 25 აპრილი.

დ. გ-მა 2009 წლის 2 დეკემბერს განცხადებით მიმართა დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურს, რომლითაც მოითხოვა დუშეთის რაიონის სოფ. ... მდებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია. განცხადებას თან ერთვის: ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტი, 2008 წლის 21 აპრილის მიწის (უძრავი ქონების) შესახებ საჯარო რეესტრის ამონაწერი და სხვა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა, ვინაიდან განცხადებას თანდართული საკადასტრო აზომებით ნახაზის მიხედვით, წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები არ შეესაბამება მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემებს, კერძოდ, წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის საზღვრები იჭრება მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში საკადასტრო კოდით – ... და ..., რომლის შესა-

კუთრეები არიან ნ. ს-ი და გ. მ-ე. დ. გ-ს ასევე განემარტა, რომ უძრავ ნივთზე უფლების რეგისტრაციისათვის წარმოსადგენია კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა, ვინაიდან სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარმოდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი/ინფორმაცია.

დ. გ-მა 2011 წლის 11 თებერვალს განცხადებით მიმართა დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურს, რომლითაც მოითხოვა საჯარო რეესტრის ჩანაწერში (ზონა: დუშეთი, სექტორი: ბაზალეთი) ტექნიკური ხარვეზის შესწორება, კერძოდ, „დაუზუსტებელი“ ნაცვლად მიეთითოს „დაზუსტებული“. განცხადებას თან ერთვის დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რეგისტრაციის №..., განცხადება, საკადასტრო აზომვითი ნახაზი, ელ.ვერსია.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით, დ. გ-ს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, ვინაიდან უძრავ ნივთზე რეგისტრირებული მონაცემები შეესაბამება სარეგისტრაციო დოკუმენტებში არსებულ მონაცემებს და ტექნიკური ხარვეზის არსებობა არ დასტურდება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით დ. გ-ის 2011 წლის 18 თებერვლის ადმინისტრაციული საჩივარი დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 14 თებერვლის №... გადაწყვეტილების გაუქმების და უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან მოშვებულ ამონაწერში ცვლილების შეტანის მოთხოვნით, არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან საჯარო რეესტრის ჩანაწერებში არ არსებობს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული ტექნიკური ხარვეზი, რომელიც შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო სარეგისტრაციო სამსახურის მიერ დოკუმენტაციიდან მონაცემების უზუსტო გადატანით და ტექნიკური ან გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომით.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით, დ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

2011 წლის 9 თებერვლის საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, დუშეთის რაიონის სოფ. ... მდებარე 7500 კვ/მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით: ... დაუზუსტებელი მონაცემებით რეგისტრირებულია დ. გ-ის საკუთრების უფლება. უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი – 2008 წლის 17 მარტის საკუთრების უფლების მონაშობა №...; უფლების განაცხადის რეგისტრაციის №...; უფლების განაცხადის რეგისტრაციის თარიღი – 2008 წლის 21 აპრილი.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. გ-ის 2008 წლის 21 აპრილის №1074 განცხადებასთან ერთად დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურში წარმოდგენილი იყო შპს „...“ მიერ შესრულებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის ქაღალდის ვერსია, რომელსაც თან არ ახლდა ინსტრუქციით გათვალისწინებული შესაბამის ფორმატში შესრულებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის ელექტრონული ვერსია.

მხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები შეესაბამება სარეგისტრაციო დოკუმენტებში არსებულ მონაცემებს და 2008 წლის 24 აპრილს განხორციელებული 0.74 ჰექტარი მიწის ნაკვეთზე დ. გ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია განხორციელებულია დაუზუსტებელი მონაცემებით. შესაბამისად არ არსებობდა საქართველოს კანონის „საჯარო რეესტრის შესახებ“ 28-ე მუხლით გათვალისწინებული სარეგისტრაციო სამსახურის მიერ დოკუმენტაციიდან მონაცემების არაზუსტი გადატანის და ტექნიკური ან გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომით გამოწვეული ტექნიკური ხარვეზი. შესაბამისად, მარეგისტრირებელმა ორგანომ კანონმდებლობის სრული დაცვით გამოსცა აქტები.

სასამართლოს მიერ თავისი ინიციატივით მოპოვებული და დადგენილი ფაქტების შეფასება

სასამართლოს თავისი ინიციატივით არ მოუპოვებია ფაქტები.

სასამართლოს დასკვნები – საქმის მასალების გაცნობის, მხარის ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დ. გ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

რაიონული სასამართლოს მითითებით, რეგისტრაციის დროისათვის მოქმედი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანების „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის ციფრული ვერსია წარმოდგენილ უნდა იქნეს ArcGIS (სჰპ) ფაილის ფორმატში წერტილოვანი, ხაზოვანი და პოლიგონური ფენების სახით.“ იმავე ინსტრუქციის 74-ე მუხლის თანახმად, „მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის ციფრული ვერსია მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სარეგისტრაციო წარმოებას ელექტრონული საშუალებების გამოყენებით აწარმოებს“.

2010 წლის 15 იანვრის საქართველოს იუსტიციის მინისტრის №4 ბრძანების „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „თუ საჯარო რეესტრში უფლება რეგისტრირებული უძრავი ნივთის მონაცემებში მინის ფართი მითითებულია როგორც დაზუსტებული და ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში დაცულია რეგისტრაციის დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი საკადასტრო დაგეგმვითი ნახაზი, ამასთან, მარეგისტრირებელ ორგანოში არ არის წარმოდგენილი ამ ინსტრუქციის შესაბამისი საკადასტრო ინფორმაცია, საკადასტრო მონაცემები მიიჩნევა დაუზუსტებლად, ხოლო მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში შეასწოროს რეგისტრირებული მონაცემები, გასცეს შესაბამისი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა“.

2010 წლის 15 იანვრის საქართველოს იუსტიციის მინისტრის №4 ბრძანების „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „საკადასტრო გეგმა არ გაიცემა, თუ მინის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები დაუზუსტებელია. რეგისტრაციის მიზნებისათვის უძრავი ნივთის დაზუსტებული საკადასტრო მონაცემები ნიშნავს ამ ინსტრუქციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილ, საჯარო რეესტრში დაცულ საკადასტრო ინფორმაციას. სხვა შემთხვევაში უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემები მიიჩნევა დაუზუსტებლად“. 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საკადასტრო მონაცემები არის ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით ასახული, მინის ნაკვეთის საზღვრის კონფიგურაციის და ადგილმდებარეობის, მასზე არსებული ნაგებობების, მათ შორის, ხაზოვანი ნაგებობების, ასევე სერვიტუტის ან სხვა სამართლებრივი შეზღუდვის ფარგლების შესახებ გრაფიკულად და ტექსტურად გამოსახული ზუსტი ინფორმაცია. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საკადასტრო აზომვითი ნახაზი არის ამ ინსტრუქციის მოთხოვნათა დაცვით შესრულებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების ამსახველი დოკუმენტი“. იმავე ინსტრუქციის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საკადასტრო აღწერის შედეგი (საკადასტრო აზომვითი ნახაზი) წარმოდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატთა სისტემაში, კერძოდ, WGS 84 კოორდინატთა სისტემასა და UTM პროექციაში. სასამართლოს მითითებით, დ. გ-ის მიერ 2008 წლის 21 აპრილის №... განცხადებით წარდგენილ იქნა საკადასტრო აზომვითი ნახაზის ქალაქის ვერსია, რომელსაც თან არ ახლდა რეგისტრაციის დროისათვის მოქმედი ინსტრუქციით გათვალისწინებული შესაბამისი ფორმატში შესრულებული ელექტრონული ვერსია, შესაბამისად, რეგისტრაცია განხორციელდა დაუზუსტებელი მონაცემებით.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების განმავლობაში მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, თუ რეგისტრირებული უფლება, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულება, მათში ცვლილება და მათი შეწყვეტა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა ან საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა გამორიცხავს იმავე უძრავ ნივთზე სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი უფლების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის ან საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ან/და კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონის ისეთ დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი შედეგი, ადგილი არ ჰქონია.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებები, სწორად შეაფასა ისინი და მითითებული ნორმატიული აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით მიიღო კანონშესაბამისი გადაწყვეტილებები. შესაბამისად, არ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის თანახმად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 23 თებერვლის №... გადაწყვეტილების და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 14 თებერვლის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი და შესაბამისად უსაფუძვლოა მოსარჩელის მოთხოვნა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზეც.

აპელანტი: დ. გ-ი

მონინალმდგე მხარეები (მოპასუხე): საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახური

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები

ფაქტობრივი: აპელანტის განმარტებით, სასამართლომ არ გამოიკვლია საქმე სრულად, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული და დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

მონინალმდგე მხარის შეპასუხება:

**მოტივები:**

მონინალმდეგე მხარეს წერილობითი შეპასუხება არ წარმოუდგენია, თუმცა სასამართლოს სხდომაზე სააპელაციო საჩივარი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 სექტემბრის განჩინებით, დ. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არგაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან საბოლოო საქმის საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რაც გაიზიარა სააპელაციო პალატამ. სააპელაციო სასამართლომ ასევე სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

დამატებითი მოტივაცია სააპელაციო პალატას არ წარმოუდგენია.

კასატორი: დ. გ-ი

მონინალმდეგე მხარეები (მოპასუხე): საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახური

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 22 სექტემბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასაციის მოტივები: სამართლებრივი:

პროცესუალური: კასატორის მითითებით გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

მატერიალური: კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც მხოლოდ 6 თვის შემდეგ შევიდა ძალაში, ასევე იუსტიციის მინისტრის მე-4 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია ძალაში შევიდა 2010 წელს, მითითებული ნორმები კი ვერ მოქმედებენ დ. გ-ის წინააღმდეგ. სასამართლომ არ გამოიყენა იუსტიციის მინისტრის მიერ №800 ბრძანებით გათვალისწინებული მუხლები, სადაც საუბარია მხარის მიერ არასრულად წარდგენილი დოკუმენტების თაობაზე.

სასამართლოების მიერ არ იქნა გამოკვლეული თუ როგორ მოხდა დაზუსტებული ფართის დაუზუსტებლად გადაქცევა, სასამართლომ არ გაითვალისწინა მხარის მოთხოვნა განცხადების მიღების ბარათის გამოთხოვის თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინამძღვრები: (სასკ 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორის დ. გ-ის საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით, კერძოდ „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 22 სექტემბრის განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდეს დ. გ-ის სარჩელი. კერძოდ, ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 23 თებერვლის №... გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალოს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საჯარო რეესტრის ამონაწერიში (კოდი №...) სათანადო ცვლილებების ასახვით; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალოს ქმედების განხორციელება: რეესტრის ამონაწერიში (კოდი №...) სიტყვა „დაუზუსტებული“ შეცვალოს სიტყვა „დაზუსტებულით“; შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 და 394-ე „ე“ მუხლების მოთხოვნები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია.

სააპელაციო სასამართლომ ისე გადაწყვიტა დავა, რომ არ გაუქარწყლებია სააპელაციო საჩივრის მოტივაცია, არ გადმოუცია გადაწყვეტილებაში სააპელაციო საჩივრის სამართლებრივი არგუმენტაციის იურიდიული დასაბუთება, რითაც დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნა საქმის გარემოებათა ყოველმხრივ ობიექტურად დადგენისა და კანონიერი შეფასებების თაობაზე.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის 2008 წლის 12 მარტის №8 ოქმით დაკმაყოფილდა დ. გ-ის მოთხოვნა და მართლზომიერი მფლობელობის უფლებით საკუთრებაში იქნა აღიარებული 7500მ<sup>2</sup> სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი საკადასტრო აზომვით ნახაზში მითითებულ საზღვრებში.

ზემოაღნიშნული ოქმის საფუძველზე დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №... საკუთრების უფლების მონაწილე დ. გ-ს საკუთრებაში გადაეცა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ფართობი 7500 კვ.მ. სოფ. ... მითითებულ მონაწილას ახლდა მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი, რომელიც წარმოადგენს მონაწილას განუყოფელ ნაწილს.

2008 წლის 21 აპრილს დ. გ-მა №... განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამსახურს და მოითხოვა დუშეთის რ/ნ, სოფ. ... მდებარე მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და საკადასტრო რუკის გაცემა.

2008 წლის 21 აპრილის სააღრიცხვო ბარათის შესაბამისად, დუშეთის რ/ნ, სოფ. ... მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით: ... რეგისტრირებულია დ. გ-ის საკუთრების უფლება, ხოლო მიწის ფართობი მითითებულია – 0,75 ჰა (დაზუსტებული) უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია: 2008 წლის საკუთრების უფლების მონაწილე №...; უფლების განაცხადის რეგისტრაციის №...; უფლების განაცხადის რეგისტრაციის თარიღი – 2008 წლის 21 აპრილი; უფლების რეგისტრაციის თარიღი – 2008 წლის 25 აპრილი.

დ. გ-მა 2009 წლის 2 დეკემბერს განცხადებით მიმართა დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურს, რომლითაც მოითხოვა დუშეთის რ/ნ-ის სოფ. ... მდებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია. განცხადებას თან ერთვის ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტი, 2008 წლის 21 აპრილის მიწის (უძრავი ქონების) შესახებ საჯარო რეესტრის ამონაწერი და სხვა.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა, ვინაიდან განცხადებას თანდართული საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით, წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები არ შეესაბამება მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემებს, კერძოდ, წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის საზღვრები იჭრება მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში საკადასტრო კოდით – ... და ..., რომლის შესაკუთრებები არიან – ნ. ს-ი და გ. მ-ე. დ. გ-ს ასევე განემარტა, რომ უძრავ ნივთზე უფლების რეგისტრაციისათვის წარმოსადგენია კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა, ვინაიდან სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა წარმოდგენილი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი/ინფორმაცია.

2011 წლის 9 თებერვლის საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, დუშეთის რ/ნ, სოფ. ... მდებარე 7500 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით: ... დაზუსტებული მონაცემებით რეგისტრირებულია დ. გ-ის საკუთრების უფლება, უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია: 2008 წლის საკუთრების უფლების მონაწილე №72; უფლების განაცხადის რეგისტრაციის №...; უფლების განაცხადის რეგისტრაციის თარიღი – 2008 წლის 21 აპრილი.

დ. გ-მა 2011 წლის 11 თებერვალს განცხადებით მიმართა დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურს, რომლითაც მოითხოვა საჯარო რეესტრის ჩანაწერში (ზონა: დუშეთი, სექტორი: ...) ტექნიკური ხარვეზის შესწორება, კერძოდ, „დაზუსტებულის“ ნაცვლად მიეთითოს „დაზუსტებული“. განცხადებას თან ერთვის დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რეგისტრაციის №...; განცხადება, საკადასტრო აზომვითი ნახაზი, ელ.ვერსია.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით, დ. გ-ს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, ვინაიდან უძრავ ნივთზე რეგისტრირებული მონაცემები შეესაბამება სარეგისტრაციო დოკუმენტებში არსებულ მონაცემებს და ტექნიკური ხარვეზის არსებობა არ დასტურდება.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით დ. გ-ის 2011 წლის 18 თებერვლის ადმინისტრაციული საჩივარი დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 14 თებერვლის №... გადაწყვეტილების გაუქმების და უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან მომზადებულ ამონაწერში ცვლილების შეტანის მოთხოვნით, არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის დ. გ-ის კასაციის მოტივს, რომ მის მიმართ ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის განხილვისას არ გაითვალისწინა საქართველის იუსტიციის მინისტრის

2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანება „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, კერძოდ, თუ რა შედეგები უნდა დადგეს მხარის მიერ სარეგისტრაციოდ არასრულყოფილი მასალების წარდგენის შედეგად.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, დ. გ-ის მიერ საკუთრების უფლების რეგისტრაციის დროისათვის მოქმედი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანების „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ მე-10 მუხლის შესაბამისად, რეგისტრაცია წარმოებს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის, საკადასტრო მონაცემების და სხვა დოკუმენტაციის საფუძველზე. ამავე ინსტრუქციის 48-ე მუხლის შესაბამისად, საკადასტრო აღწერის შედეგი (საკადასტრო აზომვითი ნახაზი) წარმოდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო გეოდეზურ კოორდინატთა სისტემაში, კერძოდ, WGS 84 კოორდინატთა სისტემისა და UTM პროექციაში.

ამავე ინსტრუქციის 59-ე მუხლის შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანო განცხადების წარდგენას ადასტურებს ელექტრონული ან ქაღალდის ვერსიის განცხადების რეგისტრაციის წიგნში რეგისტრაციითა და მასზე სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია დაუყოვნებლივ გაატაროს რეგისტრაციაში წარმოდგენილი განცხადება და გასცეს განცხადების მიღების ბარათი. ხოლო მე-60 მუხლში ჩამოთვლილია მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადებას თუ არ ერთვის თან რეგისტრაციისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეაჩეროს სარეგისტრაციო წარმოება და დაავალოს განმცხადებელს სარეგისტრაციო დოკუმენტების სრულყოფილად წარდგენა, ხოლო თუ სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნება წარმოდგენილი შეჩერების საფუძველის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება.

კონკრეტულ შემთხვევაში კი, 2008 წლის 21 აპრილს დ. გ-მა №... განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამსახურს და მოითხოვა დუშეთის რ/ნ, სოფ. ... მდებარე მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია, საჯარო რეესტრის ამონაწერისა და საკადასტრო რუკის გაცემა, რომლის შესაბამისადაც დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ დუშეთის რ/ნ, სოფ. ... მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით: ... რეგისტრირებულია დ. გ-ის საკუთრების უფლება, ხოლო მიწის ფართობად მითითებულია – 0,75 ჰა (დაზუსტებული) უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია: 2008 წლის საკუთრების უფლების მონობა №...; უფლების განაცხადის რეგისტრაციის №...; უფლების განაცხადის რეგისტრაციის თარიღი – 2008 წლის 21 აპრილი; უფლების რეგისტრაციის თარიღი – 2008 წლის 25 აპრილი.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ყოველგვარი სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველის გარეშე 2009 წლის 9 თებერვლის განახლებულ საჯარო რეესტრის ამონაწერში მიწის ფართობის – 7500,00 კვ.მ. „დაზუსტებელის“ მითითება იმ საფუძველით, რომ დ. გ-ის მიერ 2008 წლის 21 აპრილის №1074 განცხადებით წარდგენილი იყო მხოლოდ აზომვითი ნახაზის ქაღალდის ვერსია, რომელსაც თან არ ახლდა რეგისტრაციის დროისათვის მოქმედი ინსტრუქციით გათვალისწინებული შესაბამისი ფორმატში შესრულებული ელექტრონული ვერსია და ამის გამო რეგისტრაცია განხორციელდა დაზუსტებული მონაცემებით, ვერ იქნება საკასაციო სასამართლოს მიერ გაზიარებული ვინაიდან, მოსარჩელის მტკიცებით მას ეს დოკუმენტი წარდგენილი ჰქონდა საჯარო რეესტრში, რის საწინააღმდეგოს მტკიცებაც მოჰასუსხეს ევალუბა. არც ერთი ინსტანციის სასამართლოში მოჰასუსხეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება – დ. გ-ის განცხადების დანართის შესახებ, რომლის შენახვის ვალდებულებაც მას ეკისრებოდა, რაკი თავისი ინიციატივით მოახდინა საკუთრების უფლების საგნის თვისების (დაზუსტებული-დაზუსტებლით) ახალი რეგისტრაცია.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 21 აპრილს განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს აღმჭურველი შინაარსის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს, ვინაიდან აღნიშნული აქტით კასატორს – დ. გ-ს ანიჭებს საკუთრების უფლებას მიწის ნაკვეთზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობა იცავს და აღიარებს მესაკუთრის უფლებას. პირის ამ ძირითადი უფლების დაცვა ქვეყანაში არსებული ყველა ადმინისტრაციული ორგანოს უშუალო ვალდებულებას წარმოადგენს.

საერთაშორისო აქტებით და საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და დაცული უფლება – საკუთრების უფლება ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძირითად უფლებათაგანია, თუმცა იგი არ განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა რიგს. ეროვნული კანონმდებლობები ითვალისწინებენ შემთხვევებს, როდესაც აღმატებული საჯარო ინტერესის სასარგებლოდ შეიძლება საკუთრების უფლების შეზღუდვა, თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით.

საკუთრების უფლება თავის თავში მოიცავს ამ უფლების ქვეშ მყოფი ობიექტის იმგვარ მდგომარეობაში ყოფნის, შენახვა-მოვლის ვალდებულებას, როგორც არის მესამე პირთათვის და გარემოსათვის საფრთხის გამომრიცხველ და ზიანის მიუყენებლად ფუნქციონის უზრუნველყოფა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო პროცედურების ჩაუტარებლობა არღვევს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ მოთხოვნას პროცედურული დემოკრატის უზრუნველყოფის შესახებ, რომლის ხა-



რისხი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სახელმწიფოს ქვეშევრდომების კანონიერ მოლოდინს – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მმართველობის განხორციელება კანონიერების პრინციპის საფუძველზე, რასაც ადმინისტრაციულ სამართალში კანონიერი ნდობის უფლება ეწოდება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს კანონიერი ნდობა.

კანონიერი ნდობის უფლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებს, რადგან ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას თავისი არსით სუბორდინაციული ხასიათი გააჩნია. კანონიერი ნდობის უფლება იცავს პირს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივი შეცდომისა და მომავალში განსახორციელებელი მოქმედების შეუსრულებლობისაგან. აღნიშნული ინსტიტუტის სრულფასოვანი დამკვიდრება უზრუნველყოფს მმართველობის კანონიერებას, სტაბილურობას, მის ავტორიტეტს საზოგადოებაში.

კანონიერი ნდობის ინსტიტუტის არსებობა პირდაპირ კავშირშია სამართლებრივ შედეგთან, სწორედ სამართლებრივი შედეგის სტაბილურობის შენარჩუნების მიზანს ემსახურება კანონიერი ნდობის დაცვა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებელი გარკვეულწილად უფრთხილდება აღმჭურველი აქტის ადრესატის უფლებრივ მდგომარეობას და პრიორიტეტს ანიჭებს მისი სამართლებრივი ინტერესების დაცვას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ ყოველგვარი საფუძვლის გარეშე 2009 წლის 9 თებერვლის განახლებულ საჯარო რეესტრის ამონაწერში მინის ფართობის – 7500,00 კვ.მ. „დაუზუსტებლის“ მითითებით, შეილახა კასატორის დ. გ-ის საკუთრების უფლება, და ამასთან, დაირღვია ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი – კანონიერი ნდობის პრინციპი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2008 წლის 21 აპრილს განხორციელებული რეგისტრაცია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 9.1 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს დ. გ-ის კანონიერი ნდობის საფუძველს, მით უფრო მაშინ, როცა სახეზე არ არის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 9.2 მუხლში მითითებული საფუძველები, ამასთან მოპასუხე ვერ ამტკიცებს რა ფაქტებმა განაპირობა ჩანანერის შეცვლა.

საკასაციო სასამართლოს ასევე იზიარებს კასატორის საკასაციო საჩივრის მოტივს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით განსაზღვრულ მტკიცების ტვირთის გადანაწილების თაობაზე, და ვერ დაეთანხმება ქვემო ინსტანციების სასამართლოების მოტივაციას იმასთან დაკავშირებით, რომ მათ დადგენილად მიიჩნიეს ის გარემოება, რომ დ. გ-ის მიერ 2008 წლის 21 აპრილის №... განცხადებასთან ერთად დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი იყო მხოლოდ აზომვითი ნახაზის ქალაქის ვერსია და მას არ ახლდა საკადასტრო აზომვითი ნახაზის ელექტრონული ვერსია, და იმის მტკიცების ტვირთი, რომ დ. გ-მა წამდვილად წარადგინა 2008 წლის 21 აპრილს საკადასტრო აზომვითი ნახაზის ელექტრონული ვერსია, დააკისრა მოსარჩელეს – დ. გ-ს.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთის გადანაწილების პრობლემა ჯერ კიდევ აქტუალურია, როგორც თეორიული, ასევე, ტექნიკური თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო მოცემულ საქმეზე სამართლებრივი დასკვნების ჩამოყალიბებისას ეყრდნობა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის განჩინებაში საქმეზე №ბს-626-596(კ-07) ბ. ნ-ის სარჩელისა გამო მოპასუხე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ), ჩამოყალიბებულ სასამართლო დასკვნებს, კონკრეტულად, საერთო სასამართლოების მხრიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლის სწორ გაგება-განმარტებასთან დაკავშირებით.

მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტს აქვს არა მარტო საპროცესო სამართლებრივი, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სრულად გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში. მითითებული პრინციპის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლები).

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის 1 პუნქტის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი, წარადგინოს თავისი შესაგებელი და შესაბამისი მტკიცებულებები. მითითებული დებულება ადგენს მხარეთა საპროცესო მოვალეობებს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რაც უზრუნველყოფს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის სრულყოფილ რეალიზაციას. აქვე, კანონი ადგენს საგამონაკლისო შემთხვევას, კერძოდ, როცა დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლზომიერების შემოწმება, მტკიცების ტვირთი გადადის აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოზე – მოპასუხე სუბიექტზე. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დამტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილება აქტთან დაკავშირებულ სარჩელის წარდგენისას არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ მოსარჩელე საერთოდ თავისუფლდება სარჩელის დასაბუთების ვალდებულებისაგან, ანუ იმ გარემოებების შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურების მოვალეობისგან, რითაც მისი მოთხოვნა ფაქტობრივად და იურიდიულად გამართლებული აღმოჩნდება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით დადგენილი პირობა სწორედ ამგვარად უნდა იქნეს გაგებული, რამდენადაც სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას აქტის გამომცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერების დამტკიცება სასამართლოს წინაშე, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1. მუხლის მიხედვით ადმინისტრაციული ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ვალდებულებას და სამართლებრივ პასუხისმგებლობას აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით, შესაბამისად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2 მუხლით სადავო აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთისგან თავისუფლებს მოსარჩელეს და ავალდებულებს მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაამტკიცოს, რომ მან უზრუნველყო მის მიერ გამოცემული გადაწყვეტილების კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად მომზადება, მიღება, გამოცემა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2. მუხლით ადმინისტრაციულ ორგანოს ვეალება დაამტკიცოს სწორედ სადავო აქტის სამართლებრივი მხარე, რადგან მატერიალურ-სამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით მას აქვს საჯარო-სამართლებრივი ვალდებულება თავისი გადაწყვეტილება, ყოველგვარი გასაჩივრების პრეზუმფციის გარეშე, მიიღოს მხოლოდ კანონის შესაბამისად, ამდენად სავსებით ლოგიკურია მტკიცების ტვირთის ადმინისტრაციულ ორგანოზე დაკისრება“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კვლავაც ადასტურებს ზემომითთებულ განჩინებაში ჩამოყალიბებულ სასამართლო შეფასებებს და დასკვნებს, თუმცა, წინამდებარე საქმის გარემოებები დამატებით საჭიროებს მტკიცების ტვირთის გადანაწილების თავისებურებების განმარტებას, კერძოდ, განსახილველ შემთხვევაში, საჯარო რეესტრმა თავისი ინიციატივით, ისე რომ მესამე პირის საჩივარი წარდგენილი არ ყოფილა, პრაქტიკულად შეცვალა უძრავი ქონების რეგისტრაცია უძრავი ქონების თვისების მიმართ, რის გამოც რეალურად შეიცვალა უძრავი ქონების ფართის ოდენობა, თანაც ისე, რომ აღნიშნულზე არ ჩაატარა შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების სახე, წარმოებაში არ მიიწვია მესაკუთრე, არ მიუღია სათანადო სამართლებრივი აქტი საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე და არც ფაქტობრივად და სამართლებრივად არ დაუსაბუთებია იგი.

საქმის გარემოებების ამგვარი ერთობლიობა საკასაციო სასამართლოს მიაჩნება, რომ საჭიროა განმარტოს საჯარო დაწესებულებათა ვალდებულება – მათთან პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტების დაცულობასთან დაკავშირებით.

უდავოა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ რეგისტრაციაში ჩანაწერი „დაზუსტებული“ თავისი ინიციატივით შეცვალა ჩანაწერით „დაზუსტებელი“, იმ მოტივით, რომ მოსარჩელემ ისე დაარეგისტრირა ფართი, რომ არ წარუდგენია სათანადო დოკუმენტები.

ამ პირობებში, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მხარის მიერ წარდგენილ დოკუმენტთა ნუსხის შეუსაბამობის დამტკიცება, ადმინისტრაციულ ორგანოს ასეთი საერთოდ არ მოუხდენია, არც კონკრეტული მოსამსახურის მიმართ აღუძრავთ და გამოუყენებიათ რაიმე დისციპლინური ხასიათის ზომა არასრულფასოვანი დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაციის თაობაზე, შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის არც ერთი ნორმა არ ავალდებულებს პირებს წლობით ინახავდნენ ადმინისტრაციულ ორგანოებში წარდგენილ, ჩაბარებულ დოკუმენტთა ნუსხის დამადასტურებელ ასლს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცების ტვირთის გადანაწილების არსი მატერიალურ სამართალში ძვეს, ის, რისი ვალდებულებაც მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით არ ეკისრება პირს, საპროცესო სამართლებრივი ნორმითაც ვერ დაეკისრება.

კონკრეტულ შემთხვევაში, კი ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს არ დაუმტკიცებია ის გარემოებები, თუ რის საფუძველზე შეუცვალა დ. გ-ს საჯარო რეესტრის ჩანაწერში მითითებული „დაზუსტებული“ ფართი „დაზუსტებელით“, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ვერ დაამტკიცეს ის გარემოება, რომ დ. გ-ის მიერ სარეგისტრაციო წარდგენილ დოკუმენტებში არ იყო საკადასტრო ნახაზის ელ. ვერსია, რამდენადაც რეგისტრაციის მომენტში მოქმედი კანონმდებლობით სავალდებულო იყო საკადასტრო აზომვითი ნახაზის ელ.ვერსიის წარდგენა და რის გარეშეც ორგანო ვერ დაარეგისტრირებდა ფართს დაზუსტებული მონაცემებით.

იმ პირობებში, როცა ადმინისტრაციული ორგანო ცვლის რეგისტრაციის მონაცემებს თავისი ინიციატივით, ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცების ტვირთი მასზეა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივი შეცდომა, მით უფროს დაუსაბუთებელი და ფაქტობრივი გარემოებებით ვერ დამტკიცებული გადაწყვეტილება არ უნდა იყოს პირის საკუთრების უფლების შეზღუდვის მიზეზი. მით უფრო იმ შემთხვევაში, როცა დაინტერესებულ პირი სარგებლობს, აღჭურვილი და დაცულია კანონიერი ნდობის ინსტიტუტით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup>.1 შესაბამისად, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე, როგორც უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ასევე ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 23 თებერვლის №... გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რო-

გორც კანონსაწინააღმდეგო, რამდენადაც ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაცული არ ყოფილა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავის მოთხოვნები, კერძოდ, ამავე კოდექსის 194-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული თადადმინისტრაციული წარმოების შესახებ აცნობოს ყველა იმ პირს, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში და უზრუნველყოს მათი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

კონკრეტულ შემთხვევაში კი, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ მოწვეული არ ყოფილა საჩივრის ავტორი, ასევე არ გამოუკვლეოდა დ. გ-ის მიერ სარეგისტრაციო წარდგენილ დოკუმენტებში იყო თუ არ საკადასტრო ნახაზის ელ. ვერსია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვედა ინსტანციის სასამართლების დასკვნები სრულიად დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 53.1. მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებასაც, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55.1 მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი დაეკისრება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37.1. მუხლის თანახმად კი, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოს გარეშე ხარჯები. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უნდა დაეკისროს დ. გ-ის სასარგებლოდ, მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი – 100 ლარის, სააპელაციო სასამართლოში – 150 ლარისა და საკასაციო სასამართლოში – 300 ლარისა და სასამართლო ხარჯების – 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სსსკ-ის 53.2. მუხლის საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, სსსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წინაპირობები და დ. გ-ის სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 411-ე მუხლებით და

#### გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. დ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 22 სექტემბრის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. დ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
  - ა) ბათილად იქნას ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 23 თებერვლის №... გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
  - ბ) ბათილად იქნას ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ;
  - გ) საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალოს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საჯარო რეესტრის ამონაწერში (კოდი №...) სათანადო ცვლილებების ასახვით;
  - დ) საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაევალოს ქმედების განხორციელება: რეესტრის ამონაწერში (კოდი №...) სიტყვა „დაუზუსტებული“ შეცვალოს სიტყვა „დაზუსტებული“;
4. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაეკისროს დ. გ-ის სასარგებლოდ მის მიერ გაღებული ხარჯის, პირველი ინსტანციის სასამართლოში – 100 ლარის; სააპელაციო სასამართლოში – 150 ლარის; საკასაციო სასამართლოში – 300 ლარის; ჯამში – 550 ლარის გადახდა;
5. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევა

#### მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევის აუცილებლობა

##### ბანჩინება

№ბს-1088-1044(კ-09)

14 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)  
ნ. ქადაგიძე  
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ქმედების განხორციელება

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 22 მაისს სს „...“ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის კრწანისი-მთანმინდის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – ქ. თბილისის მთანმინდა-კრწანისის საოლქო საგადასახადო ინსპექციის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სარჩელს „...“ (უფლებამონაცვლის – „...“) მიმართ, ფონდის კუთვნილი სოციალური შენატანების ვადაგადაცილებული დავალიანების თანხებისა და მასზე რიცხული საურავების დაფარვის თაობაზე ეთქვა უარი.

მოსარჩელის განმარტებით, ქ. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის სარჩელი და „...“ და ... მშენებარე ობიექტის დირექციის საბანკო ანგარიშებიდან სოლიდარულად ჩამოინერა 97060,13 ლარი „...“ დავალიანების დასაფარავად.

მოსარჩელის მითითებით, ქ. თბილისის კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით მთანმინდა-კრწანისის საგადასახადო ინსპექციის სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება, რადგან არსებობდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, საგადასახადო სამსახური მაინც არ იღებდა მოსარჩელის – სს „...“ პირადი აღრიცხვის ბარათიდან ზემოაღნიშნულ დავალიანებებს და არიცხავდა საურავებს, რაზეც მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა ქ. თბილისის მთანმინდა-კრწანისის საოლქო საგადასახადო ინსპექციას, თუმცა უშედეგოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხისათვის საგადასახადო სამსახურში არსებული სს „...“ პირადი აღრიცხვის ბარათიდან დავალიანებების ამოღება და მასზე საურავების დარიცხვის შეწყვეტა მოითხოვა.

2003 წლის 9 მარტს სს „...“ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის კრწანისი-მთანმინდის რაიონულ სასამართლოს, რომლითაც მოსარჩელემ მოპასუხისათვის საგადასახადო სამსახურში არსებული სს „...“ პირადი აღრიცხვის ბარათიდან დავალიანების ამოღება, მასზე საურავების დარიცხვის შეწყვეტა, საგადასახადო ორგანოებისათვის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოსა და კრწანისის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებებით დაკისრებული ვალდებულების შესრულება მოითხოვა, კერძოდ, პირადი აღრიცხვის ბარათებიდან ამოღებული დავალიანების აღრიცხვის დავალება იმ საგადასახადო ორგანოსთვის, სადაც აღრიცხვაზე იდგნენ დავალიანებების ამლიარებელი პირები.

მოპასუხემ – მთანმინდა-კრწანისის საოლქო საგადასახადო ინსპექციამ სარჩელი არ ცნო და შესაგებელში აღნიშნა, რომ კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებში არ იყო მითითებული სადავო თანხების „...“ პირადი დაბეგვრის ბარათიდან ამორიცხვისა და „...“, ასევე ... მშენებარე ობიექტის დირექციის პირადი დაბეგვრის ბარათზე დარიცხვის შესახებ. მოპასუხემ ასევე მიუთითა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 30-ე მუხლის მე-3 ნაწილით, გადასახადის გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა უშუალოდ გადამხდელს. ამასთან, „...“ დებიტორებისგან თანხების საინკასო წესით ჩამოინერა იყო საგადასახადო ინსპექციის მიერ განხორციელებული ერთ-ერთი იძულებითი ღონისძიება, რომელიც არ ათავისუფლებდა გადასახადის გადამხდელს ვალდებულების შესრულებისაგან, მით უფრო, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად არ მომხდარა საგადასახადო დავალიანების ბიუჯეტში ამოღება.

ქ. თბილისის კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით სს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს – ქ. თბილისის მთანმინდა-კრწანისის საოლქო საგადასახადო ინსპექციას დაევალა ქმედების განხორციელება – კანონიერ ძალაში შესული საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 16 ივლისის №1422 გადაწყვეტილების, ქ. თბილისის კრწანისის რაიონის 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 24 მაისის განჩინების შესაბამისად, მოსარჩელე სს „...“ დაბეგვრის

პირადი სააღრიცხვო ბარათებიდან სოცალრიცხვისა და საშემოსავლო გადასახადებში დავალიანებების ძირითადი თანხებისა და საურავების ამოღება, ამ საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის პერიოდ-დან, გადაწყვეტილების საბოლოო აღსრულებამდე; ამასთან, ზემოხსენებული დავალიანებები და საურავები უნდა აღრიცხულიყო იმ საგადასახადო ინსპექციაში, სადაც საგადასახადო აღრიცხვაზე იდგა ... გაფართოება-რეკონსტრუქციის მშენებარე ობიექტის დირექცია.

ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის საოლქო საგადასახადო ინსპექციამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა და მხოლოდ სს „...“ პირადი აღრიცხვის ბარათიდან დავალიანების ამოღება და საურავების და-რიცხვის შეწყვეტა მოითხოვა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 ივნისის საოქმო განჩინებით შეწყდა წარმოება მოთხოვნის იმ ნაწილში, სადაც მოსარჩელე ითხოვდა არსებული დავალიანებები აღრიცხულიყო იმ საგადასახადო ინსპექციაში, სადაც ამ დავალიანებების ამლიარებელი პირი – ... გაფართოება-რეკონსტრუქციის მშენებარე ობიექტის დირექცია იდგა საგადასახადო აღრიცხვაზე.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა; ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის საოლქო საგადასახადო ინსპექციას დაევალა, დავალიანების წარმოშობის პერიოდთან შეემცირებინა სს „...“ დაბეგვრის პირად სააღრიცხვო ბარათზე რიცხული სოციალური დაზღვევის გადასახადის დავალიანება – 282486 ლარი და საშემოსავლო გადასახადის დავალიანება – 97060 ლარი მასზე დარიცხული საურავებით.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მთაწმინდა-კრწანისის ზონალურმა საგადასახადო ინსპექციამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 15 თებერვლის განჩინებით თბილისის საგადასახადო ინსპექციის (მთაწმინდა-კრწანისის ზონალური საგადასახადო ინსპექციის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება ქ. თბილისის კრწანისის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე სს „...“ პირადი აღრიცხვის ბარათიდან 97060 ლარის ჩამოწერის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე არსებითად განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს; უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების საფუძველზე სს „...“ პირადი აღრიცხვის ბარათიდან 382986 ლარის დავალიანების ჩამოწერის ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 იანვრის საოქმო განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის საგადასახადო ინსპექცია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 იანვრის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება „...“ და „...“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონულ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას) დაევალა, დავალიანების წარმოშობის მომენტიდან სს „...“ დაბეგვრის პირადი აღრიცხვის ბარათიდან ჩამოეწერა 97060,13 ლარი საშემოსავლო გადასახადის დავალიანება, მასზე დარიცხული საურავებით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სს „...“ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელით მოითხოვდა მთაწმინდა-კრწანისის ზონალური საგადასახადო ინსპექციისაგან (უფლებამონაცვლე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) ქმედების განხორციელებას, კერძოდ, ქ. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 23 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესაბამისად, მისი პირადი სააღრიცხვო ბარათიდან 97060,13 ლარის საშემოსავლო საგადასახადო დავალიანებისა და მასზე დარიცხული საურავების ჩამოწერას, რაც სრულად დაკმაყოფილდა რაიონული სასამართლოს მიერ.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის კრწანისის რაიონის საგადასახადო ინსპექციის სარჩელი სს „...“ და „...“ მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; სახელმწიფოს წინაშე სს „...“ დავალიანების დასაფარავად „...“ და „...“ საბანკო ანგარიშებიდან სოლიდარულად ჩამოინერა 97060,13 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის 1998 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება შეიცვალა იმგვარად, რომ 97060,13 ლარის გადახდა სრულად დაეკისრა „...“ დირექციას. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, მის საფუძველზე 2001 წლის 25 ოქტომბერს გაიცა №... სააღსრულებო ფურცელი და სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს მიერ დაიწყო სააღსრულებო წარმოება. ხსენებული სასამართლო აქტებით დადგენილ იქნა საშემოსავლო გადასახადში სს „...“ დავალიანების არარსებობა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულო იყო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო ორგანოსა თუ კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის და ამავე კოდექსის 266-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლებს აღარ ჰქონდათ უფლება ხელახლა ედავათ სასამართლოში დავის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან კანონიერ ძალაში შესული თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის კრწანისის რაიონის საგადასახადო ინსპექციის სარჩელი სს „...“ მიმართ 97060,13 ლარის გადახდევინების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, მოპასუხე ვალდებული იყო კრწანისის რაიონის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე განეხორციელებინა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედება და სს „...“ პირადი აღრიცხვის ბარათიდან ჩამოეინერა სამართლებრივად არარსებული საშემოსავლო გადასახადის შენატანების დავალიანება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ დავის წარმოშობის მომენტისათვის მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საურავი წარმოადგენდა საგადასახადო დავალიანების გადაუხდელობის შედეგს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, იმის გათვალისწინებით, რომ სს „...“ არ გააჩნდა 97060,13 ლარის ოდენობის საგადასახადო დავალიანება, შესაბამისად, მისი გადაუხდელობისათვის მას არც საურავი უნდა დაეკისრებოდა, ამიტომ მოსარჩელის პირადი აღრიცხვის ბარათიდან საშემოსავლო გადასახადის ჩამონერასთან ერთად უნდა ჩამოეინერილიყო მასზე დარიცხული საურავიც. ყოველივე აღნიშნული კი, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი იყო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საბოლოო ფორმით რაიონულ სასამართლოში სს „...“ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მთაწმინდა-კრწანისის საოლქო საგადასახადო ინსპექციისათვის „...“ დაბეგვრის პირადი სააღრიცხვო ბარათებიდან საშემოსავლო გადასახადებში დავალიანებების; ძირითადი თანხისა და საურავების ამოღება და მათი აღრიცხვა იმ საგადასახადო ინსპექციაში, სადაც საგადასახადო აღრიცხვაზე იდგა „...“ გაფართოება-რეკონსტრუქციის მშენებარე ობიექტის დირექცია. საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას მოსარჩელემ შეამცირა მოთხოვნა და იშუამდგომლა მხოლოდ მის პირად ბარათზე რიცხული დავალიანებისა და დარიცხული საურავების ამოღება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რადგანაც რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის ორივე სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო სააპელაციო სასამართლომ იმჯველა და საფუძველიანად მიიჩნია მისი შემცირებული სასარჩელო მოთხოვნის, მხოლოდ პირადი აღრიცხვის ბარათიდან 97060,13 ლარის ოდენობით საშემოსავლო გადასახადის, მასზე დარიცხული საურავების ამოღების თაობაზე, ამიტომაც რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით უნდა მიღებულიყო ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონულმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექციამ), რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილება უკანონო იყო, ვინაიდან სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. ამასთან, საკასაციო სასამართლოს მითითების მიუხედავად იმის თაობაზე, რომ საქმეში შესამე პირად უნდა ჩაბმულიყო „...“ დირექცია, სააპელაციო სასამართლომ საქმე მისი დასწრების გარეშე განიხილა, რაც კასატორის განმარტებით, მნიშვნელოვან საპროცესო დარღვევას წარმოადგენდა.

კასატორის განმარტებით, საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია საგადასახადო დავალიანების არსებობის ფაქტი, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს წინაშე სს „...“ დავალიანების დასაფარავად „...“ და „...“ მშენებარე ობიექტის საბანკო ანგარიშებიდან სოლიდარულად უნდა ჩამოეინერილიყო 97060,13 ლარი. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 30-ე მუხლი, რომლის მე-3 ნაწილის თანახ-

მად, საგადასახადო ვალდებულება სრულდებოდა უშუალოდ გადასახადის გადამხდელის მიერ, რაც თავისთავად გულისხმობდა, რომ კუთვნილი გადასახადების გადახდის ვალდებულება სს „...“ ჰქონდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ძირითად თანხაზე საურავების არსებობის კუთხითაც არასწორი გადაწყვეტილება მიიღო და ასევე არ გამოიყენა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 225-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, სადაც კონკრეტულად იყო განერილი კუთვნილი გადასახადის დადგენილ ვადაში გადაუხდელობისათვის საურავის დარიცხვის პრინციპი, კერძოდ, თუ გადასახადის თანხა არ იყო გადახდილი დადგენილი ვადისათვის, გადასახადის გადამხდელი ვალდებული იყო, გადაეხადა გადაუხდელი თანხის 0,15% თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადასახადის ვადის დადგენილი თარიღიდან გადასახადის გადახდის თარიღამდე.

კასატორი აღნიშნავს, იმის გათვალისწინებით, რომ ქ. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება გახდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2009 წლის 27 თებერვალს სს „...“ სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების ერთ-ერთი საფუძველი. საყურადღებოა, ქ. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებაში მითითებული მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ორივე თანამოპასუხის განმარტებით, „...“ მშენებარე ობიექტის დირექცია როგორც იურიდიული პირი რეგისტრირებული იყო ქ. ფოთის მერიის მიერ, მაგრამ იმ დროისათვის მას იურიდიულ-სამართლებრივი ფორმის სახით რეგისტრაცია არ გაუვლია სასამართლოში. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაურკვეველი იყო, რა სახის საწარმოსთან ჰქონდა ურთიერთობა მხარეებს და რამდენად მიზანშეწონილი იყო მასზე „...“ დავალიანების დაკისრება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მიუხედავად იმისა, რომ მას წარმოდგენილი ცნობების მიხედვით გააჩნდა იურიდიული პირის რეკვიზიტები. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ხსენებულ თანამოპასუხეს – ... არ ჰქონდა, ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი იყო, რაც უკავშირდებოდა ამ საკითხის სახელმწიფოებრივ განწყვეტას.

ამდენად, კასატორის განმარტებით, სასამართლომ იმის მიუხედავად, იცოდა თუ არა, რა სახის გადამხდელთან ჰქონდა საქმე, მაინც მიიღო გადაწყვეტილება, „...“ და „...“ მშენებარე ობიექტის დირექციის საბანკო ანგარიშებიდან სოლიდარულად ჩამოეწერა 97060,13 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე მოპასუხე „...“ დავალიანების დასაფარავად.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოში მის მიერ მტკიცებულების სახით წარდგენილ იქნა ფოთის რეგიონული ცენტრის უფროსის სახელზე მიწერილი „...“ გენერალური დირექციის 2009 წლის 13 თებერვლის წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ „...“ გაფართოება-რეკონსტრუქციის მშენებარე ობიექტების დირექცია რეგისტრირებულ იქნა ქ. ფოთის მერიის 1995 წლის 28 თებერვლის №91 განკარგულებით. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლის შემდგომ კი, ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ზემოაღნიშნულ საწარმოს ხელახალი რეგისტრაცია არ გაუვლია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი, რომელიც მიუთითებს სასამართლოს მხრიდან საპროცესო მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებაზე, ვინაიდან მტკიცებულებების შინაგანი რწმენით შეფასება, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც სასამართლოს გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, სასამართლომ კანონის დარღვევით შეასრულა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ქ. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 23 სექტემბრისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის 1998 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებების გაზიარებაც კი არ უნდა გამხდარიყო სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საუბარი იყო მესამე პირისგან ბიუჯეტის წინაშე „...“ დავალიანების დასაფარავად თანხების ჩამოწერაზე (ინკასოს წესით) და არა დავალიანების დასაფარავად თანხების ჩამოწერის ფონზე სს „...“ პირადი აღრიცხვის ბარათიდან სახელმწიფოს წინაშე არსებული დავალიანების მოხსნაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2009 წლის 26 ნოემბერს, 11.30 საათზე.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით, სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სარჩელს, „...“ (უფლებამონაცვლის – „...“) მიმართ, ფონდის კუთვნილი სოციალური შენატანების ვადაგადაცილებული დავალიანების თანხებისა და მასზე დარიცხული საურავების გადასახდელად დაკისრების თაობაზე ეთქვა უარი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილია ასევე ქ. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დადგენილ იქნა, რომ „...“ და „...“ მშენებარე ობიექტის საბანკო ანგარიშებიდან სოლიდარულად უნდა ჩამოწერილიყო 97060,13 ლარი „...“ დავალიანების დასაფარავად.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის 1998 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ქ. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება შეიცვალა იმგვარად, რომ 97060,13 ლარის გადახდა სრულად დაეკისრა „...“ მშენებარე ობიექტის დირექციას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოში დავის საგანს წარმოადგენს სს „...“ პირადი აღრიცხვის ბარათიდან მხოლოდ 97060,13 ლარის ოდენობით საშემოსავლო გადასახადისა და მასზე დარიცხული საურავების ჩამოწერის კანონიერება, ვინაიდან სს „...“ პირადი აღრიცხვის ბარათიდან 382986 ლარის ოდენობით სოცანარიცხებისა და მასზე დარიცხული საურავების ჩამოწერის ნაწილში თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილების საფუძველზე სს „...“ პირადი აღრიცხვის ბარათიდან 382986 ლარის დავალიანებების ჩამოწერის ნაწილში კანონიერ ძალაშია შესული საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 15 თებერვლის განჩინებით, ხოლო ქ. თბილისის კრწანისის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე სს „...“ პირადი აღრიცხვის ბარათიდან 97060,13 ლარის ჩამოწერის ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 15 თებერვლის განჩინებით საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს მისცა კონკრეტული მითითებები, კერძოდ, დაბრუნებულ ნაწილში დაედგინა ფაქტობრივი გარემოებები, გამოეკვლია ახალი მტკიცებულებები და საქმეში ჩაება პროცესუალურად ახალი სუბიექტები, რათა გაერკვია მოხდა თუ არა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება – მათი საბანკო ანგარიშებიდან „...“ დავალიანების დაფარვის მიზნით 97060,13 ლარის ბიუჯეტში გადახდა და საქმის განხილვის მომენტისათვის რეალურად არსებობდა თუ არა აღნიშნული საგადასახადო დავალიანება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ უარი განაცხადა „...“ მშენებარე ობიექტების დირექციის უფლებამონაცვლის დადგენაზე და არ გამოიკვლია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, კერძოდ, თვითმმართველი ქ. ფოთის მერიის 2009 წლის 9 თებერვლის №... წერილი, რომლითაც ფოთის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას) ეცნობა, რომ „...“ მშენებარე ობიექტის დირექციის სამართალმემკვიდრეს წარმოადგენდა კორპორაცია „...“. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა საქმეში წარმოდგენილ ფოთის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2009 წლის 13 თებერვლის წერილზე, რომლის თანახმად, „...“ მშენებარე ობიექტის დირექციის სამართალმემკვიდრის დადგენის მიზნით საგადასახადო ინსპექციის მიერ შესაბამისი წერილობითი მიმართვა გაეგზავნა თვითმმართველ ქ. ფოთსა და კორპორაცია „...“, რის შედეგადაც, ქ. ფოთის თვითმმართველმა ერთეულმა განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ორგანიზაციის სამართალმემკვიდრეს წარმოადგენდა კორპორაცია „...“, თუმცა, თავის მხრივ, კორპორაცია „...“ არ ადასტურებდა აღნიშნულ ფაქტს და უარყოფდა „...“ მშენებარე ობიექტის დირექციის სამართალმემკვიდრეობას.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „...“ მშენებარე ობიექტის დირექციის უფლებამონაცვლის დადგენა შეუძლებელი იყო და საერთოდ არ იმსჯელა ზემოხსენებულ მტკიცებულებებზე და არ მიუცია მათვის შესაბამისი სამართლებრივი შეფასება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული საქმის განხილვისას არ შეასრულა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 15 თებერვლის განჩინებაში მოყვანილი მითითებები, არ გამოიკვლია ამ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რომელთა ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევა და ობიექტური სამართლებრივი შეფასება აუცილებელია წინამდებარე დავის სწორად გადაწყვეტისათვის.

საკასაციო სასამართლო დამატებით იმ გარემოებაზეც მიუთითებს, რომ ქ. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა „...“ და „...“ მშენებარე ობიექტის დირექციის საბანკო ანგარიშებიდან 97060,13 ლარის ჩამოწერა სს „...“ საგადასახადო დავალიანების დასაფარავად შესულია კანონიერ ძალაში და საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო ორგანოსა თუ კერძო პირისათვის. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქ. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებაში საუბარია მესამე პირისაგან ბიუჯეტის სასარგებლოდ „...“ დავა-



ლიანების დასაფარავად თანხების ჩამოწერაზე. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სანამ მესამე პირის მიერ აღნიშნული დავალიანება ბიუჯეტის სასარგებლოდ არ დაიფარება, იგი სს „...“ პირადი აღრიცხვის ბარათიდან ვერ ჩამოიწერება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას და კანონები, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობს. ამდენად, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლომ უნდა მიუთითოს ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელთაც მიიჩნევს დადგენილად, შემდეგ კი სადავო ურთიერთობას შეუფარდოს შესაბამისი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა, იმავდროულად, დაასაბუთოს ამ ნორმის გამოყენების მართებულობა. სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც არ შეიცავს მითითებას დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, მტკიცებულებებზე, რომელთაც ემყარება სასამართლოს დასკვნები და იურიდიული შეფასებები, ვერ ჩაითვლება დასაბუთებულ გადაწყვეტილებად, რომლის სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება ზემდგომი სასამართლოს მიერ შესაძლებელია.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ უგულვებელყო რა საკასაციო სასამართლოს მითითებები, მოცემული საქმის არც განმეორებითი განხილვისას გამოიკვლია ზემოაღნიშნული, ამ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, რომელთა ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევა და ობიექტური სამართლებრივი შეფასება აუცილებელია წინამდებარე დავის სწორად გადაწყვეტისათვის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რისთვისაც სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებების არასრულყოფილად გამოკვლევა სააპელაციო სასამართლოს მიერ

ბანჩინება

№ბს-1582-1537(კ-08)

21 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)  
მ. ვაჩაძე  
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 22 ნოემბერს შპს „...“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2007 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებულ იქნა №... გადაწყვეტილება, „ერთი მხრივ, შპს „...“ და მეორე მხრივ, შპს „...“ და შპს „...“ შორის დავის არსებითი გადაწყვეტის შესახებ“. აღნიშნული გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შპს „...“ მოთხოვნა და შპს „...“ და შპს „...“ დაევალი ინტერნეტ-მომსახურების თანხების კორექტირება ამ გადაწყვეტილებაში მითითებული პერიოდებისა და ტარიფების მიხედვით, რაც მოსარჩელის მოსაზრებით, იყო კანონსაწინააღმდეგო. ხსენებული გადაწყვეტილება იყო უკანონო, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი. სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა უხეში დარღვევით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ იყო, თავისი გადაწყვეტილება დაეფუძნებინა იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებულ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საფუძვლად დაედო მოწინააღმდეგე მხარის მიერ ხსენებული კომისიის სხდომაზე წარდგენილი ის მტკიცებულებები, რომლებიც მოსარჩელემ სადავოდ გახადა. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ამავე სხდომაზე დაადასტურა და მიუთითა, რომ იგი სადავო მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებას, თუმცა მის მიერ მიღებული 2007 წლის 26 ოქტომბრის №... სადავო გადაწყვეტილება სხვაგვარად ჩამოყალიბდა და დაეფუძნა სწორედ იმ მტკიცებულებებს, რომელთა არც გამოკვლევის და არც გამოყენების უფლებამოსილება, კომისიას არ ჰქონდა.

მოსარჩელის მტკიცებით, არსებითად იყო დარღვეული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილი, კერძოდ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე, ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. აღნიშნული გამოიხატებოდა იმაში, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო იმ მტკიცებულებებს, რომელთა გამოყენების უფლებამოსილება მას არ გააჩნდა, რის შედეგადაც მან მიიღო უსაფუძვლო გადაწყვეტილება.

მოსარჩელის განმარტებით, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება აუცილებელი იყო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით. საგულისხმო იყო, რომ ზემოხსენებული გადაწყვეტილებით მოსარჩელეს ადგებოდა არსებითი ზიანი, რაც გამოიხატებოდა სადავო გადაწყვეტილებით დადგენილი პროცედურების დაცვით, ინტერნეტ-მომსახურების თანხების კორექტირებიდან წარმოშობილი ზედმეტად დარიცხული თანხების ანაზღაურებაში, კერძოდ, შპს „...“ და შპს „...“ მხრიდან 2007 წლის ოქტომბერში, სადავო გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოდგენილ იქნა გადაანგარიშება (შედარების აქტები), რომლის საფუძველზე, შპს „...“ იძულებული გახდებოდა, გადაეხადა ზედმეტად დარიცხული თანხები. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული კომპანიები შეწყვეტდნენ სახაზო-საკაბელო საბონენტო წყვილებით სარგებლობის მომსახურებას, რაც შპს „...“ გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა, რომლის განგარიშება საკმაოდ რთულ პროცედურასთან იქნებოდა დაკავშირებული, ვინაიდან მოხდებოდა რამდენიმე ათასი აბონენტისათვის დი-ეს-ელ სერვისის შეწყვეტა, რაც არა მარტო ფინანსურ ზიანს, არამედ ამ კომპანიის – შპს „...“ საქმიანი რეპუტაციის შელახვასაც გამოიწვევდა. ამდენად, ცალსახა იყო გასარჩევნებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონთან შეუსაბამობა, რაც არსებით ზიანს აყენებდა შპს „...“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 26 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სარჩელის უზრუნველ-

ყოფის მიზნით, სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 26 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 ნოემბრის განჩინებით შპს „...“ მოთხოვნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 26 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულ განჩინებაზე შპს „...“ შეიტანა კერძო საჩივარი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 18 იანვრის განჩინებით შპს „...“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 ნოემბრის განჩინება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 მარტის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ შპს „...“ და შპს „...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ადმინისტრაციული საქმის წარმოება დაიწყო შპს „...“ განცხადების საფუძველზე, რომელიც მოითხოვდა შპს „...“ და შპს „...“ მიერ წარდგენილი დავალიანების გადაანგარიშებას, რომლის გადაუხდელობის შემთხვევაშიც, შპს „...“ და შპს „...“ უფლებამოსილი იყვნენ, შეეწყვიტათ მომსახურება, ასევე მოითხოვდა შპს „...“ და შპს „...“ სანქციების დაკისრებას და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას. შპს „...“ განცხადებასთან დაკავშირებით, შპს „...“ და შპს „...“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას წარუდგინეს მხარეთა შორის გაფორმებული მომსახურების განევის შესახებ №... ხელშეკრულება, 2007 წლის 2 მარტის №... წერილი და მოწვევის ოფერტები.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელდა გამოუკვლევლ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რამდენადაც საქმის მასალებში წარმოდგენილი იყო 2007 წლის 26 ოქტომბრის სხდომის ოქმი, რომლის შესაბამისად, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებიდან ერთ-ერთს წარმოადგენდა შპს „...“ და მეორე მხრივ, შპს „...“ და შპს „...“ შორის დავის განხილვა. მითითებულ სხდომის ოქმში ცალსახად იყო დაფიქსირებული, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარ მტკიცებულებაზე, კერძოდ, 2007 წლის 2 მარტის წერილზე, რომლითაც შპს „...“ და შპს „...“ დირექტორმა შპს „...“ ხელშეკრულების გაფორმება და ხელშეკრულების 1 წლის ვადით გაგრძელება შესთავაზა, ხელშეკრულების 3.1 მუხლით გათვალისწინებული 50%-იანი ფასდაკლების გაუქმების პირობით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ იმსჯელა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე სუბიექტებთან ერთად. შესაბამისად, მითითებული მტკიცებულების საფუძველზე, ადმინისტრაციულმა ორგანომ 2007 წლის 26 ოქტომბერს მიიღო №... გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისათვის განსაზღვრული მოთხოვნების სრული დაცვით.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების შესახებ“ 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილების შესაბამისად, კომისიის სხდომა იყო საჯარო, რომლის დროსაც გამოიყენებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 110-ე-112-ე მუხლებით ზეპირი მოსმენის გამართვისათვის განსაზღვრული წესები. შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 112-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დაინტერესებულ მხარეს მინიჭებული ჰქონდა უფლება, გაცნობოდა ოქმს და ოქმის შედგენიდან 3 დღის ვადაში წარედგინა შენიშვნები, მიეთითებინა მასში არასწორი ან არასრული ინფორმაციის არსებობაზე, რაც მოსარჩელე შპს „...“ წარმომადგენელს არ განუხორციელებია. გარდა ამისა, საქალაქო სასამართლომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე მუხლის საფუძველზე განმარტა, თუ კანონით სხვა რამ არ იყო დადგენილი, კოლეგიურ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობდა ამ კოდექსის VI თავით დადგენილი წესის შესაბამისად. ამავე კოდექსის 98-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება ჰქონდა, წარედგინა მტკიცებულებები, აგრეთვე, შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით. ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შუამდგომლობასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, ემსჯელა 2 დღის ვადაში და მიეღო გადაწყვეტილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე სადავოდ ხდიდა 2007 წლის 2 მარტის წერილის ჩაბარების ფაქტს, თუმცა მას დავის განხილვისას ადმინისტრაციული ორგანოსათვის არ მიუშართავს შუამდგომლობით კალიგრაფიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, არც სამართალწარმოების ეტაპზე არ განუხორციელებია მოსარჩელეს. შესაბამისად, შპს „...“ მიერ არც ადმინისტრაციული წარმოების და არც სამართალწარმოების ეტაპზე არ იქნა წარმოდგენილი ხელშეკრული მხარის მიერ შესაგებელში მითითებული არგუმენტებისა და დოკუმენტების გამაბათილებელი მტკიცებულებები, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენდა.

საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ის ნაწილი, რომლითაც მხარეებს დაევალებათ შედარების აქტებში

ასახული ინტერნეტ-მომსახურების თანხების კორექტირება 2007 წლის 3 აგვისტოდან 11 ლარისა და 68 თეთრის ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით, კანონსაწინააღმდეგო იყო. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გასაჩივრებული გადაწყვეტილების მითითებული ნაწილით განსაზღვრული ტარიფით არ ილახებოდა მოსარჩელის უფლებები და იგი არ აყენებდა მის ინტერესებს პირდაპირ და უშუალო ზიანს, არამედ პირიქით, აუმჯობესებდა კიდევ შპს „...“ მატერიალურ მდგომარეობას, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ სადავო გადაწყვეტილებით ტარიფი განისაზღვრებოდა 11 ლარისა და 68 თეთრის ოდენობით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 3 აგვისტოს №... გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღიდან, ანუ 2007 წლის 7 აგვისტოდან, მაშინ შპს „...“, გაზრდილი ტარიფის მიხედვით, გაცილებით მეტი თანხის გადახდის ვალდებულება დაეკისრებოდა.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, არ არსებობდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 26 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და შპს „...“ სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 სექტემბრის განჩინებით შპს „...“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „...“ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ საფუძველებს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილად მიჩნეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში არ იყო მოყვანილი მათი გამაბათილებელი არგუმენტაცია. ამიტომ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დასაბუთებული და კანონიერი იყო და არ არსებობდა მისი გაუქმების ან შეცვლის საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მტკიცებით, სასამართლომ არასწორად და არასრულად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი, რის შედეგადაც საქმეზე გამოტანილ იქნა არასწორი გადაწყვეტილება. ამავე დროს, სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენდა.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ შპს „...“ განცხადებასთან დაკავშირებით, შპს „...“ და შპს „...“ მიერ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას წარედგინა მხარეთა შორის გაფორმებული მომსახურების განვეის შესახებ №... ხელშეკრულება, 2007 წლის 2 მარტის №... წერილი და მოწვევის ოფერტები. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შეისწავლა მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მათთან მიმართებაში იმსჯელა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე სუბიექტებთან ერთად, თუმცა სასამართლოს არ გამოუკვლევიდა და არ დაუდგენია, თუ რა შედეგი მოჰყვა სადავო ქცეული ერთ-ერთი მტკიცებულების, კერძოდ, 2007 წლის 2 მარტის №254 წერილის განხილვას, ანუ რა პოზიცია დაფიქსირდა მასთან მიმართებაში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხრიდან. ამ კომისიის 2007 წლის 26 ოქტომბრის №...სხდომის ოქმის ჩანაწერის მიხედვით, ამავე კომისიამ ხსენებულ წერილთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ კომისია არ იმსჯელებდა კონკრეტულ ციფრზე, კომისიას შეეძლო ემსჯელა პრინციპებზე, ანუ უნდა ყოფილიყო თუ არა აღიარებული დავალიანება, ხოლო სადავო იყო წერილის თემა, წერილის ექსპერტიზას კომისია ვერ ჩაატარებდა. ამ ჩანაწერიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაადასტურა 2007 წლის 2 მარტის №... წერილის სადავობის ფაქტი და აღნიშნა, რომ მას ამ წერილის ექსპერტიზის ჩატარება არ შეეძლო. შესაბამისად, სადავოდ ქცეული მტკიცებულება არ უნდა გამხდარიყო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილების საფუძველი.

კასატორის მტკიცებით, სასამართლომ არ შეისწავლა და არ დაადგინა ის გარემოება, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებული დაანგარიშება, რომლის შესაბამისადაც უნდა მომხდარიყო თანხების კორექტირება 2007 წლის 19 ივლისიდან 2007 წლის 3 აგვისტომდე (17,81 ლარი, დღგ-ს ჩათვლით), დააფუძნა ადმინისტრაციული წარმოების პროცესში საერთოდ წარმოუდგენელ და კომისიის მიერ შეუსწავლელ მტკიცებულებებზე. სასამართლომ თვითონაც აღნიშნა, რომ შპს „...“ და შპს „...“ მიერ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას წარედგინა მხოლოდ მხარეთა შორის გაფორმებული მომსახურების განვეის შესახებ №... ხელშეკრულება, 2007 წლის 2 მარტის №... წერილი და მოწვევის ოფერტები. მხოლოდ აღნიშნული მტკიცებულებების წარ-

დგენის ფაქტი არაერთხელ დადასტურდა სასამართლო სხდომაზე მონინალმდევე მხარეთა მხრიდანაც. ხსენებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას შეეძლო დაედგინა ტარიფის დაანგარიშება მხოლოდ 2007 წლის 21 აპრილამდე (2,5 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში, დღგ-ს ჩათვლით) და 2007 წლის 21 აპრილიდან 2007 წლის 19 ივლისამდე (5 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში, დღგ-ს ჩათვლით), თუმცა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია უფრო წინ წავიდა და შპს „...“ დაუდგინა 2007 წლის 19 ივლისიდან 2007 წლის 3 აგვისტომდე 17,81 ლარის გადახდის ვალდებულება. გაურკვეველია, თუ რა მტკიცებულება იქნა გამოყენებული ამ უკანასკნელის დასადგენად, რადგან არც ადმინისტრაციული წარმოებისას და არც სასამართლო წარმოებისას მხარეთა მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება, რომელიც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას აღნიშნული ვალდებულების განსაზღვრის უფლებამოსილებას მიანიჭებდა. საგულისხმოა, რომ სასამართლო წარმოების მიმდინარეობისას ხსენებულ გარემოებაზე არაერთხელ გაკეთდა აქცენტი, შპს „...“ არაერთხელ მიუთითა ზემოაღნიშნული დარღვევის ფაქტზე და განმარტა მისი მნიშვნელობა, თუმცა სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა ამ საკითხზე. შესაბამისად, მან ასახვა ვერ ჰპოვა სადავო გადაწყვეტილებაში.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა კანონის მოთხოვნათა დარღვევით. ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, არასწორია სასამართლოს დასკვნა, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისათვის განსაზღვრული მოთხოვნების სრული დაცვით, შეისწავლა მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, აღნიშნულთან მიმართებაში იმსჯელა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე სუბიექტებთან ერთად და მიიღო გადაწყვეტილება. სასამართლომ მიუთითა, რომ დაინტერესებული მხარე, ანუ შპს „...“ უფლებამოსილი იყო, წარედგინა შენიშვნები ადმინისტრაციული წარმოების დროს შედგენილ სხდომის ოქმთან მიმართებაში, თუმცა ვერ დაასაბუთა, თუ რატომ უნდა გაეკეთებინა აღნიშნული შპს „...“, რადგან შენიშვნები არ ჰქონია. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ შპს „...“ ვალდებული იყო, დაეყენებინა ადმინისტრაციული წარმოებისას წარდგენილი მტკიცებულებების რეალობის საკითხი და მათი ჭეშმარიტების დასადგენად, მოეთხოვა კალიგრაფიული ექსპერტიზის დანიშვნა, რაც სასამართლომ დაასაბუთა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლით. ამ მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე ვალდებულია, დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია, წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი.

კასატორის მტკიცებით, იმ მტკიცებულებასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ განსაზღვრა 2007 წლის 19 ივლისიდან 2007 წლის 3 აგვისტომდე 17,81 ლარის გადახდის ვალდებულება, შპს „...“ ვერანაირ შუამდგომლობას ვერ დააყენებდა, რადგან ასეთი სახის მტკიცებულება არც ადმინისტრაციული წარმოებისას და არც სამართალწარმოების ეტაპზე მოპასუხის მხრიდან წარმოდგენილი არ ყოფილა. ასეთი სახის მტკიცებულება ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ფაქტობრივად, არ არსებობდა და მასზე რაიმე სახის ექსპერტიზის დანიშვნას შპს „...“ ვერ მოითხოვდა. რაც შეეხება 2007 წლის 2 მარტის №... წერილს, აღნიშნული წერილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში წარდგენილ იქნა მთავარი სხდომის მიმდინარეობისას, ხოლო მანამდე ამ წერილის არსებობა შპს „...“ უცნობი იყო. ამავე სხდომაზე შპს „...“ აღნიშნა, რომ ხსენებული მტკიცებულება ვერ იქნებოდა გაზიარებული, რადგან არ დასტურდებოდა შპს „...“ მიერ მისი მიღების ფაქტი და შესაბამისად, მისი რეალობის საკითხი სადავო გახდა. აღნიშნულთან მიმართებაში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ჩამოაყალიბა ცალსახა პოზიცია, რომ იგი ამ მტკიცებულების ექსპერტიზას ვერ განხორციელებდა. შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მასზე დაყრდნობით რაიმე გადაწყვეტილების მიღება, უკანონო იყო.

კასატორის განმარტებით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილების კანონიერებისა და გამოყენებული მტკიცებულებების მართებულობის (თუ რეალობის) ფაქტი უნდა დაეხსებებინა ამ კომისიას და არა მოსარჩელეს. შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლზე აპელირება და ამ მუხლის საფუძველზე მოსარჩელის დავალდებულება, ემტკიცებინა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონობა და იმ მტკიცებულებათა რეალობა, რომლის საფუძველზეც ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცა, უსაფუძველო და უკანონოა. უფრო მეტიც, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის ნორმის არსი სწორედ ის არის, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის მხოლოდ ფაქტების, მტკიცებულებებისა და არგუმენტების მოპოვება არ არის საკმარისი და საჭიროა მათი შესაბამისი გამოკვლევა და შესწავლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება დაზღვეული არ იქნება შეცდომებისა და დაუსაბუთებელი, გაუაზრებელი დასკვნების გამოტანისაგან. ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ისეთ გარემოებებზე დაფუძნება, რომლებიც არ იყო სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. ამ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, დააფუძნა გამოუკვლეველ, სადავოდ გამხდარ მტკიცებულებაზე,

ხოლო, მეორე მხრივ, იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც საერთოდ არ წარდგენილა ადმინისტრაციული წარმოების დროს და შესაბამისად, მისი შესწავლის და საფუძვლიანობის დადგენის საშუალება ადმინისტრაციულ ორგანოს ვერ მიეცემოდა.

ამასთან, კასატორის მტკიცებით, საგულისხმოა, რომ სახეზეა ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ახორციელებს ადმინისტრაციულ წარმოებას. მაშინ, როდესაც წარმოებისას მხარე სადავოდ ხდის რაიმე მტკიცებულების რეალობას, თვითონ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, გამოიკვლიოს მტკიცებულების რეალობა, ანუ შესაბამისად, საჭიროებისამებრ, მოიწვიოს სპეციალისტი ან დანიშნოს ექსპერტიზა და თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ მტკიცებულებებზე, რომელთა ჭეშმარიტება ეჭვს არ იწვევს. უფრო მეტიც, საბუთის სიყალბის დამტკიცების ტვირთი არ ეკისრება მხარეს, რომელმაც გააკეთა განცხადება ასეთი სიყალბის შესახებ. პირიქით, საბუთის ნამდვილობის დამტკიცების ტვირთი ეკისრება მხარეს, რომელმაც ეს საბუთი წარმოადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ წერილობითი საბუთის ნამდვილობის ვარაუდი (პრეზუმფცია) გაქარწყლდება მონინაალმდევე მხარის უბრალო განცხადებით, რომ იგი ყალბია. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუკი ადმინისტრაციული წარმოებისას, მთავარ სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულება სადავო გახდა და ადმინისტრაციული ორგანო თვითონვე აცხადებს, რომ ამ მტკიცებულების რეალობის დასადაგენად, მას რაიმე ქმედების განხორციელების უფლებამოსილება არ გააჩნია, მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ მან არ გამოიყენოს ასეთი სახის მტკიცებულება და არ დააფუძნოს მასზე გადაწყვეტილება.

კასატორის განმარტებით, რაც შეეხება სასამართლოს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილში მითითებულია, რომ წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებათა ნამდვილობის შემოწმება შეიძლება სასამართლოს ინიციატივით, ანუ სასამართლო აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, უწინარეს ყოვლისა, იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად სარწმუნო და უტყუარია ეს მტკიცებულებები. მხარეებს და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები ამ თვალსაზრისით, მაგრამ მტკიცებულებათა საბოლოო შეფასება სასამართლოს პრეროგატივაა. აქედან გამომდინარე, თუ სასამართლოს ეჭვი ეპარება რომელიმე მტკიცებულების ნამდვილობაში, მას შეუძლია კანონით დადგენილი წესითა და საშუალებებით, მათ შორის, ექსპერტიზის საშუალებით, თავისი ინიციატივით, შეამოწმოს მტკიცებულება. აქედან ნათელია, რომ შპს „...“ სადავოდ გახდა ის მტკიცებულება, რომელიც ადმინისტრაციული წარმოების დროს იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, მისი რეალობის დადგენაზე უშუალოდ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ეზრუნა. შესაბამისად, მას არ გააჩნდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძვლად მისი განსაზღვრის უფლებამოსილება. ამასთან, მტკიცებულების ნამდვილობის დადგენის შუამდგომლობა არა შპს „...“, არამედ იმ მხარეს უნდა დაეყენებინა, რომლის მიერაც იგი იქნა წარმოდგენილი. ანალოგიურად, გაურკვეველია, თუ რა საფუძვლით დაადგინა სასამართლომ სადავოდ ქცეული მტკიცებულების ნამდვილობა, რადგან მას არ გამოუყენებია კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და არ მოუწვევია ექსპერტი, არ გამოუთხოვია შპს „...“ კანცელარიის ყურნალი, მით უმეტეს, რომ სახეზეა ადმინისტრაციული სამართალწარმოება და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის საფუძველზე, სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადაგენად.

ამდენად, კასატორი მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და ამტკიცებს, რომ არსებითად დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილი. ცალსახაა, როგორც სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების, ისე სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონთან შეუსაბამობა. ამასთან, ნათელია ზიანი, რომელიც სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შპს „...“ მიადგა, კერძოდ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, ფაქტობრივად, აღიარა იმ წერილთა რეალობა, რომლებიც შპს „...“ სადავოდ გახდა და რომელთა შესაბამისადაც, მას გადასახდელად დაეკისრა არარსებული დავალიანება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 დეკემბრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული შპს „...“ საკასაციო საჩივარი; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 15 დეკემბრის განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივარი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 თებერვლის განჩინებით შპს „...“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად. საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვისას შპს „...“ ნაწილობრივ დაუჭირა მხარი საკასაციო საჩივარს, ხოლო ნაწილობრივ უარი თქვა საჩივრზე, კერძოდ, იმ ნაწილში რომლითაც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „...“ დაევალა ინტერნეტ-მომსახურების თანხების კორექტირება 2007 წლის 21 აპრილიდან 2007 წლის 19 ივლისამდე 5 აშშ დოლარის (შესაბამისი ლარის) ოდენობით. კასატორმა მოითხოვა ამ ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტა.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კასატორის შუამდგომლობის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს და ამ ნაწილში საქმის წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რაც ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, შეხედულებისამებრ, განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ წარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც მოცემულ საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამდენად, მოსარჩელემ – შპს „...“ უარი განაცხადა რა სარჩელზე ნაწილობრივ, კერძოდ, იმ ნაწილში რომლითაც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „...“ დაევალა ინტერნეტ-მომსახურების თანხების კორექტირება 2007 წლის 21 აპრილიდან 2007 წლის 19 ივლისამდე 5 აშშ დოლარის (შესაბამისი ლარის) ოდენობით გამოხატა ნება თავისი საპროცესო უფლების რეალიზაციაზე, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, საქმის წარმოება წყდება, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

საკასაციო სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მხარეებს განუმარტავს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელშეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“ შუამდგომლობა სარჩელზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ დავაზე იმ ნაწილში რომლითაც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „...“ დაევალა ინტერნეტ-მომსახურების თანხების კორექტირება 2007 წლის 21 აპრილიდან 2007 წლის 19 ივლისამდე 5 აშშ დოლარის (შესაბამისი ლარის) ოდენობით, საქმის წარმოება შეწყდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, შპს „...“ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი – 150 ლარი უნდა დაუბრუნდეს გამომხდელს – ა. ხ-შვილს.

საკასაციო სასამართლო სასარჩელო მოთხოვნის დანარჩენ ნაწილში გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოუსმინა მხარეებს და მიაჩნია, რომ შპს „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2005 წლის 21 აპრილს, ერთი მხრივ, შპს „...“ და შპს „...“ და მეორე მხრივ, შპს „...“ (რომლის სამართალმემკვიდრეც არის შპს „...“) შორის გაფორმდა მომსახურების განვების შესახებ №... ხელშეკრულება, რომლითაც შპს „...“ იკისრა ვალდებულება, შპს „...“ და შპს „...“ აბონენტების წერილობითი განაცხადის საფუძველზე, უზრუნველყო აბონენტის სატელეფონო წყვილზე სპეციალური სიხშირული ფილტრის დაყენება და ინტერნეტის ქსელის მონყოფა, ხოლო ამ ხელშეკრულების 3.1 მუხლის თანახმად, შპს „...“ შპს „...“ და შპს „...“ გადაუხდიდა თითოეულ სატელეფონო წყვილზე 10 ლარს (დღგ-ს ჩათვლით) და ამავე მუხლით დადგინდა შესაბამის შემთხვევაში, მომსახურების ტარიფზე 50%-იანი ფასდაკლება, ხელშეკრულება ძალაში შედიოდა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებდა ორი წლის ვადით, ამ ხელშეკრულების 4.2 მუხლის მიხედვით კი, ამავე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ მხარეები ერთმანეთს აცნობებდნენ წერილობით ერთი თვით ადრე. 2007 წლის 2 მარტს შპს „...“ და შპს „...“ გენერალურმა დირექტორმა №... წერილი მიმართა შპს „...“ და აღნიშნა, რომ მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები შეწყვეტოდა 2007 წლის 21 აპრილიდან და მას შესთავაზა ხელშეკრულების გაფორმება და ხელშეკრულების 1 წლის ვადით გაგრძელება, მხოლოდ ხელშეკრულების 3.1 მუხლით გათვალისწინებული 50%-იანი ფასდაკლების გაუქმების პირობით, ანუ თითოეულ სატელეფონო წყვილზე ტარიფი იყო 5 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, დღგ-ს ჩათვლით.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 3 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსთან დაშვების ზედა ზღვრული ტარიფი განისაზღვრა 11 ლარისა და 68 თეთრის ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 26 ოქტომბრის №... სხდომის ოქმის თანახმად, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებიდან ერთ-ერთს წარმოადგენდა, ერთი მხრივ, შპს „...“ და მეორე მხრივ, შპს „...“ და შპს „...“ შორის დავის განხილვა, ხოლო 2007 წლის 9 ოქტომბერს შპს „...“ განაცხადებით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და მოითხოვა შპს „...“ და შპს „...“ მიერ წარდგენილი დავალიანების გადაანგარიშება, ასევე შპს „...“ და შპს „...“ სანქციების დაკისრება და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება. დავის საგანი იყო შპს „...“ და შპს „...“ მიერ ურთიერთწართვის დავალიანების გაზრდილი ტარიფით დაანგარიშება, ხოლო ამავე ოქმის მიხედვით, 2007 წლის 19 სექტემბერს შპს „...“ და შპს „...“ მიერ შპს „...“ წარედგინა წერილი, რომლის თანახმადაც, ამ უკანასკნელის დავალიანებამ შპს „...“ მიმართ შეადგინა 129766,15 ლარი და შპს „...“ მიმართ – 142437,26 ლარი, შპს „...“ განმარტებით კი, აღნიშნული დავალიანება გამომდინარეობდა სხეულებული კომპანიების მიერ ცალმხრივად გაზრდილი ტარიფის მიხედვით დაანგარიშებიდან, კერძოდ, იმავე

ნლის ივლისისა და აგვისტოს სახაზო-საკაბელო წყვილების მომსახურებისათვის გადასახდელი თანხა და-ანგარიშებული იყო 17,81 ლარის ტარიფით, ხოლო ახალი ხელშეკრულების გაფორმებამდე, გაზრდილი ტარიფით გადახდის დავალდებულება იყო უსაფუძვლო. შპს „...“ აღნიშნა, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 3 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით მომსახურების ზედა ზღვრული ტარიფი განისაზღვრა 11 ლარისა და 68 თეთრის ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით, რის გამოც გაურკვეველი იყო ოფერენტა მიერ მომსახურების დავალიანების 17,81 ლარის ტარიფით დაანგარიშება.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქმის მასალებში მოყვანილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 26 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით შპს „...“ მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და შპს „...“ და შპს „...“ დაევალით ინტერნეტ-მომსახურების თანხების კორექტირება ამ გადაწყვეტილებაში მითითებული პერიოდებისა და ტარიფების მიხედვით, შემდეგი ტარიფებით: 2007 წლის 21 აპრილამდე – 2,5 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში, დღგ-ს ჩათვლით; 2007 წლის 21 აპრილიდან 2007 წლის 19 ივლისამდე – 5 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში, დღგ-ს ჩათვლით; 2007 წლის 19 ივლისიდან 2007 წლის 3 აგვისტომდე – 17,81 ლარი, დღგ-ს ჩათვლით; 2007 წლის 3 აგვისტოდან – 11 ლარი და 68 თეთრი, დღგ-ს ჩათვლით. შპს „...“ და შპს „...“, ასევე შპს „...“ და შპს „...“ შორის 2007 წლის ოქტომბრის შედარების აქტებში მომსახურების ტარიფად მითითებულია 11,68 ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 26 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების იმ ნაწილთან მიმართებით, რომლითაც უნდა მომხდარიყო თანხების კორექტირება 2007 წლის 21 აპრილიდან 2007 წლის 19 ივლისამდე ტარიფით 5 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში, დღგ-ს ჩათვლით, ფაქტობრივი გარემოებები დავის საგანს აღარ წარმოადგენს, ვინაიდან ამ ნაწილში მოსარჩელემ უარი განაცხადა სარჩელზე.

რაც შეეხება მხარეთა შორის სადავოდ გამხდარ ფაქტობრივ გარემოებებს საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მათთან მიმართებით კასატორი კასაციის მიზეზად მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლომ არ შეისწავლა და არ დაადგინა ის გარემოება, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებული დაანგარიშება, რომლის შესაბამისადაც უნდა მომხდარიყო თანხების კორექტირება 2007 წლის 19 ივლისიდან 2007 წლის 3 აგვისტომდე (17,81 ლარი, დღგ-ს ჩათვლით), დააფუძნა ადმინისტრაციული წარმოების პროცესში საერთოდ წარმოუდგენელ და კომისიის მიერ შეუსწავლელ მტკიცებულებებზე და გაურკვეველია, თუ რა მტკიცებულება იქნა გამოყენებული ამ უკანასკნელის დასადგენად, რადგან არც ადმინისტრაციული წარმოებისას და არც სასამართლო წარმოებისას მხარეთა მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება, რომელიც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას აღნიშნული ვალდებულების განსაზღვრის უფლებამოსილებას მიანიჭებდა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის საფუძველზე კი, სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კასატორი სადავოდ ხდის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 26 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით, 2007 წლის 19 ივლისიდან 2007 წლის 3 აგვისტომდე ინტერნეტ-მომსახურების თანხების კორექტირებას 17,81 ლარის, დღგ-ს ჩათვლით, ტარიფის მიხედვით.

ამასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, როგორც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში განმარტა, ამ კომისიამ ზემოხსენებული გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 2007 წლის 19 ივნისს შპს „...“ და შპს „...“ შპს „...“ აცნობეს, რომ 2007 წლის 1 ივლისიდან ისინი აწესებდნენ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ახალ ტარიფს – 15,10 ლარს დღგ-ს გარეშე, ანუ – 17,81 ლარს დღგ-ს ჩათვლით, ხოლო მხარეთა შორის არსებული მომსახურების შესახებ ხელშეკრულების 4.2 მუხლის თანახმად, მხარეები ამ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ ერთმანეთს აცნობებდნენ წერილობით ერთი თვით ადრე, რის გამოც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მიიჩნია, რომ შპს „...“ და შპს „...“ მიერ დაწესებული ახალი ტარიფი – 17,81 ლარი დღგ-ს ჩათვლით ძალაში შევიდა მხარისათვის შეტყობინებიდან ერთი თვის თავზე, ანუ 2007 წლის 19 ივლისიდან. გარდა ამისა, ამ საკითხზე შპს „...“ და შპს „...“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში შპს „...“ განცხადებაზე წარდგენილ შეპასუხებაში განმარტეს, რომ 5 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ტარიფი დღგ-ს ჩათვლით, მოქმედებდა 2007 წლის 19 ივნისამდე, ხოლო შპს „...“ და შპს „...“ ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შემოიღეს ახალი ტარიფი, რის შესახებაც შპს „...“ აცნობეს 2007 წლის 19 ივნისის №... და №... წერილებით. შპს „...“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში წარდგენილ დაზუსტებულ მოთხოვნაში მიუთითა, რომ გაურკვეველი იყო, თუ საიდან დაადგინეს ტარიფი 17,81 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში წარმოდგენილია შპს „...“ 2007 წლის 19 ივნისის №... წერილი, მათ შორის, შპს „...“ მიმართ, ხსენებულ წერილში კი მითითებულია, რომ შპს „...“ ავტორიზებული პირებისათვის 2007 წლის 1 ივლისიდან აწესებდა მომსახურების ახალ საცალო ტარიფებს, კერძოდ, სახაზო-საკაბელო წყვილის მომსახურებისათვის – 15,10 ლარს დღგ-ს გარეშე. შპს „...“ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ საპაექრო სიტყვაში განმარტა, რომ, როგორც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, 2007 წლის 19 ივნისს შპს „...“ და შპს „...“ ავტორიზებულ პირებს, მათ შორის, შპს „...“ აცნობეს, რომ ისინი 2007 წლის 1 ივლისიდან აწე-



სებდნენ მომსახურების ახალ საცალო ტარიფს – 17,81 ლარს დღგ-ს ჩათვლით, რაც რეალობას იყო მოკლებული, რადგან საქმეში წარმოდგენილი იყო მხოლოდ შპს „...“ წერილი და გაუგებარი იყო, თუ რატომ ჩააყენა ხსენებულმა კომისიამ დასახელებული ორივე კომპანია ერთსა და იმავე სამართლებრივ რეჟიმში.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შპს „...“ სააპელაციო საჩივარშიც მიუთითა, რომ სასამართლოს არ ჰქონდა შესწავლილი და დადგენილი ის გარემოება, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებული დაანგარიშება, რომლის შესაბამისადაც უნდა მომხდარიყო თანხების კორექტირება 2007 წლის 19 ივლისიდან 2007 წლის 3 აგვისტომდე (17,81 ლარი, დღგ-ს ჩათვლით), დააფუძნა ადმინისტრაციული წარმოების პროცესში საერთოდ წარუდგენელ და კომისიის მიერ შეუსწავლელ მტკიცებულებებზე. ასევე გაურკვეველი იყო, თუ რა მტკიცებულება იქნა გამოყენებული ამ უკანასკნელის დასადგენად. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა ამ საკითხზე და არ გამოიკვლია მტკიცებულებები.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს კასატორის – შპს „...“ საკასაციო საჩივარში მოყვანილ კასაციის მიზეზებსა და კასაციის განაცხადს შორის შეუსაბამობაზე, კერძოდ, შპს „...“ ამტკიცებს, რომ სასამართლომ არასწორად და არასრულად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს. ამავდროულად, შპს „...“ კასაციის განაცხადში გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავ კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი – ხსენებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად. ამავ კოდექსის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს მტკიცებულებები, სრულყოფილად დაადგინოს საქმის გარემოებები, იმსჯელოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 26 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით, 17,81 ლარის, დღგ-ს ჩათვლით, ტარიფის მიხედვით, 2007 წლის 19 ივლისიდან 2007 წლის 3 აგვისტომდე ინტერნეტ-მომსახურების თანხების კორექტირების საკითხზე და საქმეზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შპს „...“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ამ ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 სექტემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, 49-ე, 54-ე 257-ე, მუხლების, 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით, 412-ე მუხლით და

## და ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. მხარის მიერ სარჩელზე ნაწილობრივ უარის თქმის გამო შეწყდეს საქმის წარმოება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 26 ოქტომბრის №637/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე იმ ნაწილში, რომლითაც შპს „...“ დაევალა ინტერნეტ-მომსახურების თანხების კორექტირება 2007 წლის 21 აპრილიდან 2007 წლის 19 ივლისამდე 5 აშშ დოლარის (შესაბამისი ლარის) ოდენობით;

3. გაუქმდეს ამ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 სექტემბრის განჩინება;

4. მხარეებს განემარტოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა სარჩელით იმავე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით აღარ დაიშვება;

5. დანარჩენ ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 24 სექტემბრის განჩინება და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

6. შპს „...“ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ნახევარი – 150 ლარი დაუბრუნდეს გადამხდელს – ა. ხ-შვილს;

7. დარჩენილი სახელმწიფო ბაჟის საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

8. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მტკიცებაშუღებულის სრულყოფილად გამოკვევა

### განჩინება

№ბს-96-95(კ-10)

12 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 21 ნოემბერს სს „...“ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბორჯომის რაიონულ სასამართლოს მოპასუხის – ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართ და ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 2008 წლის 8 მაისის ოქმის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალევა მოითხოვა.

ბორჯომის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1985 წლის 24 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით სანარმოო გაერთიანება „...“, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ბორჯომის №1 და №2 ჩამომსხმელი ქარხნები, თონე-საფუნთუშის მშენებლობის მიზნით სოფ. ... კაპიტალურ ხიდთან, ავტოსამრეცხაოს მიმდებარედ გამოეყო 0,04 ჰა მიწის ნაკვეთი, რომელზეც 1989-1992 წლებში ბორჯომის №2 ჩამომსხმელი ქარხნის მიერ აშენდა საფირმო მალაზია და საცხობი. 1992 წლის 20 იანვრის ხელშეკრულებით სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკურ გაერთიანება „...“ და ბორჯომის №2 ჩამომსხმელ ქარხნებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც ქარხნის შრომით კოლექტივს იჯარა-გამოსყიდვის წესით გადაეცა ბორჯომის №2 ჩამომსხმელი ქარხნის ბალანსზე რიცხული ქონება. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ 1993 წლის 7 სექტემბერს გაცემულ იქნა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა №..., რომლითაც ბორჯომის №2 ჩამომსხმელ ქარხნის ბალანსზე რიცხული ქონება საკუთრების უფლებით გადაეცა შრომით კოლექტივის მიერ შექმნილ სს „...“. 1999 წლის 10 მარტს განხორციელდა ნაგებობის ტექნიკური ინვენტარიზაცია-პასპორტიზაცია და იგი აღირიცხა სს „...“ სახელზე, რაც დადასტურებულია ბორჯომის ტექალიცხვის სამსახურის 2004 წლის 4 მაისის №... წერილითა და 1999 წლის 10 მარტის ტექნიკური პასპორტით. სს „...“ აღნიშნული ქონება შეიტანა ბორჯომის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 30 ივლისის №... დადგენილებით რეგისტრირებულ სს „...“ საწესდებო კაპიტალში, რომლის უფლებამონაცვლევ არის სს „...“ და ირიცხება მის ბალანსზე.

2008 წლის 23 აპრილს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებულ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და მოითხოვა საკუთრების უფლების გაცემა სადავო ნაგებობით დაკავებულ 432 ჰა მიწის ნაკვეთზე. კომისიამ მოსარჩელის განცხადება არსებითად არ განიხილა და 2008 წლის 8 მაისის №... ოქმით მიიჩნია, რომ საქმე განხილული უნდა ყოფილიყო სასამართლო წესით.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ კომისიის 2008 წლის 8 მაისის №28 ოქმი არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის გამოცემისას დარღვეულია სზაკ-ის 53-ე და 96-ე მუხლების

მოთხოვნები, რაც ამავე კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მისი ბათილობის საფუძველია. მოსარჩელე თვლის, რომ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს იმ საბუთების ჩამონათვალს, რომელიც უნდა ერთვოდეს განცხადებას საკუთრების უფლების აღიარების შესახებ. ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს მიწის ნაკვეთების ჩამონათვალს, რომლებიც არ ექვემდებარება საკუთრების უფლების აღიარებას. გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ წესის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის საფუძველია თუ მოთხოვნა არ აკმაყოფილებს ამავე წესისა და ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ კანონით განსაზღვრულ პირობებს ან არ დასტურდება მართლზომიერ/თვითნებური მფლობელობის/სარგებლობის ფაქტი ან თუ დაინტერესებული პირი დადგენილ ვადაში არ გადაიხდის საკუთრების უფლების აღიარების სხვა საფასურს. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული გარემოებების შესაბამისად, კომისია ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში კომისიამ დაინტერესებულ პირს უარი უნდა უთხრას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

მოცემულ შემთხვევაში კომისიამ უარი განაცხადა სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარების ან მასზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე, რაც ეწინააღმდეგება მითითებულ მატერიალურ ნორმათა მოთხოვნებს. სასამართლო მხოლოდ მაშინ იქნებოდა უფლებამოსილი განეხილა სადავო საკითხი, თუ კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით საკითხი გადაწყვეტილი არსებობდა.

2009 წლის 18 მარტის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა ბათილად იქნეს ცნობილი ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარებისა და საკუთრების მონაბობის გაცემის მუდმივმოქმედი კომისიის 2008 წლის 8 მაისის ოქმი იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სს „...“ 2008 წლის 23 აპრილის №... განცხადება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ. ასევე მოპასუხეს – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბორჯომის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალოს სს „...“ 2008 წლის 23 აპრილის №... განცხადების არსებითად განხილვის შემდეგ გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბორჯომის რაიონის სოფ. ...., ... ქ. №58-ში მდებარე და სს „...“ სახელზე რიცხული ნაგებობით დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით ა. გ-ძე საქმეში ჩაბმულ იქნა მესამე პირად.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 თებერვლის განჩინებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბორჯომის სარეგისტრაციო სამსახური საქმეში ჩაბმულ იქნა მოპასუხედ.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით სს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებითა და მოწმეთა ჩვენებების თანახმად, დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ობიექტი საქმეში მესამე პირად ჩაბმულ ა. გ-ძის მფლობელობაში იმყოფება და 1985-1989 წლებში თავისივე სახსრებით იქნა აშენებული. რაც შეეხება ბორჯომის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1985 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებას იურიდიული ძალა არ ჰქონდა ვინაიდან, ბორჯომის საქალაქო საბჭო არ იყო უფლებამოსილი განეკარგა სოფ. ... კოლმეურნეობის საკუთრებაში არსებული მიწა. სასამართლომ მტკიცებულებად არ ცნო ე. წ. ხარჯთაღრიცხვა, ვინაიდან იგი ხელმოწერილი და დამოწმებული არ იყო სათანადო წესით, ასევე საკუთრების დადასტურებული მოწმობა №..., ვინაიდან არც აღნიშნული მოწმობით და არც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დასტურდებოდა მოსარჩელის საკუთრების უფლება სადავო ობიექტზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ გაურკვეველი იყო რის საფუძველზე შეიქმნა ტექნიკური სამსახურის ცნობა და ტექნიკური პასპორტი. 1992 წლის 10 ოქტომბრის თარიღით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი მიიჩნია ცალმხრივად შედგენილ დოკუმენტად, ვინაიდან იგი ხელმოწერილი და დამოწმებული არ იყო მეორე მხარის მიერ.

ამდენად, რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე მხარის მიერ სადავო აქტის გამოცემისას არ დარღვეულა კანონის რაიმე არსებითი მოთხოვნა, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მიიჩნია.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „...“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა მოცემულ საქმეზე ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ახალციხის რაიონულ სასამართლოს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ რაიონულმა სასამართლომ არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და არასათანადო სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ

მტკიცებულებებს, სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ გამომდინარეობდა საქმეში არსებული მასალების ობიექტური შეფასებიდან. ამასთან, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავდა მითითებას მატერიალური სამართლის არც ერთ ნორმაზე, რომლითაც სასამართლომ იხელმძღვანელა გადაწყვეტილების მიღებისას, შესაბამისად, რაიონული სასამართლოს მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნები, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სასამართლოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლითაც სასამართლომ იხელმძღვანელა, აღნიშნული კი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს.

თბილისის სააპელაციო პალატამ, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის 2008 წლის 8 მაისის ოქმთან მიმართებაში, რომელიც ითვალისწინებს, რომ საქმე განხილული იქნეს სასამართლო წესით, განმარტა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლეგიური ორგანოში შეტანილ განცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო. გამონაკლისს წარმოადგენს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის უფლება – გადაგზავნოს განცხადება უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ან დაუბრუნოს იგი განმცხადებელს, თუ მასში დასმული საკითხების გადაწყვეტა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას არ განეკუთვნება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლზე, რომლის თანახმად, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომპეტენცია მიენიჭა შესაბამისი მუნიციპალიტეტების საკრებულოებს, რომლებიც აღნიშნულ უფლებამოსილებას ახორციელებენ სპეციალური კომისიის მეშვეობით, ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლ პუნქტსა და ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტზე და განმარტა, რომ საკუთრების უფლების აღიარების კომისია, ვალდებული იყო არსებითად განეხილა შემოსული განცხადება, დაედგინა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, გამოერკვია არსებობდა თუ არა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარების ან მასზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი და ამის შესაბამისად, საქმეზე მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ მე-16 მუხლის 1-ლ პუნქტზე და განმარტა, რომ კომისია უფლებამოსილი იყო უარი ეთქვა საკუთრების უფლების აღიარებაზე, თუ მიიჩნეოდა, რომ დაინტერესებული პირის მოთხოვნა არ შეესაბამებოდა კანონით განსაზღვრულ პირობებს, ან არ დასჭირდებოდა მართლზომიერი/თვითნებური მფლობელობის/სარგებლობის ფაქტი, ან თუ დაინტერესებული პირი დადგენილ ვადაში არ გადაიხდიდა საკუთრების უფლების აღიარების საფასურს. საკუთრების უფლების აღიარების კომისია, კონკრეტულ შემთხვევაში, ვალდებული იყო არსებითად განეხილა შემოსული განცხადება, დაედგინა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, გაერკვია, არსებობდა თუ არა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარების ან მასზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი და ამის შესაბამისად, საქმეზე მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავდა მითითებას კომისიის მიერ დადგენილ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებზე, საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის კანონით განსაზღვრულ რომელიმე საფუძველზე – სამართლებრივ ნორმაზე, რომელიც გამორიცხავდა მოსარჩელის განცხადების დაკმაყოფილებას.

სააპელაციო პალატამ საფუძვლიანად მიიჩნია აპელანტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ კომისიის მითითება, რომ მიზანშეწონილი იყო, საკუთრების უფლების აღიარების საკითხი გადაწყვეტილიყო სასამართლო და არა ადმინისტრაციული წესით, არ ქმნიდა განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის კანონიერ საფუძველს, რადგან საკუთრების აღიარებაზე უარის თქმის ამგვარი მოტივი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 თებერვლის განჩინებაზე, რომლის საფუძველზეც ბორჯომის სარეგისტრაციო სამსახური საქმეში ჩაერთო მოპასუხე მხარედ და განმარტა, რომ გაუგებარია და შესაბამისად, დასაზუსტებელი თუ რა სტატუსით მონაწილეობს საქმეში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბორჯომის სარეგისტრაციო სამსახური.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დარღვეულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნა საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის თვალსაზრისით. შესაბამისად, გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია მისი როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გააუქმა ბორჯომის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა პირველი ინსტანციის სასამართლოს.

სააპელაციო პალატამ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით ცვლილება იქნა შეტანილი „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაში, რომლის თანახმად, ლიკვიდირებული იქნა ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის რაიონული სასამართლოები და შეიქმნა ახალციხის რაიონული სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით, მოცემული საქმე განსახილველად დაუბრუნა ახალციხის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. გ-ძემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება მოითხოვა.

კასატორს უსაფუძვლოდ მიაჩნია სააპელაციო პალატის მოსაზრება, იმასთან დაკავშირებით, რომ საკუთრების უფლების აღიარების კომისიას გადაწყვეტილების მიღებისას არ დაუდგენია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, ვინაიდან სს „...“ არ წარუდგენია მტკიცებულებები, რომლებიც დადასტურებდნენ მის მიერ სადავო მიწის ნაკვეთისა და შენობის ფლობის ფაქტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკუთრების უფლების აღიარების კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ამ ქონების მართლზომიერი ან თვითნებური ფლობის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო სასამართლო წესით. კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თავად სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ საკუთრების აღიარების კომისიას თავად უნდა მიეღო ამ საკითხზე გადაწყვეტილება. ასეთ ვითარებაში კასატორი გაუგებრად მიიჩნევს სააპელაციო პალატის მიერ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას.

კასატორის მოსაზრებით, საჯარო რეესტრის სტატუსის განსაზღვრა არ წარმოადგენს არგუმენტს, რომელიც შეიძლება გამხდარიყო საქმის ხელახლა განსახილველად ახალციხის რაიონულ სასამართლოში დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან ეს საკითხი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სადავოდ არ გაუხდია. კასატორი მიიჩნევს, რომ რაიონულმა სასამართლომ სრულიად საფუძვლიანად ჩათვალა დადგენილად, რომ სადავო შენობა აშენებულ იქნა ა. გ-ძის მიერ. ამასთან ეს შენობა და მიწის ნაკვეთი ყოველთვის იყო და ამჟამადაც არის მის მფლობელობასა და სარგებლობაში, რისი გათვალისწინებითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

კასატორის განმარტებით, ბორჯომის საქალაქო საბჭოს აღმასრულებლის 1985 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით სადავო მიწის ნაკვეთი გამოეყო სანარმო „...“ და არა სს „...“, ამასთანავე მოსარჩელეს არც საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში და არც სასამართლოში არ წარმოუდგენია დოკუმენტი, რომლითაც დადასტურებოდა სს „...“ სანარმო „...“ უფლებამონაცვლედ ყოფნის ფაქტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 12 აპრილის განჩინებით ა. გ-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეული იქნა დასაშვებად და დადგენილ იქნა საქმის განხილვა მხარეთა დასწრების გარეშე.

2010 წლის 10 მარტს სს „...“ წარმოადგინა შეგებებული საკასაციო საჩივარი, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 15 მარტის განჩინებით განუხილველად იქნა დატოვებული.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. გ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებას, კერძოდ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ოქტომბრის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლო საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების საფუძველად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ რაიონული სასამართლოს მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნები, კერძოდ, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არ იყო აღნიშნული სასამართლოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლითაც მან იხელმძღვანელა, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენდა. ამასთან, დასაზუსტებელი იყო თუ რა სტატუსით მონაწილეობდა საქმეში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბორჯომის სარეგისტრაციო სამსახური.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სარჩელის მოთხოვნაზე. ამასთან, მიუთითა სზაკ-ის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლ პუნქტზე. სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლე-

ბის აღიარების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-16 მუხლის 1-ლ ნაწილზე და მიიჩნია, რომ საკუთრების აღიარების კომისია ვალდებული იყო არსებითად განეხილა განცხადება, დაედგინა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, გაერკვია არსებობდა თუ არა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარების ან მასზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების შემომნების საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სარჩელის მიზანია ბათილად იქნეს ცნობილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის შემდეგ მიღებულ იქნეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროცედურული კანონიერება დამოკიდებულია სზაკ-ის 53.3 და 96.1 მუხლების მოთხოვნათა დაცვაზე, ხოლო მისი მატერიალური კანონიერება დგინდება იმ კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შესაბამისობით. სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება შეიცავს მითითებას თუ რა პროცედურული და მატერიალური ნორმების შემომნების შედეგად უნდა დადგენილიყო გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონ-შესაბამისობა. სააპელაციო პალატამ ასევე დარღვეულად მიიჩნია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნა საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის თვალსაზრისით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის. სააპელაციო სასამართლოში, საკასაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, საქმის განხილვა მიმდინარეობს იმ წესების დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმე განიხილოს არსებითად, გამოიკვლიოს და დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და საქმეს მისცეს სამართლებრივი შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის საფუძველზე გააჩნია უფლებამოსილება გააუქმოს გადაწყვეტილება და საქმე დააბრუნოს პირველ ინსტანციაში ხელახლა განსახილველად, საკასაციო სასამართლო თვლის, იმ შემთხვევაში, როცა სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას სსკ-ის 394-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძველით, მიზანშეწონილია, მან, ზემოთითთებული კომპეტენციიდან გამომდინარე, თვითონ განიხილოს და გადაწყვიტოს იგი, რაც უზრუნველყოფს პროცესის ეკონომიურობის პრინციპის დაცვას და რაც პროცესის მონაწილეთ მისცემს შესაძლებლობას, დროის შემჭიდროვებულ ვადებში მოახდინონ საკუთარი მატერიალური უფლებების რეალიზება.

სააპელაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი შემოიფარგლოს მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და მიღებულია საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის გარეშე. ასეთ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო ვალდებულია საქმის გარემოებებზე მითითებით დაადგინოს თუ რა გარემოების გამოკვლევა უზრუნველყოფდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დაცვას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას. საკასაციო სასამართლო თვლის, იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო ამ მოტივით აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უკან აბრუნებს ხელახალი განხილვისათვის, მან განჩინებაში მკვეთრად უნდა მიუთითოს, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებები საჭიროებენ გამოკვლევას, რომელი მტკიცებულებები უნდა იქნეს შეგროვებული, შემომნებული და შეფასებული, რომელი კონკრეტული საპროცესო მოქმედება უნდა შეასრულოს საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება იძენს ფორმალურ ხასიათს და იკარგება სააპელაციო სასამართლოს, როგორც ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს, მნიშვნელობა. ამასთან, სააპელაციო პალატამ განსახილველ შემთხვევაში, ფაქტურად შეაფასა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება, ისე, რომ არ უმსჯელია დამატებით რა გარემოებების გამოკვლევა იყო აუცილებელი დავის სწორად გადასაწყვეტად, ან თავად რატომ ვერ შეძლებდა არსებითად გადაწყვიტა სადავო საკითხი და საქმეზე მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, თავად აქვს შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვოს სათანადო მტკიცებულებები და მათი შესწავლისა და ურთიერთშეჯერების გზით, სსსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, გააკეთოს სათანადო დასკვნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს საქმის ყოველმხრივი და ობიექტური განხილვის შედეგად საქმეზე მიიღოს გადაწყვეტილება ან დასაბუთებული მითითებებით საქმე დაუბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოს.

ზემოაღნიშნული გარემოებები და გასაჩივრებული განჩინების მოტივაცია საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს, გააუქმოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ა. გ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ოქტომბრის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. მხარეთათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებაგის სრულყოფილი გამოკვლევა

განჩინება

№ბს-140-134(კ-10) 27 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, მოქმედების განხორციელების დაავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 27 აპრილს ა. შ-იანმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა მოპასუხეების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელე სარჩელში მიუთითებდა, რომ 2009 წლის 9 თებერვალს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურს განცხადებით მიმართა და ქ. ფოთში, ... №42-ში მდებარე საკარმიდამო მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია მოითხოვა. მისივე მითითებით, განცხადებას თან დაურთო 2008 წლის 20 აგვისტოს გაცემული სამკვიდრო მოწმობა ა. ს-იანის სახელზე, რომლითაც მან მიიღო მოქალაქე ა. ს-ევის სამკვიდრო ქონება, რაც წარმოდგენილი იყო აქტივებისა და პასივების სახით, 2008 წლის 22 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს ფოთის არქივიდან გაცემული საარქივო ცნობა, რომლითაც ა. ს-იანს ეცნობა, რომ ფოთის საქალაქო არქივში დაცული საფინანსო განყოფილების სახლთმფლობელთა საგადასახადო აღრიცხვის წიგნიდან ჩანდა, რომ ქ. ფოთში, ... №42-ში მდებარე შენობისა და მიწის რენტის გადასახადი 1981-1983 წლებში დარიცხული იყო ა. ს-ევის სახელზე, სახლის გეგმა-ნახაზი და სხვა დოკუმენტაცია.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2009 წლის 10 თებერვალს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანებით დამტკიცებულ „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის 62-ე მუხლისა და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, ა. ს-ს დაევალა უძრავ ნივთზე უფლების დამდგენი დოკუმენტის წარდგენა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მოითხოვა, ვინაიდან ქ. ფოთის ტექნიკური არქივი განადგურებული იყო ხანძრის გამო და ვერ ხერხდებოდა დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა, გაეუქმებინათ ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოების შეჩერების შესახებ და რეგისტრაციაში გაეტარებინათ სადავო უძრავი ქონება. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით ა. ს-იანს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძველით, რომ მის მიერ ვერ იქნა წარდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, ქ. ფოთში ... №42-ში მდებარე უძრავ ქონებაზე ა. ს-იანის საკუთრების უფლების აღიარება და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ა. ს-იანის საკუთრებად ქ. ფოთში, ... №42-ში მდებარე უძრავი ქონების დარეგისტრირების დაავალდებულება და მის მიერ გადახდილი სარეგისტრაციო თანხის გადახდილად ჩათვლა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 21 მაისის განჩინებით, ა. ს-იანის სარჩელი განსახილველად გადაეგზავნა განსჯად სასამართლოს – ფოთის რაიონულ სასამართლოს.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით ა. ს-იანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანების მე-10 მუხლის თანახმად, რეგისტრაცია წარმოებდა შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის, საკადასტრო მონაცემებისა და სხვა დოკუმენტაციის საფუძველზე. ამავე ბრძანების მეორე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი არის ნორმატიული ან/და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სასამართლო (საარბიტრაჟო) აქტი, რომელიც წარმოშობს უძრავ ნივთზე უფლების, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილებების და მათი შეწყვეტის რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას.

ფოთის საქალაქო სასამართლომ აგრეთვე მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლზე, რომლის თანახმადც, მარეგისტრირებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ განცხადებას არ ერთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.

ფოთის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოსარჩელემ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურს ვერ წარუდგინა „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანების მეორე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების დამადასტურებელი რომელიმე დოკუმენტი, მოპასუხეთა მხრიდან მას მართებულად ეთქვა უარი უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე და არ არსებობდა გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობის საფუძველი.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, სახლის გეგმანახაზი, საბინაო წიგნი და 1974 წლის 28 იანვარს გაცემული ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს ცნობა, არ წარმოადგენდა საკმარის მტკიცებულებას იმისათვის, რომ აღიარებული ყოფილიყო სადავო მიწის ნაკვეთი ა. ს-იანის საკუთრების უფლება. მოსარჩელის მიერ არ იყო წარმოდგენილი რაიმე დოკუმენტი, რომლითაც დადგინდებოდა, რომ სადავო ქონებას ან ვარდაცვლილი ა. ს-ევი საკუთრების უფლებით ფლობდა 2006 წლამდე – მისი გარდაცვალების დღემდე.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ს-იანმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 13 განჩინებით ა. ს-იანის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 7 აპრილისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებები მიღებული იყო კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ შეიცავდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლით დადგენილ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძველებს.

ზემოაღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ს-იანმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

კასატორის განცხადებით, სააპელაციო სასამართლომ, მართალია, გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად გაიგო ამ კანონის აზრი და შინაარსი, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანების მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს სხვა სამართლებრივი აქტი, როგორც სახის აქტსაც კასატორის მოსაზრებით, წარმოადგენდა საბინაო წიგნი და ცნობა მიწის რენტის გადასახადის შესახებ, რომელთა საფუძველზეც შეიძლებოდა უძრავი ქონების რეგისტრაციაში გატარება, ვინაიდან განადგურებული იყო ტექ. ბიუროს არქივი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ა. ს-იანის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 19 აპრილის განჩინებით ა. ს-იანის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით, 2010 წლის 1 ივნისს, 15.00 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებანი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ ა. ს-იანის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გაერმოებათა გამო:



საკასაციო სასამართლო, მართალია, ნორმათა შეფარდების ნაწილში იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებებს და თვლის, რომ ამ თვალსაზრისით არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, მაგრამ იმავდროულად მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიდგომა დავის საგნისადმი ატარებს ფორმალურ ხასიათს, საკითხი არასრულყოფილადაა გამოკვლეული და არ არის შეფასებული იმ სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების საკითხი, რაც შესაძლებელს გახდის მოსარჩელის თავდაპირველ უფლებებში აღდგენას.

საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით განმტკიცებული საკუთრების უფლება არის, ერთი მხრივ, საკუთრების უფლების, როგორც ინსტიტუტის გარანტია და მეორე მხრივ, პიროვნების უფლების გარანტია.

საკუთრების უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს პირის უფლებების უარყოფას მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მას საკუთარი ბრალის გარეშე არ შეუძლია წარმოადგინოს უფლების დამდგენი დოკუმენტი. უდავო და მხარეთათვის ცნობილ ფაქტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ქ. ფოთის ტექნიკურ არქივში დაცული მასალები განადგურებულია მომხდარი ხანძრის გამო. ასეთ პირობებში საკასაციო სასამართლო თითოეული მსგავსი დავის მართებულად გადანყევტისათვის საჭიროდ მიიჩნევს ყველა არსებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებასა და შეფასებას, რამაც ერთობლიობაში უდავო უნდა გახადოს მოსარჩელის სამართლებრივი კავშირი მოთხოვნილი ნივთისადმი.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული მოსაზრების განვითარების საფუძველს აძლევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებები, რის შედეგადაც იურიდიული ფაქტის დადგენის გზით მსგავსი უფლებების განსაზღვრა შეიზღუდა საკანონმდებლო დონეზე. ასეთ პირობებში საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, მოსარჩელეს მიეცეს შესაძლებლობა მის ხელთ არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, საქმის არსებითად განხილვის გზით დაადასტუროს მოთხოვნის საფუძვლიანობა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შემდეგაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო ასევე მოიხმობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის დებულებებს, რომლის შესაბამისადაც, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს ან გარდაცვლილი ა. პ. ძე ს-ევის კავშირი უძრავი ნივთისადმი, ვინ ცხოვრობს მითითებულ სახლში ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდგომ, ხომ არ მომხდარა აღნიშნული სახლის გასხვისება და არის თუ არა სახლი აღრიცხული შესამე პირის საკუთრებაში. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მითითებული გარემოებების დადგენის მიზნით სასამართლომ უნდა გამოიყენოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ყველა შესაძლო მექანიზმი.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს სათანადო შეფასება მიეცეს საქმეში დაცულ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს ფოთის არქივის №... საარქივო ცნობას, რომლითაც ირკვევა, რომ სახლის, მდებარე ქ. ფოთში ... №... და მიწის რენტის 1981-1983წწ. გადასახადი დარიცხულია ა. პ. ძე ს-ევის სახელზე. საქმეში აგრეთვე წარმოდგენილია საბინაო ნივანი, რომელიც განხილულ უნდა იქნეს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ეს სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას დაადგინოს ან გარდაცვლილი ა. პ. ძე ს-ევის კავშირი საქართველოს სახლის მიმართ, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ამ და სხვა სათანადო მტკიცებულებების გამოკვლევის გარეშე შეუძლებელი იქნება არსებითად სწორი გადანყევტილების მიღება.

საკასაციო სასამართლო ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლომ შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მისცეს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის ქმედებას, კერძოდ, გააჩნდა თუ არა ამ უკანასკნელს სათანადო უფლებამოსილება ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ამ გარემოებებზე დაყრდნობით მიეღო გადანყევტილება.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს საქმის გარემოებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას, იმავდროულად აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ თანაბარმნიშვნელოვნად უნდა უზრუნველყოს როგორც პირის უფლებების გარანტირება, ისე მოთხოვნის კანონიერება და წინამდებარე სარჩელი დააკმაყოფილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე უდავო გახდება კასატორისა და მისი მამკვიდრებლის უფლებრივი კავშირი მოთხოვნილი ნივთისადმი.

ზემოაღნიშნული გარემოებების დადგენა-გამოკვლევის მიზნით საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა ზ ი ნ ა:

1. ა. ს-იანის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 13 ნოემბრის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევის ვალდებულება

განჩინება

№ბს-142-136(კ-10)

27 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, მოქმედების განხორციელების დაავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 15 ივნისს მ. ფ-კის წარმომადგენელმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ფოთის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 8 ივნისისა და ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, ქ. ფოთში, ... №32-ში მდებარე უძრავ ქონებაზე მ. ფ-კის საკუთრების უფლების აღიარება და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის დავალდებულება, მ. ფ-კის საკუთრებად დაარეგისტრიროს ქ. ფოთში, ... №32-ში მდებარე უძრავი ქონება.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ ქ. ფოთში, ... №32-ში მდებარე უძრავ ქონებას – საკარმიდამო მიწის ნაკვეთს, საკუთრების უფლებით ფლობდა მ. ფ-კის მეუღლე ან გარდაცვლილი უ. ფ-კი. 2008 წლის 23 ოქტომბრის სანოტარო აქტის საფუძველზე იგი ცნობილი იქნა უ. ფ-კის დანაშთი ქონების მემკვიდრედ. მოსარჩელემ 2009 წლის 25 მაისს განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა ქ. ფოთში, ... №32-ში მდებარე უძრავი ქონების მის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაცია. მოსარჩელემ განცხადებას თან დაურთო სამკვიდრო მონაშთი, გეგმა-ნახაზი, 1974 წლის 28 იანვარს გაცემული ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს მიერ გაცემული ცნობა, საბინაო წიგნი და 2008 წლის 14 აპრილს გაცემული საარქივო ცნობა.

2009 წლის 27 მაისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანებით დამტკიცებული „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის 62-ე მუხლისა და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, მ. ფ-კს დაევალა უძრავ ნივთებზე უფლების დამდგენი დოკუმენტის წარდგენა. მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გაასაჩივრა მ. ფ-კის წარმომადგენელმა – ლ. ა-ძემ. წარმომადგენელი მიუთითებდა, რომ ვინაიდან ქ. ფოთის ტექნიკური არქივი განადგურებული იყო ხანძრის გამო, ვერ ხერხდებოდა დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა. ლ. ა-ძემ მოითხოვა ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილების გაუქმება, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის დავალდებულება, დაარეგისტრიროს უძრავი ქონება მ. ფ-კის საკუთრებად.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძველით, რომ მის მიერ ვერ იქნა წარდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. ფ-კის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებაში განმარტავდა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანების მე-10 მუხლის თანახმად, რეგისტრაცია წარმოებს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის, საკადასტრო მონაცემების და სხვა დოკუმენტაციის საფუძველზე. ამავე ბრძანების მეორე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი არის ნორმატიული ან/და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სასამართლო (საარბიტრაჟო) აქტი, რომელიც წარმოშობს უძრავ ნივთზე უფლების, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილებების და მათი შეწყვეტის რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, მარეგისტრირებული ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ განცხადებას არ ერთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სასამართლო აღნიშნავდა, რომ მოსარჩელემ ვერ მიუთითა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის ვერც ერთი კანონით განსაზღვრული საფუძველები.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოსარჩელემ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოტის სარეგისტრაციო სამსახურს ვერ წარუდგინა საქართველოს იუსტიციის მინისტრის „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანების მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების დამადასტურებელი რომელიმე დოკუმენტი, მოპასუხის მიერ სწორად ეთქვა უარი უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე და არ არსებობს გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობის საფუძველები.

სასამართლო ასევე აღნიშნავდა, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტები – სახლის გეგმანახაზი, მოწმეების ჩვენებები, საბინაო წიგნი და 1974 წლის 28 იანვარს გაცემული ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს ცნობა არ წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას იმისათვის, რომ აღიარებულ იქნას სადავო მიწის ნაკვეთზე მ. ფ-კის საკუთრების უფლება, რამდენადაც, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება ის ფაქტი, რომ ან გარდაცვლილი ყ. ფ-კის გარდაცვალების დროისათვის ქ. ფოთში, ... №32-ში მდებარე უძრავი ქონება წარმოადგენდა ამ უკანასკნელის საკუთრებას, რამდენადაც ყ. ფ-კი გარდაიცვალა 2008 წლის 8 თებერვალს, ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს ცნობა კი შეიცავს მონაცემებს 1947 წლის მდგომარეობით.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ფ-კმა, რომლითაც მოითხოვა ფოტის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ნოემბრის განჩინებით მ. ფ-კის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ფოტის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ფ-კმა და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ნოემბრის განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ მართალია გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად გაიგო ამ კანონის აზრი და შინაარსი, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ 2006 წლის 13 დეკემბრის №800 ბრძანების მეორე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს სხვა სამართლებრივი აქტი და კასატორის მოსაზრებით, ასეთი დოკუმენტია ტექნიკური აღრიცხვის ცნობა, რომლის საფუძველზე შეიძლება რეგისტრაციაში გატარდეს უძრავი ქონება.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ფ-კის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო, მართალია, ნორმათა შეფარდების ნაწილში იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებებს და თვლის, რომ ამ თვალსაზრისით არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქ-

მების საფუძველი, მაგრამ იმავდროულად მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიდგომა დავის საგნისადმი ატარებს ფორმალურ ხასიათს, საკითხი არასრულყოფილადაა გამოკვლეული და არ არის შეფასებული იმ შესაძლო სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების საკითხი, რაც შესაძლებელს გახდის მოსარჩელის თავდაპირველ უფლებებში აღდგენას.

საქართველოს კონსტიტუციის 21.1 მუხლის შესაბამისად, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება ალიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით განმტკიცებული საკუთრების უფლება არის, ერთი მხრივ, საკუთრების უფლების, როგორც ინსტიტუტის გარანტია და მეორე მხრივ, პიროვნების უფლების გარანტია.

საკუთრების უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს პირის უფლებების უარყოფას მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მას საკუთარი ბრალის გარეშე არ შეუძლია წარმოადგინოს უფლების დამდგენი დოკუმენტი. უდავო და მხარეთათვის ცნობილ ფაქტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ქ. ფოთის ტექნიურის არქივში დაცული მასალები განადგურებულია მომხდარი ხანძრის გამო. ასეთ პირობებში საკასაციო სასამართლო თითოეული მსგავსი დავის მართებულად გადანყვეტისათვის საჭიროდ მიიჩნევს ყველა არსებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებასა და შეფასებას, რამაც ერთობლიობაში უდავო უნდა გახადოს მოსარჩელის სამართლებრივი კავშირი მოთხოვნილი ნივთისადმი.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული მოსაზრების განვითარების საფუძველს აძლევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებები, რის შედეგადაც იურიდიული ფაქტის დადგენის გზით მსგავსი უფლებების განსაზღვრა შეიზღუდა საკანონმდებლო დონეზე. ასეთ პირობებში საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, მოსარჩელეს მიეცეს შესაძლებლობა მის ხელთ არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, საქმის არსებითად განხილვის გზით დაადასტუროს მოთხოვნის საფუძვლიანობა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, კერძოდ, საქმეში დაცულია ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს 1974 წლის 28 იანვრის №... ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ მოქ. ყ. პ. ძე ფ-კი ცხოვრობდა ... 32-ში და ქ. ფოთში გააჩნდა საკუთარი საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო მიწის ნაკვეთი; იმავე საქმეში წარმოდგენილია საარქივო ცნობა საიდანაც იკვეთება, რომ ქ. ფოთში ... 32-ში მდებარე სახლის და მიწის რენტის გადასახადი 1981-1983 წლებში დარიცხულია ყ. პ. ძე ფ-კის სახელზე. მიწის ნაკვეთის საერთო ფართი ნაჩვენებია 1313 კვ/მ. საკასაციო სასამართლო ასევე მნიშვნელოვან მტკიცებულებად მიიჩნევს საქმეში დაცულ საბინაო წიგნს, რომელიც შესწავლილი და გამოკვლეული არ არის არცერთი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105.2 მუხლის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შემდეგაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო ასევე მოიხმობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის დებულებებს, რომლის შესაბამისადაც, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს ან გარდაცვლილი ყ. ფ-კის კავშირი უძრავი ნივთისადმი, ვინ ცხოვრობს მითითებულ სახლში ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდგომ, ხომ არ მომხდარა აღნიშნული სახლის გასხვისება და არის თუ არა სახლი აღრიცხული მე-3 პირის საკუთრებაში. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მითითებული გარემოებების დადგენის მიზნით სასამართლომ უნდა გამოიყენოს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა შესაძლო მექანიზმი.

საკასაციო სასამართლო ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლომ სათანადო სამართლებრივი შეფასება მისცეს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის ქმედებას, კერძოდ, გააჩნდა თუ არა ამ უკანასკნელს სათანადო უფლებამოსილება ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ამ გარემოებებზე დაყრდნობით მიეღო გადანყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს რა საქმის გარემოებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას, იმავდროულად აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ თანაბარმნიშვნელოვნად უნდა უზრუნველყოს როგორც პირის უფლებების გარანტირება, ისე მოთხოვნის კანონიერება და სარჩელი დააკმაყოფილოს იმ შემთხვევაში, თუ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე უდავოა კასატორის (მოსარჩელის) უფლებრივი კავშირი მოთხოვნილი ნივთისადმი.

ზემოაღნიშნული გარემოებების დადგენა-გამოკვლევის მიზნით საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. მ. ფ-ვის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 16 დეკემბრის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სახელმწიფო ბაჟის მხარეთა შორის გადანაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადანაწილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევა

#### განჩინება

№ბს-141-135(კ-10)

6 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა; ქმედების განხორციელების დავალაშვება

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ძ-შვილმა 16.06.09წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა ფოთის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 08.06.09წ. და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის 29.05.09წ. გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, ქ. ფოთში, ... ქ. №81-ში მდებარე უძრავ ქონებაზე დ. ძ-შვილის საკუთრების უფლების აღიარება, ფოთის სარეგისტრაციო სამსახურისათვის ქ. ფოთში, ... ქ. №81-ში მდებარე უძრავი ქონების დ. ძ-შვილის საკუთრებად დარეგისტრირება და მის მიერ გადახდილი სარეგისტრაციო მომსახურების თანხის გადახდილად ჩათვლა მოითხოვა. სარჩელში აღნიშნულია, რომ დ. ძ-შვილი საკუთრების უფლებით ფლობს ქ. ფოთში, ... ქ. №81-ში მდებარე უძრავ ქონებას – საკარმიდამო მიწის ნაკვეთს. 28.05.09წ. განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა ქ. ფოთში, ... ქ. №81-ში მდებარე უძრავი ქონების მის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაცია. მოსარჩელემ განცხადებას თან დაურთო 29.11.91წ. გაცემული ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს მიერ გაცემული ცნობა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი. 29.05.09წ. ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 13.12.06წ. №800 ბრძანებით დამტკიცებულ „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის 62-ე მუხლისა და „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად დ. ძ-შვილს დაევალა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული უძრავ ნივთზე უფლების დამდგენი დოკუმენტის წარდგენა, რაც გასაჩივრებული იქნა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ხოლო იმ მოტივით, რომ დ. ძ-შვილის მიერ ვერ იქნა წარდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 08.06.09წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელეს საჩივრის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი.

ფოთის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.08.09წ. გადაწყვეტილებით დ. ძ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 13.12.06წ. №800 ბრძანების მე-10 მუხლის თანახმად, რეგისტრაცია წარმოებს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის, საკადასტრო მონაცემების და სხვა დოკუმენტაციის საფუძველზე. ამავე ბრძანების მეორე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი არის ნორმატიული ან/და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სასამართლო (საარბიტრაჟო) აქტი, რომელიც წარმოშობს უძრავ ნივთზე უფლების, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილებების და მათი შეწყვეტის რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოსარჩელემ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურს ვერ წარუდგინა მითითებული მუხლით გათვალისწინებული უფლების დამადასტურებელი რომელიმე დოკუმენტი, მოპასუხეების მიერ მას სწორად ეთქვა უარი უძრავი ქონების საჯარო რეესტრის რეგისტრაციაზე და არ არსებობს გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობის საფუძველი. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტები-სახლის გეგმა-ნახაზი, მონემების ჩვენებები და 29.11.91წ. გაცემული ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს ცნობა, არ წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას იმისათვის, რომ აღიარებულ იქნეს სადავო მიწის ნაკვეთზე დ. ძ-შვილის საკუთრების უფლება, რამდენადაც მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტე-

ბით არ დასტურდება ის ფაქტი, რომ ქ. ფოთში, ... ქ. №81-ში მდებარე უძრავი ქონება წარმოადგენდა ამ უკანასკნელის საკუთრებას.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ძ-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებულ გადაწყვეტილების გაუქმებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.11.09. განჩინებით დ. ძ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ფოთის საქალაქო სასამართლოს 06.08.09 წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი საფუძვლები და აღნიშნა, რომ მოსარჩელემ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფოთის სარეგისტრაციო სამსახურს ვერ წარუდგინა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 13.12.06წ. №800 ბრძანებით დამტკიცებული „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის მეორე მუხლის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რის გამოც მას სწორად ეთქვა უარი საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე. სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელის მიერ სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენილი დოკუმენტები – სახლის გეგმა-ნახაზი, მონემების ჩვენებები და 29.11.91 წ. გაცემული ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს ცნობა, არ წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას იმისათვის, რომ აღიარებულ იქნას სადავო მინის ნაკვეთზე დ. ძ-შვილის საკუთრების უფლება, რამდენადაც მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდება ის ფაქტი, რომ ქ. ფოთში, ... ქ. №81 მდებარე უძრავი ქონება წარმოადგენდა ამ უკანასკნელის საკუთრებას. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო გადაწყვეტილებები მიღებულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ შეიცავს ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძვლებს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.11.09წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. ძ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სააპელაციო სასამართლომ მართალია გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად გაიგო ამ კანონის აზრი და შინაარსი, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 13.12.06წ. №800 ბრძანებით დამტკიცებული „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის მეორე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს სხვა სამართლებრივი აქტი, ასეთ დოკუმენტს კი წარმოადგენს ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს მიერ გაცემული ცნობა, რომლის საფუძველზე შეიძლება რეგისტრაციაში გატარდეს უძრავი ქონება, ვინაიდან დამწვარია ტექნიკური არქივი. კასატორი აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ფაქტობრივად უარი ეთქვა საკუთრების რეგისტრაციაზე, რაც კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა.

სსსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ძ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ დ. ძ-შვილს ქ. ფოთში, ... ქ. №81-ში მდებარე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ უარი ეთქვა იმ საფუძველით, რომ მან ვერ წარუდგინა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული უძრავ ნივთზე უფლების დამდგენი დოკუმენტი. ამავ საფუძველით არ მოხდა დ. ძ-შვილის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება ქვედა ინსტანციის სასამართლოებში სადავო საქმის განხილვისას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საკითხი არასრულყოფილად გამოკვლეული. ფორმალური მიდგომის შედეგად სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების ტექსტში აპელანტის – დ. ძ-შვილის ნაცვლად რამოდენიმეჯერ სხვა პიროვნებაა დასახელებული (მ. ფ-კი). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21.1 მუხლის თანახმად, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია, დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. ხსენებული ნორმა წარმოადგენს ერთი მხრივ საკუთრების, როგორც ინსტიტუტის, ხოლო მეორეს მხრივ პირის უფლების გარანტიას. საკუთრების უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დაუშვებლად თვლის მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მოსარჩელისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, კერძოდ ქ. ფოთში ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს შენობაში მომხდარი ხანძრის შედეგად დოკუმენტაციის განადგურების გამო ვერ ხერხდება დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა. აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო თვლის, რომ უნდა მოხდეს ყველა არსებული და საქმეში დაცული მტკიცებულებების სრულყოფილი ურთიერთშეჯერება და შეფასება, ზემოაღნიშნული ქონებისადმი მოსარჩელის სამართლებრივი კავშირის დადგენა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების შედეგად იურიდიული ფაქტის დადგენის გზით მსგავსი უფლებების განსაზღვრა შეიზღუდა, ამ მუხლში იურიდიული ფაქტების მოცემული ჩამონათვალი ამომწურავია, უდავო წარმოების წესით სხვა ფაქტებს სასა-

მართლო ვერ დაადგენს, რის გამოც მოსარჩელეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა მის ხელთ არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, საქმის არსებითი განხილვის შედეგად დაადასტუროს მოთხოვნის საფუძვლიანობა. სამოქალაქო კოდექსის 105.2 მუხლის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ პროცესუალური კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებების სრული გამოყენებით უნდა გაირკვეს დ. ძ-შვილის სამართლებრივი კავშირი ქ. ფოთში, ... ქ. №81-ში მდებარე უძრავ ნივთთან, უძრავი ქონების მიმართ საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერი, მესამე პირების პრეტენზიები და სხვ.. სათანადო შეფასება უნდა მიეცეს მოსარჩელე – დ. ძ-შვილის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კერძოდ ქ. ფოთის ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს 29.11.1991წ. ცნობას, რომლითაც დასტურდება, რომ მოქ. დ. ძ-შვილს, მცხოვრებს ქ. ფოთში, ... ქ. №81-ში გააჩნია საკუთარი საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, სათანადო შეფასება მიეცეს საქმეზე მოწმის სახით დაკითხული თ. კ-ძისა და ვ. ტ-ძის ჩვენებებს, მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვით ნახაზს, დადგინდეს მისი შემდგენელი და გაცემის საფუძველი, უძრავ ქონებაზე გადასახადების გადახდის, დავალიანების არსებობის, სახლის ექსპლუატაციაში მიღების ან თვითნებურად აშენების მტკიცებულებები, საქმეზე უნდა დადგინდეს აგრეთვე უძრავი ქონების საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოსარჩელის მიერ მიღების ან აღდგენის შეუძლებლობის ფაქტი. შეფასება უნდა მიეცეს აგრეთვე ფოთის სარეგისტრაციო სამსახურის კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და ამ გარემოებებზე დაყრდნობით სადავო საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს რა საქმის გარემოებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას, იმავდროულად აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნება საქმეზე შეგროვებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად კასატორის უძრავი ქონებისადმი უფლებრივი კავშირის დადგენის შემთხვევაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებული გარემოებების დადგენა-გამოკვლევის მიზნით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე და

#### და ა დ გ ი ნ ა:

1. დ. ძ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.11.09წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სახელმწიფო ბაჟის მხარეთა შორის განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევა**

#### ბ ა ნ წ ი ნ ე ბ ა

№ბს-90-89(კ-10)

7 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 7 ნოემბერს ჯ. ლ-ავამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 აგვისტოს №1035 განკარგულების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა ჯ. ლ-ავას მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის შთაბეჭდილებების ამსახველი მრავალტომეულის გამოცემისათვის საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის 30 000 ლარის გამოყოფა. საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 27 ოქტომბრის №1370 განკარგულების საფუძველზე საქართველოს ტექნიკურ უნი-

ვერსიტეტს ნება დაერთო გამოყოფილი თანხა გადაერიცხა საქართველოს პრეზიდენტის გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ოფიციალურ გამოცემათა სამსახურისათვის – საქართველოს პრეზიდენტის ბიბლიოთეკისათვის, რომელსაც, თავის მხრივ, თანხა უნდა გადაერიცხა ... ფონდისათვის.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2003 წლის 25 დეკემბრის №... წერილის შესაბამისად, მსოფლიო მოგზაურ ჯ. ლ-ავას შთაბეჭდილებების წიგნის გამოსაცემად ვალდებულება და დამონება განხორციელდა ბიუჯეტიდან 30 000 ლარის ოდენობით, რაც არ იყო დაფინანსებული, საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზაციაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო. საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის მიწერილ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 31 იანვრის №... წერილის თანახმად კი, თანხის გამოყოფა უნდა განხორციელებულიყო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსათვის „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასიგნებებიდან. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის 2007 წლის 23 იანვრის წერილის თანახმად, წიგნის გამოცემისათვის 30 000 ლარის გამოყოფა შეუძლებელი იყო საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისათვის უკვე დამტკიცებული 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან. აღნიშნული ღონისძიება შეიძლება განხორციელებულიყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეზერვებიდან მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის დავალების თანახმად.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 აგვისტოს №1035 განკარგულების გამოცემის შემდეგ, მოსარჩელე წლების განმავლობაში მიმართავდა სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებს, თუმცა უშედეგოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის შთაბეჭდილებების ამსახველი მრავალტომეულის (პირველი ორი წიგნის) გამოცემისათვის 30 000 ლარის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 აპრილის განჩინებით საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად ჩაბმულ იქნა საქართველოს პრეზიდენტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 აპრილის განჩინებით საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად „...“ ჩაება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 16 აპრილის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შუამდგომლობა არასათანადო მოსარჩელის სათანადო მოსარჩელით შეცვლის თაობაზე და მოცემულ საქმეში სათანადო მოსარჩელედ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ჩაება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასარგებლოდ დაეკისრა 30 000 ლარი ჯ. ლ-ავას მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის შთაბეჭდილებების ამსახველი მრავალტომეულის (პირველი ორი წიგნის) გამოცემის მიზნით „...“ გადასარიცხად.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 აგვისტოს №1035 და 2003 წლის 27 ოქტომბრის №1370 განკარგულებები კანონიერ ძალაში იყო, ისინი სადავოდ არავის გაუხდია, არ გაუუქმებია. შესაბამისად, მათი მოთხოვნები სავალდებულო იყო შესასრულებლად და აღნიშნულის დამაბრკოლებელი გარემოება ვერ იქნებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მითითება ამ განკარგულებების აღსრულების სიძნელეებზე.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ზემოხსენებული განკარგულებები თავისი შინაარსით წარმოადგენდა აღმჭურველ ადმინისტრაციულ აქტებს, რომელთა მიმართაც არსებობდა დანტერესებული მხარის კანონიერი ნდობა. კანონმდებლის მიერ აღიარებული კანონიერი ნდობის პრინციპი კი კონსტიტუციური რანგის იყო და გამომდინარეობდა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში როგორც მმართველობის კანონიერების, ისე ადმინისტრაციული აქტის კანონიერი ნდობის პრინციპიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია სარჩელზე უარის თქმის მოტივად აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის აღსრულების სიძნელეებზე მითითება.

საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რადგან საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, სარჩელის აღძვრამდე უშუალოდ არ მიმართა მათ ქმედების განხორციელების მოთხოვნით, სარჩელი დაუშვებელი იყო.

საქალაქო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ჯ. ლ-ავა, როგორც „...“ დამფუძნებელი და პრეზიდენტი, წარმოადგენდა ფონდს იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, ხოლო „...“ მოცემულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად იყო ჩაბმული.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად მონაწილეობდა მოსარჩელის უფლებებითა და მოვალეობებით აღჭურვილი „...“, ამ ფონდის ერთადერთ წარმომადგენელს იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში – ჯ. ლ-ავას არაერთხელ მიუმართავს, როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის, ისე სხვადასხვა ადმინისტრაციული ორ-



განოსათვის საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 აგვისტოს №1035 და 2003 წლის 27 ოქტომბრის №1370 განკარგულებების აღსრულების მოთხოვნით. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ იმ ფორმალური მოტივით, რომ უშუალოდ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს არ მიუმართავს მოპასუხისადმი კონკრეტული ქმედების განხორციელების მოთხოვნით, მოცემული სარჩელის დაუშვებლად ცნობა არამართებული იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით აღნიშნა, რომ საქმის მასალების თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 აგვისტოს №1035 განკარგულებით ჯ. ლ-ავას მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის შთაბეჭდილებების ამსახველი მრავალტომეულის (პირველი ორი წიგნის) გამოცემისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა „საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის გამოეყო 30 000 ლარი. საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 27 ოქტომბრის №1370 განკარგულებით კი, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ნება დაერთო 2003 წლის 19 აგვისტოს №1035 განკარგულების საფუძველზე გამოეყოფილი 30 000 ლარი გადაერიცხა საქართველოს პრეზიდენტის გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ოფიციალურ გამოცემათა სამსახურისათვის – საქართველოს პრეზიდენტის ბიბლიოთეკისათვის ... ფონდში გადასარიცხად. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის აღნიშნული განკარგულებები ძალაში იყო, ისინი სადავოდ არავის გაუხდია, არ გაუუქმებია და შესაბამისად, მათი მოთხოვნები სავალდებულო იყო შესასრულებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის არ მიუმართავს ქმედების განხორციელების მოთხოვნით. საქმეში წარმოდგენილი მასალებით დადასტურებულია, რომ სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს არ გამოუყენებია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა. შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიაჩნია, რომ სასარჩელო განცხადება არ აკმაყოფილებდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით დადგენილ სარჩელის დასაშვებობის მოთხოვნებს.

კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლის თანახმად, სასამართლო განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსის 22-ე-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ სარჩელი დაუშვებელია, რაც სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენდა არასათანადო მოპასუხეს, როგორც საქმეში წარმოდგენილი 2005 წლის 31 იანვრის №... წერილიდან ირკვეოდა, აღნიშნული თანხის გამოყოფა უნდა განხორციელებულიყო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის განმარტებით, ვინაიდან, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, დარღვეულია სამართლის ნორმები და გადაწყვეტილება კანონის დარღვევით არის გამოტანილი, შესაბამისად, სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით დადგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 25 იანვრის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად,

მისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 მარტის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მისი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 აგვისტოს №1035 განკარგულებით ჯ. ლ-ავას მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის შთაბეჭდილებების ამსახველი მრავალტომეულის (პირველი ორი ნიგნის) გამოცემისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა „საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის გამოეყო 30 000 ლარი. საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 27 ოქტომბრის №1370 განკარგულებით კი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ნება დაერთო საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 აგვისტოს №1035 განკარგულების საფუძველზე გამოეყოფილი 30 000 ლარი გადაერიცხა საქართველოს პრეზიდენტის გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ოფიციალურ გამოცემათა სამსახურისათვის – საქართველოს პრეზიდენტის ბიბლიოთეკისათვის ... ფონდში გადასარიცხად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოცემულ საქმეში ჯ. ლ-ავა წარმოადგენდა არასათანადო მოსარჩელეს, რომ არ გამოერიცხა და არ დაასაბუთა, ხომ არ იყო ჯ. ლ-ავას მიერ სასამართლოში აღძრული სარჩელი საკუთარი უფლებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესის დასაცავად მიმართული საშუალება. მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 აგვისტოს №1035 განკარგულებაში პირდაპირ იყო მითითებული, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს თანხა მიზნობრივად გამოეყო მსოფლიო მოგზაურის ჯ. ლ-ავას საჭიროებისათვის. სასამართლოებმა არ იმსჯელეს ვინ წარმოადგენდა მოცემულ მოთხოვნაზე სასარჩელო უფლებამოსილების მქონე პირს, საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 აგვისტოს №1035 და 2003 წლის 27 ოქტომბრის №1370 განკარგულებების შეუსრულებლობით ვისი კანონიერი უფლება და ინტერესი შეილახა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, ვის ჰქონდა აღნიშნული სარჩელის აღძვრის უფლება. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, როგორც ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული წარმოება განახორციელა თავად ჯ. ლ-ავას მიმართვის საფუძველზე და მას იმ საფუძველით, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო სათანადო მხარე არ უთქვამს უარი მისი განცხადების მიღებასა და პასუხის გაცემაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა უფლებით და მას ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მესამე პირის სასარგებლოდ რაიმე, გარდა იმ შემთხვევისა თუ იგი სასარჩელო მოთხოვნით მიმართავს სასამართლოს, ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილებით დაუშვებელია მოპასუხისათვის მესამე პირის სასარგებლოდ რაიმე ვალდებულების დაკისრება. ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად „...“ მონაწილეობა საქმეში ვერ იქნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარჩელის დასაშვებად ცნობის საკმარისი საფუძველი და აღნიშნული ვერ ჩაითვლება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასარჩელო უფლების სამართლებრივ საფუძველად.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლოებში, ერთი მხრივ, სათანადოდ მოსარჩელედ მიიჩნევენ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ჯ. ლ-ავას ნაცვლად, ხოლო, მეორე მხრივ, მიუთითებენ: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს რომ არ მიუმართავს მოპასუხისათვის კონკრეტული ქმედების განხორციელების მოთხოვნით, ეს მხოლოდ ფორმალური მომენტია, ვინაიდან ჯ. ლ-ავას არაერთხელ მიუმართავს, როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ისე სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოსათვის აღნიშნული მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დასაშვებია, თუ ადმი-

ნისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავება პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებით ან მოქმედებისაგან თავის შეკავებით მიყენებული ზიანი უნდა იყოს პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური). ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხის გადახდაზე უარი არ განუცხადებია უშუალოდ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის, ხოლო ის ფაქტი, რომ „...“ წარმომადგენელმა, ჯ. ლ-ავამ არაერთხელ მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 აგვისტოს №1035 და 2003 წლის 27 ოქტომბრის №1370 განკარგულებების აღსრულების მოთხოვნით ვერ ჩაითვლება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარჩელის დასაშვებად ცნობის სამართლებრივ საფუძვლად, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში დაცული უნდა ყოფილიყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის მოთხოვნა და ადმინისტრაციული ორგანოს უარი ქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ანუ მოსარჩელეს ქმედების განხორციელების თაობაზე უარი უნდა ჰქონოდა მიღებული მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსაგან.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოებმა სრულყოფილად არ იმსჯელეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარჩელის დასაშვებობაზე და დასაბუთებულად ვერ გამოიციხეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მსჯელობა, იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარჩელი არ აკმაყოფილებდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებულ სარჩელის დასაშვებობის მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოქმედებს როგორც შეჯიბრებითობის, ისე სასამართლოს მიერ საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის პრინციპი, რაც გულისხმობს აქტიურ სასამართლოს, რომელიც ყოველმხრივ იკვლევს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად, უფრო მეტიც, საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილი).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმე განხილულია ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. სასამართლოებმა არ გამოიკვლიეს და არ დაადგინეს, ხომ არ იქნა ჯ. ლ-ავას მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის შთაბეჭდილებების ამსახველი მრავალტომეულის (პირველი ორი ნიგნის) გამოცემისათვის საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 აგვისტოს №1035 განკარგულებით გათვალისწინებული თანხა საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან უკვე გამოყოფილი, თუმცა იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა ხსენებული თანხის დროული განკარგვა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უკან წაიღო აღნიშნული თანხა, რაზეც უთითებდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი საქალაქო სასამართლოს სხდომაზე. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ზემოაღნიშნული საკითხის გათვალისწინებით სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს მოცემული ფაქტობრივი გარემოება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ იმ პირობებში, როდესაც დავის საგანს წარმოადგენდა არა საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 აგვისტოს №1035 და 2003 წლის 27 ოქტომბრის №1370 განკარგულებების შეუსრულებლობის გამო ზიანის ანაზღაურება, არამედ ხსენებული აქტების აღსრულება, კერძოდ, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის შთაბეჭდილებების ამსახველი მრავალტომეულის (პირველი ორი ნიგნის) გამოცემისათვის 30 000 ლარის გადახდა ჯ. ლ-ავას სასარგებლოდ, სასამართლოებმა არ იმსჯელეს, რამდენად შესაძლებელი იქნებოდა ხსენებული სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში სარჩელის დაკმაყოფილება ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენის შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო იმ გარემოებაზეც მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა სასარჩელო მოთხოვნის მატერიალურ მხარეზე და მხოლოდ იმ საფუძვლით შემოიფარგლა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 აგვისტოს №1035 და 2003 წლის 27 ოქტომბრის განკარგულებები კანონიერ ძალაში იყო და ისინი არავის გაუუქმებია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიციხა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არგუმენტი იმის თაობაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 აგვისტოს №1035 განკარგულების აღსრულება ვერ განხორციელდებოდა, რადგან აღნიშნული თანხები გათვალისწინებული იყო კონკრეტული წლის ბიუჯეტით. ამჟამად კი, თანხების გამოყოფა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის ახალი აქტის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 აგვისტოს №1035 განკარგულებით ჯ. ლ-ავას მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის შთაბეჭდილებების ამსახველი მრავალტომეულის (პირველი ორი წიგნის) გამოსაცემად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის 30 000 ლარის გამოყოფა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უნდა განეხორციელებინა „საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან. ამდენად, საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 აგვისტოს №1035 განკარგულება ითვალისწინებდა კონკრეტულ დათქმას, რომ ხსენებული თანხის გამოყოფა საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან უნდა მომხდარიყო „საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა, ხომ არ იყო საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 აგვისტოს №1035 განკარგულება დროით შემოსაზღვრული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გაზიარებული საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული, არც პროცესუალური და არც მატერიალური თვალსაზრისით. ამასთან, სრულყოფილად არ არის გამოკვლეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად უნდა იმსჯელოს ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით და საქმეზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, ამასთან, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და სრულყოფილად დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რისთვისაც სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

#### დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხი გადაწყვეტილების მიღების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევა

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
 შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
 ნ. სხირტლაძე,  
 ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და შე-  
 მოწმების ჩატარების დავალდებულება.

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 18 იანვარს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ი/მ „ა. ვ-ძეს“ მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ქუთაისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მი-  
 მართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ქუთაისის რეგიონული ცენ-  
 ტრის 2009 წლის 11 ნოემბრის ბრძანების (საგადასახადო ინსპექციის), საქართველოს ფინანსთა სამინისტ-  
 როს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონული ცენტრის 2009 წლის 16 ნოემბრის №... საგადასა-  
 ხადო მოთხოვნისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 6 იან-  
 ვრის №... ბრძანების ბათილად ცნობას; მოსარჩელე ასევე ითხოვდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს  
 შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციას) დავალდებულე-  
 ბას შესყიდვის აქტებისა და ხარჯთაღრიცხვის გათვალისწინებით მოეხდინა რევიზიის ჩატარება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლო 2010 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით ა. ვ-ძის სარჩელი არ დაკ-  
 მაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ 2006 წლის 28 მაისის, 28 ივლისის და 5  
 სექტემბრის შესრულები აქტებით, ი/მ „ა. ვ-ძეს“ ბაგა-ბალ „...“ შესრულებული ჰქონდა სხვადასხვა სახის  
 სარემონტო სამუშაოები, ქუთაისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) უფროსის მოადგი-  
 ლის 2009 წლის 28 ოქტომბრის №... ბრძანებით, გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს შემოწმების  
 განყოფილებას დაევალა 2006 წელს მიღებული შემოსავლებიდან ბიუჯეტის კუთვნილი საშემოსავლო და  
 სოციალური გადასახადების დადგენის მიზნით ი/მ „ა. ვ-ძესთან“ კამერალური შემოწმების ჩატარება.

საქალაქო სასამართლომ მხარეთა ახსნა-განმარტებით დადგინდა მიიჩნია, რომ ი/მ „ა. ვ-ძის“ მი-  
 ერ როგორც კამერალური შემოწმებისას, ისე საგადასახადო სისტემაში დავის მიმდინარეობის პერიოდში,  
 2006-2007 წლებში მის მიერ განუხლ საქმიანობაზე საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ხარჯე-  
 ბის დამადასტურებელი დოკუმენტები წარდგენილი არ ყოფილა, რის გამოც სასამართლომ კანონიერად  
 მიიჩნია ქუთაისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) უფროსის მოადგილის 2009 წლის 11  
 ნოემბრის №... ბრძანებით, ი/მ „ა. ვ-ძისათვის“ შემოწმებასთან დაკავშირებით ბიუჯეტში გადასახდელად  
 22726,17 ლარის დარიცხვა, ხოლო ქუთაისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2009 წლის  
 16 ნოემბრის №... საგადასახადო მოთხოვნით, ა. ვ-ძისათვის საურავისა და ჯარიმის გათვალისწინებით გა-  
 დასახდელად საშემოსავლო გადასახადში – 11884,07 ლარის, დაზღვევის გადასახადში – 25150,1 ლარის,  
 მოგების გადასახადში – 2,41 ლარისა და მიწის (არასასოფლო) გადასახადში 12,33 ლარის დარიცხვა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 51-ე მუხლის 1-  
 ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე, ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 112-ე მუხლზე, რომლის თა-  
 ნახმად, კამერალური საგადასახადო შემოწმებისას საგადასახადო ორგანო გადასახადის გადამხდელის  
 საქმიანობის ადგილზე გაუსვლელად, ადგენდა გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილი ფინანსური  
 ანგარიშგების, საგადასახადო დეკლარაციების, ცნობების, დასკვნების, გაანგარიშებების, საგადასახადო  
 ორგანოში არსებული სხვა დოკუმენტებისა და მონაცემების, აგრეთვე გადასახადის გადამხდელისაგან მი-  
 ლებული ახსნა-განმარტებისა და სააღრიცხვო დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გადასახადის გა-  
 დამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების შესაბამისობას ამ კოდექსით გათვალის-  
 წინებულ მოთხოვნებთან. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა ასევე ამავე კოდექსის 93-ე მუხლის 1-ლი  
 ნაწილი, რომლითაც გადასახადის გადამხდელი/ საგადასახადო აგენტი ან სხვა ვალდებული პირი ვალდე-  
 ბული იყო ეწარმოებინა სააღრიცხვო დოკუმენტაცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იმ  
 ოპერაციებზე, რომლებიც წარმოშობდა; ა) აღნიშნული პირის საგადასახადო ვალდებულებას; ბ) აღნიშნუ-  
 ლი პირის მიერ გადასახადის დაკავების ვალდებულებას; გ) აღნიშნული პირის მიერ საგადასახადო დაბეგ-  
 ვრასთან დაკავშირებით მონაცემების წარდგენის ვალდებულებას. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ  
 ასეთივე შინაარსის იყო დასახელებული კოდექსის 199-ე მუხლი, რომლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გადა-  
 სახადის გადამხდელი ვალდებული იყო, სრულად აღერიცხა მის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა  
 ოპერაცია, რათა გარანტირებული ყოფილიყო კონტროლი მათ დანყებაზე, მიმდინარეობასა და დასრულე-  
 ბაზე. ამასთან, სასამართლოს მოსაზრებით, აღრიცხვის პირველად დოკუმენტებში სრულიად გარკვევით  
 უნდა ყოფილიყო ასახული სამეურნეო ოპერაციის შენაარსი, საგანი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მო-  
 ნაწილე მხარეების დასახელება. გარდა ამისა, სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ეკონომიკური საქმიან-  
 ნობისათვის ქვეყნის შიგნით საქონლის მოწოდების შემთვევაში (გარდა სპეციალური დღგ-ს ანგარიშ-შექ-  
 ტურების მიხედვით განხორციელებული მიწოდებისა, რომლებიც მოიცავდა ზედნადებით გათვალისწინე-  
 ბულ რეკვიზიტებს) სავალდებულო იყო სასაქონლო ზედნადები გამონერილიყო საქართველოს ფინანსთა

მინისტრის მიერ დადგენილი ფორმით და წესით, რომლის გარეშე აკრძალული იყო საქონლის ტრანსპორტირება, შენახვა და რეალიზაცია.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებით, საგადასახადო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირს, საგადასახადო ორგანოს უფროსს/მოადგილის წერილობითი ბრძანების საფუძველზე, უფლება ჰქონდა მოეთხოვა გადასახადის გადამხდელისაგან/საგადასახადო აგენტისაგან ან მისი წარმომადგენლისაგან სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარდგენა, რომელშიც კონკრეტულად უნდა ყოფილიყო მითითებული წარსადგენი სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის ჩამონათვალი და მათი წარდგენის გონივრული ვადა (ასლების დამონმებას ახორციელებს გადასახადის გადამხდელი), ხოლო ზემოაღნიშნულ ნორმათა ურთიერთშეჯერების საფუძველზე სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსი მეწარმეს ავალდებულებდა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ოპერაციის ამსახველი დოკუმენტების შედგენას, რათა საგადასახადო ორგანოს კანონით დადგენილ ვადაში შესაძლებლობა ჰქონოდა განეხორციელებინა კონტროლი მის დანყებაზე, მიმდინარეობასა და დასრულებაზე. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ საგადასახადო კოდექსი საგადასახადო ორგანოს უფლებას აძლევდა გადასახადის გადამხდელის ან სხვა ვალდებული პირის მიერ სააღრიცხვო დოკუმენტაციის ან/და დაბეგვრასთან დაკავშირებული ინფორმაციის არასრულად წარდგენის შემთხვევაში მოეხდინა არსებული დოკუმენტების გათვალისწინებით მისი შემონმება და მხოლოდ დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯის გამოკლებით განესაზღვრა სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არსებული მისი ფინანსური ვალდებულებები, რაც სასამართლოს მოსაზრებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის მოცემულ მოთხოვნათა შესაბამისად განხორციელდა.

მითითებული გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი/მ „ა. ვ-ძემ“.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმებასა და საქმეზე ახალი გადანყვეტილების მიღებით მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ივლისის განჩინებით ი/მ „ა. ვ-ძის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის გადანყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული ის გარემოება, რომ ი/მ „ა. ვ-ძის“ მიერ როგორც კამერალური შემონმებისას, ისე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების პროცესში საგადასახადო ორგანოსათვის არ იქნა წარდგენილი სამეწარმეო საქმიანობის ამსახველი სრულყოფილი დოკუმენტები, მათ შორის განუული ხარჯის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რის მოტივად ინდ. მეწარმის მხრიდან საგადასახადო კოდექსის არცოდნა და ბულალტერიის არარსებობა მიეთითა, რასთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოს შემონმება შემოიფარგლა ახსნა-განმარტებით არსებული დოკუმენტებით, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრა მისი ფინანსური ვალდებულებები, რაც სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სრულ შესაბამისობაში იყო საგადასახადო ნორმების მოთხოვნებთან.

ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ ი/მ „ა. ვ-ძის“ მიერ გარკვეული საფინანსო დოკუმენტაციის სასამართლოში წარდგენა ვერ გახდებოდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილობის საფუძველი, რადგან თავად მოსარჩელის ბრალეულობით არ მიეცა საგადასახადო ორგანოს საშუალება კამერალური შემონმებისას და ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისას ემსჯელა სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტების მტკიცებულებად მიჩნევის შესახებ და ამ მიმართებით განეხორციელებინა საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული მოქმედებები, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო აქტები გამოცემულია მისი გამოცემის დროისათვის არსებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით.

წარმოდგენილი დოკუმენტების გათვალისწინებით მოპასუხისათვის რევიზიის ჩატარების დავალდებულების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ მეწარმე სუბიექტის შემონმების ჩატარება საგადასახადო ორგანოს დისკრეციას წარმოადგენდა. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელეს უფლება ჰქონდა, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ახლად აღმოჩენილი ან გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე მოეთხოვა დავის განხილვა, რაც მისი მხრიდან განხორციელებული არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ გასაჩივრებული აქტები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის მოთხოვნების დაცვით და უფლებამოსილების საზღვრების ფარგლებში, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები არ ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული, ისე საგადასახადო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, ისინი მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის საფუძველზე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების არსებობით დარღვევის გარეშე.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი/მ „ა. ვ-ძემ“ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორმა საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა სააპელაციო საჩივარში მითითებულ საგადასახადო კოდექსის 2006 წლის რედაქციით მოქმედ საგადასახადო კოდექსის შესაბამის მუხლებზე, რომლითაც მოსარჩელეს არ ეკუთვნის საშემოსავლო, სოციალური და მინის გადასახადის გადახდა. კასატორის მოსაზრებით, ამით სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები. კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ გვერდი აუარა

საქმეში არსებულ დოკუმენტებს და აუდიტის დასკვნას მისი 2 დანართით, რითაც დაარღვია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების შესაძლებლობაზე მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ი/მ „ა. ვ-ძის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის მიხედვითაც, სააპელაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამონმებს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ საქმეს განიხილავს, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ისე მათი სამართლებრივი შეფასების კუთხით. სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს დაადგინოს ახალი ფაქტები, ხოლო საქმის მონაწილე პირებს უფლება აქვთ პირველ ინსტანციაში უკვე განხილულთან ერთად სააპელაციო სასამართლოში წარადგინონ ახალი მტკიცებულებები.

როგორც საქმეში დაცული მასალებით ირკვევა, ი/მ „ა. ვ-ძესთან“ 2009 წლის 28 ოქტომბრიდან 6 ნოემბრის ჩათვლით განხორციელდა კამერალური საგადასახადო შემონმება, რომელიც მოიცავდა 2006 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 1 იანვრამდე პერიოდს. შემონმების შედეგად 2009 წლის 6 ნოემბერს მიღებულ იქნა შემონმების აქტი, მის საფუძველზე გამოიცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ქუთაისის რეგიონული ცენტრის 2009 წლის 11 ნოემბრის ბრძანება (საგადასახადო ინსპექციის) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონული ცენტრის 2009 წლის 16 ნოემბრის №... საგადასახადო მოთხოვნა, რომლითაც ი/მ „ა. ვ-ძის“ საურავისა და ჯარიმის გათვალისწინებით გადასახდელად დაერიცხა საშემოსავლო გადასახადში – 11884, 07 ლარი, დაზღვევის გადასახადში – 25150, 12 ლარი, მოგების გადასახადში – 2,41 ლარი და მიწის (არასასოფლო) გადასახადში – 12, 33 ლარი. საგადასახადო შემონმების აქტით გადასახადების დარიცხვა განხორციელდა ი/მ „ა. ვ-ძის“ მიერ 2006 წელს მიღებული შემოსავლის – მის მიერ ბაგა-ბალ „...“ შესრულებული სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოებისათვის გამოყოფილი 65656 ლარიდან, მოცემულ აქტში აღინიშნა, რომ გადამხდელმა ვერ წარადგინა მის მიერ 2006 წელში განეული ხარჯების პირველადი დოკუმენტები, რის გამოც საგადასახადო ორგანომ საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით იხელმძღვანელა საგადასახადო კოდექსის 104-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერად მიჩნევის მოტივად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ი/მ „ა. ვ-ძემ“ კამერალური შემონმებისას 2006-2007 წლებში მის მიერ განეულ საქმიანობაზე საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები არ წარადგინა, შესაბამისად არ მოახდინა ამ გარემოებებთან დაკავშირებით მოსარჩელის მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, რამაც განაპირობა საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სასამართლოების მიერ მითითებული მოტივი არ ქმნის იმის საფუძველს, რომ სასამართლომ უმიზეზოდ უარი თქვას მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვაზე, ვინაიდან აღნიშნული მიდგომა ადმინისტრაციული ორგანოების მოქმედებებსა და საქმიანობაზე სასამართლო კონტროლს სძენს ფორმალურ ხასიათს და წინააღმდეგობაში მოდის ადმინისტრაციული პროცესის პრინციპებთან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლში რეგლამენტირებული შეჯიბრებითობის პრინციპს უპირისპირდება ამავე მუხლში მოცემული საქმის გარემოებების სასამართლოს მიერ გამოკვლევის პრინციპი, რაც გულისხმობს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში აქტიურ სასამართლოს, რომელიც მასზე დაკისრებული ვალდებულებებიდან გამომდინარე თავისი ინიციატივით იკვლევს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას სასამართლოს აქტიურ როლზე მიუთითებს შემდეგი გარემოებაც; ადმინისტრაციულმა სასამართლომ არ შეიძლება დაუშვას, რომ მოსარჩელის მიერ საკანონმდებლო ნორმების არცოდნამ გამოიწვიოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, არამედ სასამართლო ვალდებულია, იმსჯელოს იმ სამართლებრივ საკითხებზე, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების მიღებისათვის და არ განხილულა არც ადმინისტრაციული წარმოებისას და არც – სამართლებრივი დავის მიმდინარეობის პროცესში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია ი/მ „ა. ვ-ძის“ მიერ სასამართლოში წარდგენილი ახალი მტკიცებულებები, რა დროსაც სასამართლომ არ დაასაბუთა თუ რაში მდგომარეობდა მათი ადმინისტრაციულ ორგანოში წარუდგენლობის არასაპატიობა, მით

უფრო, როდესაც მოსარჩელე მიუთითებს, რომ მის მიერ ხარჯების დამადასტურებელი საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტები წარდგენილ იქნა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შემოსავლების სამსახურში, თუმცა ადმინისტრაციულმა ორგანომ დაუსაბუთებლად არ მიიღო და შესაბამისად უარი თქვა მათ გამოკვლევაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმე განხილულია ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად უნდა იმსჯელოს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების დაშვებაზე და აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სხენებული მტკიცებულებების გათვალისწინებით დაადგინოს გამოვლენილ იქნა თუ არა შესამონმშებელ პერიოდზე კამერალური შემოწმებისას დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის, რეალიზაციისა თუ სხვა გზით გამოყენების მხრივ და აღნიშნული საკითხების გარკვევის გზით იმსჯელოს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საკასაციო სასამართლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებსა და მე-3 ნაწილზე, რომელთა თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევით არის გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. ამასთან, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის საფუძველები – საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევის შედეგად საქმეზე მიღებული არასწორი გადაწყვეტილება, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და საქმეზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ი/მ „ა. ვ-ძის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### და ა დ გ ი ნ ა:

1. ი/მ „ა. ვ-ძის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 27 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### მტკიცებულებათა დადგენისა და შეფასების კრიტერიუმები

#### ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბს-1462-1424(2კ-10) 1 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:



ი/მ „თ. ა-ავამ“ სარჩელი აღძრა ბათუმის რაიონულ სასამართლოში მოპასუხის – შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონული ცენტრის მიმართ, მესამე პირების – შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს მონაწილეობით და მოითხოვა ბათუმის რეგიონული ცენტრის 2009 წლის 14 აპრილის №... საგადასახადო მოთხოვნის, 2009 წლის 14 აპრილის №2028 ბრძანების, შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 23 ივნისის №... ბრძანების ბათილად ცნობა შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელის მითითებით, ი/მ „თ. ა-ავამ“ სამენარმეო საქმიანობა შეაჩერა 2004 წლიდან. აღნიშნული სანარმო წარმოადგენდა ... საამქროს, რომელიც განთავსებული იყო მოსარჩელის კუთვნილ დამხმარე ფართში და იყენებდა საოჯახო და სხვადასხვა ნივთების შესანახად. მათ შორის იყო ძველი, გამოსაყენებლად უვარგისი ხის ე.წ. ნაკიდურები, რაც ექსპერტიზის დასკვნით მიჩნეულ იქნა ვარგის და აღურიცხავ საქონლად.

მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია ექსპერტიზის დასკვნა და საგადასახადო მოთხოვნა და საჩივრით მიმართა საგადასახადო ორგანოებს, მაგრამ უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ი/მ „თ. ა-ავას“ სარჩელი არ ცნო მოპასუხე ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

მოპასუხის მითითებით, ი/მ „თ. ა-ავას“ ... დამამუშავებელ საამქროში ბათუმის რეგიონული ცენტრის 2009 წლის 5 მარტის №... ბრძანების საფუძველზე 2009 წლის 5 მარტიდან 24 მარტის ჩათვლით ჩატარდა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც გამოვლინდა 3130,6 ლარის აღურიცხავი საქონელი დღ-ს გარეშე.

საგადასახადო კოდექსის 143.2 მუხლის შესაბამისად, აღნიშნული ქმედება მიჩნეულ იქნა საგადასახადო სამართალდარღვევად, რის გამოც №... ბრძანებით მენარმე დაჯარიმდა 3130,6 ლარით.

სარჩელი ასევე არ ცნო შემოსავლების სამსახურმა და მოითხოვა უსაფუძველობისა და დაუსაბუთებლობის მოტივით მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

მესამე პირის მოსაზრებით, სადავო აქტები გამოცემულია საგადასახადო კოდექსისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დაცვით და მოსარჩელე ვერ უთითებს მითითებული აქტების ბათილად ცნობის ვერც ერთ საფუძველზე.

მესამე პირმა არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომ აღურიცხავი საქონელი იყო ძველი გამოსაყენებლად უვარგისი ხის ნაკიდურები, რადგან აღნიშნული არ დასტურდება საქმის მასალებით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით ი/მ „თ. ა-ავას“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი ბათუმის რეგიონული ცენტრის 2009 წლის 14 აპრილის №... საგადასახადო მოთხოვნა, 2009 წლის 14 აპრილის №... ბრძანება და შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 29 ივნისის №1... ბრძანება 955,82 ლარის ნაწილში, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საგადასახადო კოდექსის 51.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით, 98,4 მუხლით, 99.2, 110.1, 110.2 მუხლებით და განმარტა, რომ სანარმოში ინვენტარიზაციის ჩატარება ემსახურება მენარმის სამენარმეო კონტროლის მიზანს და მისი ჩატარების წესი, დრო და პერიოდი მონესრიგებულია საგადასახადო კოდექსით.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ი/მ „თ. ა-ავას“ ... დამამუშავებელ საამქროში ინვენტარიზაცია ჩატარდა კანონის მოთხოვნათა დაცვით, რის შედეგადაც დადგინდა, რომ სანარმოში ინახებოდა აღურიცხავი მატერიალური სასაქონლო ფასეულობა. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 11 აპრილის №337 ბრძანებით „საგადასახადო ორგანოების მოთხოვნით სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, კერძოდ, აღნიშნული ბრძანების მე-5 და 6.1 მუხლებით.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემული დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია ორი ძირითადი გარემოების დადგენა, კერძოდ, საქონელი იყო თუ არა აღრიცხული საბუღალტრო დოკუმენტებით და რას შეადგენდა მისი ღირებულება.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი მასალა საამქროში ინახებოდა საბუღალტრო დოკუმენტებში აღრიცხვის გარეშე. მოსარჩელე სადავოდ ხდის მხოლოდ იმ გარემოებას, რომ იგი 2004 წლიდან აღარ ეწევა სამენარმეო საქმიანობას.

საქალაქო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია, რომ ინვენტარიზაციის დროს და საქმის განხილვის დროსაც ი/მ „თ. ა-ავა“ რეგისტრირებულია ინდივიდუალურ სანარმოდ, მას ოფიციალურად სამენარმეო საქმიანობის შეჩერების განცხადებით საგადასახადო ორგანოსათვის არ მიუმართავს. ამასთან, სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე მენარმედგად რეგისტრირებული, ინვენტარიზაცია ჩატარდა მოსარჩელესთან, მისი საამქრო არსებობს, მასში შენახულია საქონელი, რომელიც არ არის აღრიცხული.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე სადავოდ ხდის საქონლის ღირებულებას, რაც საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად შეადგენდა 3694,12 ლარს.

საქალაქო სასამართლომ მატერიალურ ფასეულობათა ღირებულების სწორი განსაზღვრისათვის ჩაატარა სასაქონლო ექსპერტიზა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ აღურიცხავი მატერიალური ფასეულობების ღირებულება შეადგენდა 2174,78 ლარს. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტები ბა-

თილად უნდა იქნეს ცნობილი ამ ნაწილში, მოსარჩელე უნდა დაჯარიმდეს 1843,03 ლარით და არა 3130,6 ლარით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, შემოსავლების სამსახურმა და ამავე სამსახურის ბათუმის რეგიონალურმა ცენტრმა, რომლებმაც მოითხოვეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 19 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში შემდეგი მოტივით:

აპელანტების მითითებით, გასაჩივრებულ აქტებს საქონლის ღირებულებასთან დაკავშირებით საფუძვლად დაედო აჭარის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატის ექსპერტის 2009 წლის 20 მარტის №... ცნობა, რომლის თანახმად, საქონლის ღირებულება შეადგენდა 3694,70 ლარს. აღნიშნული საკითხი სასამართლოს განჩინების საფუძველზე შეისწავლა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტმა, რომლის 2010 წლის 25 იანვრის №... დასკვნის მიხედვით, აღურიცხავი საქონლის საბაზრო სარეალიზაციო ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენდა 2174,78 ლარს.

აპელანტების მოსაზრებით, აღნიშნულ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რამდენადაც არ მოხდა ექსპერტის დასკვნისა და სავაჭრო-სამრეწველო პალატის ექსპერტის ცნობის სათანადოდ გამოკვლევა და არ დადგენილა ფასებს შორის არსებული სხვაობის მიზეზი. ექსპერტიზის დასკვნით საქონლის ღირებულება შეფასდა არა 2009 წლის მარტის მდგომარეობით, არამედ 2010 წლის იანვრის მდგომარეობით, პირველი შეფასებიდან 9 თვის შემდეგ.

აპელანტების მითითებით, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციიდან ექსპერტიზის ჩატარებამდე გასული დროის განმავლობაში მენარმის საამქროში შენახული ნივთების საბაზრო ღირებულებამ შესამჩნევად დაიკლო. ამასთან, ამ ხნის განმავლობაში შესაძლებელია, მენარმეს მოეხდინა ნივთების რეალიზაცია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 17 აგვისტოს განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სსიპ შემოსავლების სამსახურისა და ამავე სამსახურის ბათუმის რეგიონული ცენტრის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება, რომ ინვენტარიზაციის შემდეგ შესაძლებელი იყო მენარმეს მოეხდინა საქონლის რეალიზაცია, რამდენადაც ექსპერტის მიერ შეფასდა იმავე სახეობისა და რაოდენობის საქონელი, რაც ასახული იყო სავაჭრო-სამრეწველო პალატის №1/112 ცნობაში, ამასთან, სასამართლომ დამაჯერებლად მიიჩნია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, სსიპ შემოსავლების სამსახურმა და ამავე სამსახურის ბათუმის რეგიონულმა ცენტრმა, რომლებმაც მოითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 17 აგვისტოს განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით მოსაზრებები წარმოადგინეს კასატორებმა, რომლებმაც მოითხოვეს საკასაციო საჩივრების დასაშვებად ცნობა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნტების შესაბამისად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სსიპ შემოსავლების სამსახურისა და ამავე სამსახურის ბათუმის რეგიონული ცენტრის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძველად ნობის, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და მხარეთა განმარტებების ზეპირი მოსმენის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სსიპ შემოსავლების სამსახურისა და ამავე სამსახურის ბათუმის რეგიონული ცენტრის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 17 აგვისტოს განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას არ დარღვეულა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოყენებინა, სწორად განმარტა იგი, სრულყოფილად გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, სათანადო შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, საკასაციო საჩივარში მითითებულ საპროცესო დარღვევებს ადგილი არ ჰქონია, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის მოტივი, რომ სასამართლოების მიერ არასწორად მოხდა აჭარის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატის ექსპერტის 2009 წლის 20 მარტის №... ცნობისა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის 2010 წლის 25 იანვრის №... დასკვნის შეფასება, რამაც განსახილველ დავაში, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, შექმნა აბსოლუტური და პროცესუალური კასაციის წანამძღვრები –

არის საგულისხმო და განსაკუთრებული, იმ თვალსაზრისით, რომ საკასაციო სასამართლომ მისცეს სამართლებრივი შეფასება თუ რამდენად კანონიერად მოხდა მტკიცებულებათა სწორად შეფასება და შემდგომში ამ მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე სწორი სასამართლო დასკვნის და შესაბამისად, გადწყვეტილების მიღება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანია განიმარტოს საქმეზე მტკიცებულებათა დადგენისა და შეფასების კრიტერიუმები და სამართლებრივი ტექნიკა.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2 მუხლის შესაბამისად, იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რაზეც კასატორის მიერ არ არის წამოყენებული დასაბუთებული და დასაშვები საკასაციო პრეტენზია, კერძოდ, ი/მ „თ. ა-ავა“ რეგისტრირებული იყო ქ. ქობულეთის, ... ქუჩის მეორე შესახვევში, აღნიშნულ მისამართზე სანარმოს ჰქონდა ... დამამუშავებელი საამქრო. ბათუმის რეგიონული ცენტრის 2009 წლის 5 მარტის №... ბრძანების საფუძველზე ბათუმის რეგიონული ცენტრის ინსპექტორების მიერ ი/მ „თ. ა-ავას“ ... დამამუშავებელი საამქრო 2009 წლის 12 მარტს დაილუქა, რაზეც შედგენილ იქნა ობიექტის დალუქვის ოქმი. აღნერის შედეგად გამოვლინდა, რომ საამქროში ინახებოდა შემდეგი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები: ნაბლის დახერხილი მასალა – 1.066 კბ.მ., ნიფლის დახერხილი მასალა – 1.276 კბ.მ., თხმელის დახერხილი მასალა – 0.26 კბ.მ., ნიწვოვანი ჯიშის დახერხილი მასალა – 0.554 კბ.მ., გარბილი – 0.8 კბ.მ., ნარჩენი შეშა – 3.5 კბ.მ., კოპიტის ანათალი შპონი – 10 კბ.მ., ნახევრად დამუშავებული და წუნი რიკულები – 140 ცალი, ბზის ჯიშის კუნძები – 0.4 ნიწვოვანი ჯიშისაგან დამზადებული კარები ჩარჩოს გარეშე 90 კბ.მ., ნიწვოვანი ჯიშის კარები ჩარჩოთი – 60 ცალი, კარების ჩარჩოები – 7.72 კბ.მ.. ვინაიდან, აღნიშნული ნივთები ი/მ „თ. ა-ავას“ არ ჰქონდა აღრიცხული, ბათუმის რეგიონული ცენტრის მიერ მათი ღირებულება შეფასებულ იქნა ექსპერტის მიერ და აჭარის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატის ექსპერტის 2009 წლის 20 მარტის №... ცნობის შესაბამისად საამქროში არსებული ნივთების ღირებულებამ შეადგინა 3694.70 ლარი. აღნიშნულის გამო საგადასახადო ინსპექციის მიერ 2009 წლის 24 მარტს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტზე შედგენილ იქნა სამართალდარღვევის ოქმი და ბათუმის რეგიონული ცენტრის 2009 წლის 14 აპრილის №... „საგადასახადო მოთხოვნით“ ი/მ „თ. ა-ავას“ დაეკისრა ჯარიმა 3130,60 ლარი. მითითებული „საგადასახადო მოთხოვნა“ ი/მ „თ. ა-ავამ“ გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, რომელმაც განიხილა საჩივარი და 2009 წლის 23 ივნისს მიიღო ბრძანება №..., რომლითაც საჩივარი მიიჩნია უსაფუძვლოდ და არ დააკმაყოფილა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 23 ივნისის ბრძანება №... გასაჩივრდა ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში, რომლის 2009 წლის 12 აგვისტოს გადწყვეტილებით საჩივარი არ დააკმაყოფილა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 19 მარტის გადწყვეტილებით ი/მ „თ. ა-ავას“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი ბათუმის რეგიონული ცენტრის 2009 წლის 14 აპრილის №... საგადასახადო მოთხოვნა, 2009 წლის 14 აპრილის №2028 ბრძანება და შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 29 ივნისის №... ბრძანება 955,82 ლარის ნაწილში.

როგორც საქმის მასალებით დასტურდება საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელე ი/მ „თ. ა-ავამ“ სადავო გახადა საგადასახადო ინსპექციის მიერ გამოვლენილი აღურიცხავი მატერიალური ფასეულებათა ღირებულება, რის გამოც საქალაქო სასამართლომ მატერიალური ფასეულობათა ღირებულების სწორი განსაზღვრისათვის ჩაატარა სასაქონლო ექსპერტიზა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის 2010 წლის 25 იანვრის №... დასკვნის შესაბამისად, აღურიცხავი საქონლის საბაზრო სარეალიზაციო ღირებულებამ საორიენტაციოდ შეადგინა 2174,78 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც საქალაქო, ასევე, სააპელაციო სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ სადავო აქტები ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ამ ნაწილში და მოსარჩელე უნდა დაჯარიმდეს 1843,03 ლარით და არა 3130,6 ლარით.

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 162-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოიჭრება ისეთი საკითხი, რომლის განმარტებაც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, სასამართლო უფლებამოსილია, მხარეთა თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგენს მტკიცებულების ერთ-ერთ სახეს, ამასთან, სსსკ-ის 172-ე მუხლის თანახმად, ექსპერტიზის დასკვნას სასამართლოსათვის არ გააჩნია სავალდებულო ძალა და მისი შეფასება სასამართლოს მიერ ხდება სსსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ, ექსპერტის დასკვნის, როგორც მტკიცებულების შეფასება ხდება სასამართლოს შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც სასამართლოს გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორების პრეტენზიას, რომ სასამართლოებმა სათანადოდ არ გამოიკვლიეს ექსპერტიზის დასკვნები და არ დაადგინეს ექსპერტიზის დასკვნებში მითითებულ ფასებს შორის არსებული სხვაობის მიზეზი. იმ პირობებში, როცა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის 2010 წლის 25 იანვრის №... დასკვნით საქონლის ღირებულება შეფასდა არა 2009 წლის მარტის მდგომარეობით, არამედ 2010 წლის 25 იანვრის მდგომარეობით, პირველი შეფასებიდან 9 თვის შემდეგ, რის შემდეგაც მენარმის საამქროში შენახული ნივთების საბაზრო ღირებულებამ შესამჩნევად დაიკლო და განმარტავს, რომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ

როგორც საზოგადოდ, ასევე, საქართველოში ნედლეულზე, მათ შორის ხე-მასალაზე არსებობს ფასების ზრდის და არა კლების ტენდენცია, რის გამოც აჭარის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ჩატარებული ექსპერტიზიდან 9 თვის მერე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის მიერ პროდუქციის საორიენტაციო ფასის განსაზღვრა ვერცერთ შემთხვევაში ვერ იქონიებს გავლენას საჯარო ინტერესების საზიანოდ, შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორები საერთოდ ვერ ასაბუთებენ საკუთარ მოსაზრებას, ვინაიდან არანაირ ინფორმაციულ წყაროს არ უთითებენ, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა შეფასება, რომ საამქროში შენახული ნივთების საბაზრო ღირებულება შესამჩნევად შემცირდა, ამდენად, აღნიშნული მოსაზრება მოკლებულია დამაჯერებლობას. საკასაციო სასამართლოს დასკვნით, ვერც ის გარემოება, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის 2010 წლის 25 იანვრის №... დასკვნაში მითითებულია ხე-მასალის საორიენტაციო ფასი, ვერ გახდება საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან საქართველოში არ არსებობს ხისა და ხე-მასალების სპეციალიზებული ბირჟა, რომლის საქმიანობის სპეციფიკის მიხედვით უტყუარად დადგინდებოდა საქონლის საბაზრო ღირებულების ზუსტი ფასი, შესაბამისი წლების (პერიოდების) მიხედვით.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ასევე დაუსაბუთებელია კასატორთა მოსაზრება შემდეგზე, რომ სასამართლოებს სათანადო მტკიცებულება უნდა მიეჩნიათ აჭარის ა/რ სავაჭრო პალატის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა, ვინაიდან მსჯელობა ეყრდნობა მხოლოდ იმ ფაქტს, რომ 2010 წლის 25 იანვრის საექსპერტო დასკვნით განსახილველი საქონლის ღირებულება არ ასახავს 2009 წლის მარტის მდგომარეობით მის საბაზრო ფასს.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 2009 წლის მარტის მდგომარეობით თავად აჭარის ა/რ სავაჭრო პალატის მიერ ჩატარებული ექსპერტის დასკვნა არ შეიცავს ხე-მასალაზე იმ დროისათვის არსებული საბაზრო ფასის მონაცემებს მეტიც დასკვნაში საერთოდ არ არის მითითებული თუ რა წყაროს ეყრდნობა ექსპერტიზა საქონლის ღირებულების განსაზღვრისას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ორივე საექსპერტო დასკვნა ეყრდნობა საორიენტაციო ფასს და ამდენად, აბსოლუტურად სწორი, ობიექტური ფასის დადგენა სადავო პერიოდებისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია.

გასათვალისწინებელია, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უკრიტიკოდ გაიზიარეს საქონლის პირველი საექსპერტო დასკვნით განსაზღვრული საბაზრო ფასის ოდენობა, ისე, რომ თავად არც ერთი პროცედურული მოქმედება არ განუხორციელებიათ დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების მეშვეობით, რათა მაქსიმალურად ობიექტურად დადგენილიყო მისი საბაზრო ღირებულება. საქმეში ამგვარის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ მოიპოვება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა საქმეზე ფაქტები გამოიკვლიეს და დაადგინეს ობიექტურად, კანონიერებისა და სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით, შესაბამისად ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნა მთლიანად გამოტანილია სათანადოდ გამოკვლეული-დადგენილი ფაქტების ობიექტური და კანონიერი სამართლებრივი შეფასების საფუძველზე, ხოლო მისი სამართლებრივი კრიტიკა (კასაციის მოტივები) ვერ აქარწყლებს სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სადავო სამართალურთიერთობასთან სამართლის ნორმის შეფარდების კანონიერებას და სისწორეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორების მიერ წამოყენებული საკასაციო პრეტენზიები დაუსაბუთებელია, სააპელაციო სასამართლოს მიერ განჩინების მიღებისას ადგილი არ ჰქონია საკასაციო საჩივარში მითითებულ დარღვევებს, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრების მოტივები არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისათვის, რის გამოც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სსიპ შემოსავლების სამსახურისა და ამავე სამსახურის ბათუმის რეგიონული ცენტრის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 17 აგვისტოს განჩინება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სსიპ შემოსავლების სამსახურისა და ამავე სამსახურის ბათუმის რეგიონული ცენტრს სსსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დაეკისროთ სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

## და ა დ ბ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სსიპ შემოსავლების სამსახურისა და ამავე სამსახურის ბათუმის რეგიონული ცენტრის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 17 აგვისტოს განჩინება;

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სსიპ შემოსავლების სამსახურისა და ამავე სამსახურის ბათუმის რეგიონალურ ცენტრს დაეკისროთ სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევა

#### ბანკინება

№ბს-55-54(კ-11)

24 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
პ. სილაგაძე

დავის საგანი: კვების კომპენსაციის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 14 ივლისს ზ. გ-ქმ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა 1999, 2000, 2001 და 2005 წლების ხელფასის, კვების კომპენსაციის, ჯილდოსა და ერთჯერადი მატერიალური დახმარების ანაზღაურება 3438 ლარის ოდენობით შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელე 1999 წლიდან მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს №... სამხედრო ნაწილში. 2001 წელს დაინიშნა საწვავ-საპოხი მასალების საწყობის უფროსად. 2005 წლის 31 მაისს სამხედრო ნაწილის მეთაურის ბრძანებით დაითხოვეს რეზერვში 2005 წლის 28 აპრილიდან პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვით „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

მოსარჩელის მითითებით, მიუღებელი აქვს ხელფასი, კვების კომპენსაცია, ჯილდო და ერთჯერადი მატერიალური დახმარება 1999 წლიდან, რაც 2005 წლის ჩათვლით შეადგენს 3438 ლარს.

ზ. გ-ძის სარჩელი არ ცნო მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით ზ. გ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1999 წლის ხელზე მისაღები ხელფასის – 184,80 ლარის, 2000 წლის ხელზე მისაღები ხელფასის – 123,20 ლარის ანაზღაურება, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა პრემიის, კომპენსაციისა და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2010 წლის 25 აპრილს გაცემული ცნობით ზ. გ-ძის მიმართ 1998-2000 წლების გაუცემელი დარიცხული დავალიანება შეადგენს 1094,81 ლარს, აქედან ხელზე მისაღები სახელფასო დავალიანება შეადგენს 911,84 ლარს.

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე, 134<sup>1</sup> მუხლით, „2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანებულებით, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 12.1 მუხლით.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელისათვის სახელფასო დავალიანების გაუცემლობის მიზეზი გახდა ის გარემოება, როს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ვერ დაფინანსდა 1998-2002 წლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო შესაბამისი თანხებით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სასურსათო ულუფის, ფორმის ტანსაცმლის ფულადი კომპენსაციის, ფულადი ჯილდოსა და მატერიალური დახმარების გაცემის ვალდებულება წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, რაც არ წესრიგდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით, ან/და შრომის კოდექსით, ან სპეციალური კანონით სამხედრო მოსამსახურის შესახებ, შესაბამისად, მის მიმართ უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა შრომის კანონთა კოდექსის 1.2 მუხლის შესაბამისად.

საქალაქო სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 129-ე, 130-ე, 131-ე მუხლებით და მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელისათვის ცნობილი იყო, რომ მოპასუხე არ აუნაზღაურებდა სასურსათო ულუფის თანხას და ჯილდოს, შესაბამისად, მას წარმოეშვა მოთხოვნის უფლება მოპასუხის მიმართ, რის გამოც სასამართლოსათვის უნდა მიემართა 2010 წლის ივნისამდე, რაც არ განუხორციელებია.

ამდენად, სასამართლომ ხანდაზმულად მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნა კვების კომპენსაციისა და ჯილდოს ანაზღაურების შესახებ.

საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა სასარჩელო მოთხოვნა ერთჯერადი გასასვლელი დახმარების ანაზღაურების ნაწილში, აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანებულების მე-9, 33-ე მუხლებით, პრეზიდენტის 2004 წლის 31 დეკემბრის №640 ბრძანებულებით, რომლითაც ცვლილება შევიდა №493 ბრძანებულების 33-ე მუხლში, აღნიშნული მუხლი გაიყო ორ პუნქტად და 31.1 მუხლით განისაზღვრა ერთჯერადი დახმარების გაცემის წესი იმ პირებზე, რომლებიც დათხოვნილნი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით. №640 ბრძანებულების 61-ე მუხლით 31.1 მუხლის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე. საქალაქო სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა 2007 წლის 21 სექტემბრის №531 ბრძანებულებით, რომლითაც №493 ბრძანებულების 31.1 მუხლის ამოღებულ იქნა და განმარტა, რომ მოსარჩელეს №493 ბრძანებულების 31.1 მუხლის მოქმედების შეჩერებამდე – 2006 წლის 1 იანვრამდე და არც მას შემდეგ, 2007 წლის 21 სექტემბრის №531 ბრძანებულების ამოქმედებამდე არ მოუხდენია თავისი უფლების რეალიზაცია მიელო ერთჯერადი დახმარება და აღნიშნული მოთხოვნით მხოლოდ 2010 წლის ივლისში მიმართა სასამართლოს.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და ზ. გ-ძემ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

აპელანტის მითითებით, საქალაქო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2010 წლის 25 აპრილის ცნობა, რომელიც არ წარმოადგენს ვალის აღიარებას, რადგან მასში არ არის მითითებული მოპასუხის მხრიდან ხელფასის დავალიანებად აღიარებისა და მისი გადახდის დაპირების შესახებ, იგი მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისაა.

აპელანტის მითითებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, შრომითი ურთიერთობების მოწესრიგებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები. შესაბამისად, აპელანტმა კანონიერად მიიჩნია საჯარო შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობისა და წარმოშობილი დავის დროს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის გამოყენება.

ამდენად, აპელანტმა ხანდაზმულად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა და მიუთითა, რომ სასამართლოს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველად არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი, რამდენადაც თავდაცვის სამინისტროს ცნობით მისი გამცემი ორგანო არ აღიარებს მოსარჩელის მოთხოვნის არსებობას და მისი შეფასება სამინისტროს მხრიდან ვალდებულების აღიარებად კანონსაწინააღმდეგოა.

ზ. გ-ძემ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

აპელანტის მითითებით, 1999 წლიდან მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილში №... და 2001 წლის ჩათვლით მისაღები აქვს ხელფასი, კვების კომპენსაცია, ჯილდო და ერთჯერადი მატერიალური დახმარება სულ 1196 ლარი. შემდეგ მუშაობდა სამხედრო ნაწილში №..., საიდანაც გათავისუფლდა რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო, ასევე ასაკის გამო 2005 წლის 31 მაისის №122 ბრძანებით. 2000 წლიდან 2010 წლამდე ზ. გ-ძე ყოფილი სამსახურიდან ითხოვდა მიუღებელი თანხების ანაზღაურებას.

აპელანტმა დაუსაბუთებლად მიიჩნია სასამართლოს გადაწყვეტილება მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, ხოლო 2005 წლის უწყისების საფუძველზე მოთხოვნილი თანხის – 2117 ლარის ანაზღაურების ნაწილში სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა და შეფასების გარეშე დატოვა აღნიშნული მოთხოვნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 16 ნოემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ზ. გ-ძის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, იხელმძღვანელა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე, 134-ე, სამოქალაქო კოდექსის 129-ე, 130-ე მუხლებით, მართებულად მიიჩნია საქალაქო სასამართლოს დასკვნა ერთჯერადი დახმარების ანაზღაურების ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რომ ზ. გ-ძეს არ მოუხდენია უფლების რეალიზაცია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და ზ. გ-ძემ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 16 ნოემბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ზ. გ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ზ. გ-ძემ მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ გამოუკვლევიან, არ უმსჯელიან და შეუფასებია სასარჩელო მოთხოვნა 2005 წლის №2, №3, №4 უწყისების საფუძველზე მოთხოვნილი 2005 წლის თანხების – 2117 ლარის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 5 აპრილის განჩინებებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ხოლო ზ. გ-ძის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (პროცესუალური კასაცია).

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების შესწავლა-გაანალიზებისა და გასაჩივრებელი განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ზ. გ-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შესაბამისად, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 16 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სასამართლომ არ გამოუკვლია საქმის გარემოებები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, განჩინება სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, საკასაციო საჩივრები შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონშესაბამობის თაობაზე, რაც სსსკ-ის 393-ე 394-ე მუხლების შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველია.

მოცემულ შემთხვევაში ზ. გ-ძე სარჩელით ითხოვდა 1999, 2000, 2001 წლების ხელფასის, კვების კომპენსაციის, ჯილდოსა და მატერიალური დახმარების ანაზღაურებას, ასევე 2005 წლის ხელფასის, კვების კომპენსაციის, გასასვლელი მატერიალური დახმარებისა და სანივთე ქონების დავალიანების ანაზღაურებას 2117,34 ლარის ოდენობით. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ზ. გ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მის სასარგებლოდ დაეკისრა 1999 და 2000 წლის ხელზე მისაღები ხელფასის ანაზღაურება, ხოლო პრემიის, კომპენსაციისა და ერთჯერადი დამხარების ანაზღაურებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი, რაც უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის საკასაციო პრეტენზიას, რომ არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელეს სასარჩელო მოთხოვნაზე 2005 წლის თანხების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სასამართლოს გადაწყვეტილებები არ შეიცავს დასაბუთებას და მსჯელობას მოთხოვნის ამ ნაწილში, რაც საპროცესო ნორმების უხეში დარღვევაა, რამდენადაც სასამართლო ვალდებული იყო ემსჯელა მხარის მიერ აღძრულ ყველა მოთხოვნაზე, ემსჯელა მის დასაბუთებულობა-საფუძვლიანობაზე და მოეხდინა სათანადო სამართლებრივი შეფასება, რაც სასამართლოს არ განუხორციელებია მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელეს აღძრული ჰქონდა მოთხოვნა, წარდგენილი ჰქონდა მტკიცებულებები და აღნიშნულის შესახებ პრეტენზიას შეიცავდა ასევე სააპელაციო საჩივარი.

გარდა აღნიშნულისა, მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა 1999, 2000, 2001 და 2005 წლების თანხების ანაზღაურებას. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სარჩელი მხოლოდ 1999, 2000 წლების ხელფასის ნაწილში მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ წარდგენილი 2010 წლის 25 აპრილის ცნობაზე დაყრდნობით, რომელიც ასახავდა მონაცემებს მხოლოდ 1999 და 2000 წლის ხელზე მისაღები თანხების შესახებ. სასამართლოს არ უმსჯელიან 2001 წლის თანხების ანაზღაურების ნაწილში მოთხოვნაზე, ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილება არ შეიცავს დასაბუთებას, სსსკ-ის 105-ე მუხლის შესაბამისად, რატომ მიანიჭა მტკიცებულების ძალა მხოლოდ მოპასუხის მიერ წარდგენილ მტკიცებულებას და რატომ არ დაეყრდნო მოთხოვნილი თანხების ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებას, კერძოდ, 2001 წლის 16 მარტს სამხედრო ნაწილი №... მეთაურისა და საფინანსო ნაწილის უფროსის მიერ გაცემულ ცნობას, ანუ რატომ დაემყარა სასამართლოს დასკვნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის შესახებ საქმეში წარმოდგენილ მხოლოდ ერთ მტკიცებულებას, რომელიც წარდგენილი იყო ასლის სახით, და არ გაიზიარა და მტკიცებულების ძალა არ მიანიჭა მეორე დოკუმენტს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმე ექვემდებარება ხელახლა განხილვას, რადროსაც სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს ზემოაღნიშნულ გარემოებებზე და მათი გამოკვლევისა და სათანადოდ შეფასების შემდეგ შეამოწმოს სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა საქმეზე ობიექტური და კანონიერი გადაწყვეტილების დადგენის მიზნით.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე 399-ე, 408.3, 412-ე მუხლებით და

**ღ ა ა ღ ბ ი ნ ა :**

1. ზ. გ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 16 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მტკიცებულებების სრულყოფილად გამოკვლევა

### განჩინება

№ბს-299-236-კ-05

21 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
პ. სილაგაძე

დავის საგანი: საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა; მინის ნაკვეთის მესაკუთრედ აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

2003 წლის 27 აგვისტოს ა. ხ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – სს „...“ და ქ. თბილისის მინის მართვის დეპარტამენტის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 1994 წელს მოსარჩელესა და „...“ ადმინისტრაციას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ა. ხ-შვილმა „...“ მიაქირავა ეზოს ნაწილი, კერძოდ, 19 კვ.მ ელექტრო-გამანაწილებელი ჯიხურისათვის. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 1994 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით სს „...“ ა. ხ-შვილის სასარგებლოდ, ქირის გადახდა დაეკისრა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2001 წლის 12 სექტემბერს მოსარჩელესა და სს „...“ შორის 12 თვის ვადით დაიდო ქირავნობის ხელშეკრულება, ამ ვადის გასვლის შემდეგ მოსარჩელემ ითხოვა ხელშეკრულების გაგრძელება და აღნიშნული მოთხოვნით მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს. სასამართლო პროცესზე მან შეიტყო, რომ აღნიშნული მინის ნაკვეთი წარმოადგენდა სს „...“ საკუთრებას და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო სს „...“ სახელზე. მოსარჩელისათვის აღნიშნული ფაქტი გაუგებარი იყო, ვინაიდან, მთელი ეზო, რომელშიც სადავო მინის ნაკვეთი მდებარეობდა, მას მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული, რასაც ადასტურებდა 1993 წლის 28 დეკემბერს გაცემული „კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მონაშობა“, რომელიც 1993 წლის 30 დეკემბერს რეგისტრირებული იყო თბილისის მერიის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ 2002 წლის 17 იანვარს საჯარო რეესტრში ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე 19 კვ.მ მინის ნაკვეთის სს „...“ საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ ჩანაწერის გაუქმება და აღნიშნული მინის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობა მოითხოვა.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით ა. ხ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მინის მართვის დეპარტამენტის საჯარო რეესტრში 2002 წლის 17 იანვარს განხორციელებული რეგისტრაცია №... , რომლითაც ქ. თბილისში, ... ქ. №1-ის მოპირდაპირედ 19 კვ.მ მინის ნაკვეთი საკუთრების უფლებით აღირიცხა სს „...“ სახელზე; ქ. თბილისში, ... ქ. №30-ში საინვენტარიზაციო გეგმის მიხედვით მდებარე 52.5 კვ.მ ფართის მინის ნაკვეთში შემავალი 19 კვ.მ მინის ნაკვეთი აღიარებულ იქნა ა. ხ-შვილის საკუთრებად.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 3 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „...“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს „...“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 3 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ხ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საოლქო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის 1998 წლის 6 მაისის №... ბრძანებისა და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და მ. ს-ს შორის 1998 წლის 21 დეკემბერს დადებული სს „...“ აქციების 75%-ის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე, ... ქ. №1-ის მოპირდაპირედ მდებარე 19 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთის მესაკუთრე იყო სს „...“. ამასთან, ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის 1998 წლის 6 მაისის №... ბრძანება ა. ხ-შვილს სადავოდ არ გაუხდია.

საოლქო სასამართლომ მიუთითა „ფიზიკური პირების და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 28 ოქტომბრის კანონის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტზე და აღნიშნა, რომ ამ კანონის ამოქმედების შემდეგ სახელმწიფო ქონების პრივატიზება ხდებოდა იმ მინის ნაკვეთთან ერთად, რომელზედაც ის არსებული წესით იყო დამატებული.



საოლქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი საშუალო დაბვის სატრანსპორტო ქვე-სადგურის პასპორტის თანახმად, ... ქ. №30-ში საშუალო დაბვის ქვესადგური აშენებული იყო 1930 წელს. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 2002 წლის 17 იანვარს საჯარო რეესტრში ქ. თბილისში, ... ქ. №2-ში მდებარე 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის სს „...“ საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ ჩანაწერის გაუქმებისა და აღნიშნული მიწის ნაკვეთის მის საკუთრებად აღიარების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ხ-შვილმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა მიუთითა, რომ სასამართლომ არასწორად გამოიყენა „ფიზიკური პირების და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, ვინაიდან, ამავე კანონის მე-2 მუხლით ფიზიკურ პირებსა და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს კერძო საკუთრებაში უფლება მიენიჭათ მათ სარგებლობაში არსებულ სახელმწიფო საკუთრების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე. კასატორმა აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის შესაბამისად, 1997 წლის 25 ნოემბრიდან კასატორი გახდა სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, შესაბამისად, 1998 წლის 28 ოქტომბერს აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე სახელმწიფო არ ყოფილა.

კასატორის განმარტებით, საოლქო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის 1998 წლის 6 მაისის №1-9/188 ბრძანება და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და მ. ს-ს შორის 1998 წლის 21 დეკემბერს დადებული სს „...“ აქციების 75%-ის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, ისე, რომ აღნიშნული ბრძანება და ხელშეკრულება საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა და საქმისათვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინაიდან, კასატორის მიერ სადავოდ იყო გამხდარი მიწის ნაკვეთი და არა სატრანსფორმაციო ჯიხური.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 28 მარტის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული ა. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2005 წლის 20 მაისს, 10.00 საათზე.

2005 წლის 4 ივლისს სს „...“ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საქმის წარმოების შეჩერება მოითხოვა, სს „...“ სარჩელზე მოპასუხეების – ა. ხ-შვილის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, ქ. თბილისში, ... ქ. №30-ში არსებული 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის ა. ხ-შვილისათვის მიკუთვნების კანონიერების შესახებ ადმინისტრაციული საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით სს „...“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; შეჩერდა ა. ხ-შვილის საკასაციო საჩივარზე საკასაციო წარმოება სს „...“ სარჩელზე, მოპასუხეების – ა. ხ-შვილის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, ქ. თბილისში, ... ქ. №30-ში არსებული 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის ა. ხ-შვილისათვის მიკუთვნების კანონიერების შესახებ ადმინისტრაციული საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე.

საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისის სასამართლო სხდომაზე კასატორის – ა. ხ-შვილის შვილმა დ. ხ-შვილმა წარმოადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 იანვრის სხდომის ოქმის ამონაწერის, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 4 ივლისის და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 10 აპრილის განჩინებების ასლები. ამასთან, მხარემ განაცხადა, რომ აღარ არსებობდა ა. ხ-შვილის საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეჩერების სამართლებრივი საფუძველი. აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა, როგორც სს „...“, ისე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 16 ივნისის განჩინებით ა. ხ-შვილის საკასაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 16 ივნისის განჩინებით ა. ხ-შვილის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა მისი შვილი დ. ხ-შვილი.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 1930 წლის 19 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულებით (აქტის ქალაქი) მოსარჩელის ა. ხ-შვილის მამამ გ. ხ-შვილმა შეიძინა ერთსართულიანი სახლი და სარგებლობაში მიიღო 328.24 მეტრი მიწის ნაკვეთი. 1993 წლის 28 დეკემბრის კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობით ა. ხ-შვილს მემკვიდრეობით გადაეცა მამის – გ. ხ-შვილის დანაშთი სამკვიდრო ქონება, მათ შორის ... ქ. №30-ში მდებარე სახლი და 525 კვ.მ მიწის ნაკვეთი. ქ. თბილისის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის 1994 წლის 24 თებერვლის საინვენტარი-

ზაციო გეგმით დასტურდება, რომ ... ქ. №30-ში მდებარე მინის ნაკვეთი აღრიცხული იყო ა. ხ-შვილის სახელზე. 1994 წელს 11 იანვარს მოსარჩელესა და „...“ ადმინისტრაციას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ა. ხ-შვილმა „...“ მიაქირავა ეზოს ნაწილი, კერძოდ, 18.7 კვ.მ მინის ნაკვეთი ელექტრო-გამანაწილებელი ჯიხურისათვის. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. ხ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სს „...“ ა. ხ-შვილის სასარგებლოდ, 1994 წლის იანვრიდან 1999 წლის იანვრამდე გადაუხდელი დავალიანების ანაზღაურება დაეკისრა. 2001 წლის 12 სექტემბერს მოსარჩელესა და სს „...“ შორის 12 თვის ვადით დაიდო ქირავნობის ხელშეკრულება. 2002 წლის 17 იანვარს ქ. თბილისში, ... ქ. №1-ის მოპირდაპირედ მდებარე 19 კვ.მ მინის ნაკვეთი საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა სს „...“ სახელზე. საკუთრების უფლების რეგისტრაციის სამართლებრივ საფუძვლად მითითებული იყო „ფიზიკური პირების და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონი, ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის 1998 წლის 6 მაისის №1-9/188 ბრძანება, 1998 წლის 21 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და „...“ შორის დადებული სს „...“ აქციების 75%-ის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 19 თებერვლის დადგენილება და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000 წლის 9 აგვისტოს №... მიწერილობა. მიწის (უძრავი ქონების) საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობაში, ქ. თბილისში, ... ქ. №1-ს მოპირდაპირედ მდებარე 19 კვ.მ მინის ნაკვეთისა და ელექტრო სადგური №6060 მესაკუთრედ მითითებული არის სს „...“.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ 2001 წლის 12 სექტემბერს მოსარჩელესა და სს „...“ შორის დადებული ხელშეკრულების ვადის გაგრძელების მოთხოვნით ა. ხ-შვილმა სარჩელით მიმართა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. ხ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა სს „...“ მასთან დადებული ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელების ან წინააღმდეგ შემთხვევაში ელექტრო-გამანაწილებელი ჯიხურის ნაკვეთიდან გატანის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, საგანგებო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 22 მაისისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, საგანგებო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 2 დეკემბრის განჩინებებით. ა. ხ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მითითებული იყო ის გარემოება, რომ როგორც სადავო მინის ნაკვეთის, ისე მასზე მდებარე №6060 ელექტრო-გამანაწილებელი ჯიხურის მესაკუთრეს სს „...“ წარმოადგენდა და იგი ამ მინის ნაკვეთის მესაკუთრედ 2002 წლის 17 იანვრიდან იყო მითითებული.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით სს „...“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; შეჩერდა ა. ხ-შვილის საკასაციო საჩივარზე საკასაციო წარმოება სს „...“ სარჩელზე, მოპასუხეების – ა. ხ-შვილის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, ქ. თბილისში, ... ქ. №30-ში არსებული 19 კვ.მ მინის ნაკვეთის ა. ხ-შვილისათვის მიკუთვნების კანონიერების შესახებ ადმინისტრაციული საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე.

2011 წლის 16 ივნისის სასამართლო სხდომაზე კასატორის – ა. ხ-შვილის უფლებამონაცვლემ დ. ხ-შვილმა სასამართლოს წარმოუდგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 იანვრის სხდომის ოქმის ამონაწერი, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 4 ივლისის და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 10 აპრილის განჩინებები.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 4 ივლისის განჩინებით სს „...“ სარჩელი ... ქ. №30-ში მდებარე 19 კვ.მ მინის ნაკვეთის და მასზე არსებული ელ. ჯიხურის შექმნის შესახებ 1998 წლის 21 დეკემბერს საქართველოს ქონების მართვის სამინისტროსა და „...“ შორის დადებული ხელშეკრულების ნაშედეგობის აღიარების და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში სს „...“ სახელზე არსებული ჩანაწერის ნაშედეგობის დადგენის თაობაზე ცნობილ იქნა დაუშვებლად და აღნიშნულ ნაწილში მოცემულ საქმეზე შეწყდა ადმინისტრაციული სამართალწარმოება; სს „...“ სარჩელი ა. ხ-შვილის სახელზე 1993 წლის 28 დეკემბერს გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის ბათილად ცნობის შესახებ განსჯადობის წესის დაცვით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. საგულისხმოა ის გარემოება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 20 იანვრის საოქმო განჩინებით სს „...“ შუამდგომლობა ა. ხ-შვილის სახელზე 1993 წლის 28 დეკემბერს გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის გახმობის თაობაზე დაკმაყოფილდა და სს „...“ სარჩელი, მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საჯარო რეესტრის სააგენტოსა და ა. ხ-შვილის მიმართ სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის თაობაზე დარჩა განუხილველი, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 10 აპრილის განჩინებით სს „...“ კერძო საჩივარი საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 4 ივლისის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ძალაში დარჩა ა. ხ-შვილის სახელზე გაცემული 1993 წლის 28 დეკემბრის კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა, რომლის თანახმადაც, ა. ხ-შვილს მემ-

კვიდრობით გადაეცა მამის – გ. ხ-შვილის დანაშთი სამკვიდრო ქონება, მათ შორის ... ქ. №30-ში მდებარე სახლი და 525 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავად დაადგინოს ახალი ფაქტობრივი გარემოებები და შეაფასოს ახალი მტკიცებულებები, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში წარმოდგენილი კანონიერ ძალაში შესული განჩინებების საფუძველზე ხელახლა უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რა დროსაც უნდა ისარგებლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით, შეაგროვოს და გამოითხოვოს მტკიცებულებები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საოლქო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ა. ხ-შვილის უფლებამონაცვლის – დ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადანყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლებით და

#### დ ა ა ზ ბ ი ნ ა :

1. ა. ხ-შვილის უფლებამონაცვლის – დ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 დეკემბრის გადანყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სახელმწიფო ბაჟის საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადანყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### მტკიცებაშულებების სრულყოფილად გამოკვლევა

#### განჩინება

№ბს-1442-1424(კ-11)

24 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ნაწილობრივ ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: ი/მ „გ. ბ-ე“

მოპასუხე: სსიპ შემოსავლების სამსახურის გურიის რეგიონული ცენტრი;

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

სარჩელის საგანი:

1. გურიის საგადასახადო ინსპექციის 2009 წლის 8 აგვისტოს №... ბრძანების ბათილად ცნობა;

2. გურიის საგადასახადო ინსპექციის 2009 წლის 11 აგვისტოს №... საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობა.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი:

სოფ. ... მდებარე მოსარჩელის კუთვნილ აფთიაქში, 2009 წლის 7 აგვისტოს საგადასახადო ორგანოს თანამშრომელმა განხორციელა საკონტროლო შესყიდვა, კერძოდ, მოითხოვა თვალის ტკივილის წამალი, გამყიდველის მიერ წამლის მიწოდების შემდეგ მან დახლზე დატოვა 2-ლარიანი კუპიურა, მაგრამ არ დაელოდა ქვითარს. აღნიშნულის მიუხედავად გამყიდველმა მაინც ამოწერა საკონტროლო სალარო აპარატის ქვითარი.

შემდეგ, გამყიდველს საგადასახადო ორგანოს თანამშრომელმა წარუდგინა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და მოსთხოვა მასზე ხელის მოწერა, რაზეც გამყიდველი არ დაეთანხმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გურიის საგადასახადო ინსპექციის 2009 წლის 7 აგვისტოს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე 2009 წლის 8 აგვისტოს გამოიცა ბრძანება №..., რომლითაც მოსარჩელე საგადასახადო კოდექსის 139.4 მუხლის შესაბამისად დაჯარიმდა 500 ლარით.

სამართლებრივი: მოსარჩელის მითითებით, საგადასახადო კონტროლი უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი წესით, საგადასახადო კოდექსის 98.4, 99.1 მუხლების შესაბამისად, საგადასახადო კონტროლის განხორციელებისას უნდა არსებობდეს ან სასამართლოს, ან საგადასახადო ორგანოს ბრძანება, რომელშიც ზუსტად განისაზღვრება საგადასახადო კონტროლის სახე და მისი განხორციელების პროცედურები, რაც მოცემულ შემთხვევაში არ განხორციელებულა. ი/მ „გ. ბ-ის“ მიმართ საგადასახადო კონტროლი განხორციელდა საგადასახადო ორგანოს უფროსის გადანყვეტილების გარეშე, რითაც დაირღვა საგადასახადო კოდექსის 106.1, 108.1 მუხლები, „საგადასახადო ორგანოების მიერ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №145 ბრძანების მე-3 მუხლის „დ“ პუნქტი.

მოსარჩელის მოსაზრებით, საგადასახადო შემოსებების დროს ასევე დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1, 5.3, 53.5, 96.1 მუხლები, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 30 დეკემბრის №964 ბრძანების 7.3, 7.5, 7.8 მუხლების მოთხოვნები.

მონინაღმდეგე მხარის შეპასუხება:

მოპასუხემ – გურიის საგადასახადო ინსპექციამ ი/მ „გ. ბ-ის“ სარჩელი არ ცნო უსაფუძვლობის მოტივით.

საქმის გარემოებები:

2009 წლის 7 აგვისტოს გურიის საგადასახადო ინსპექციის ინსპექტორები მიემგზავრებოდნენ დავალეზით ოზურგეთის რაიონის დაბა ურეკში. სოფ. ... ტერიტორიაზე ყოფნის დროს ინსპექტორს კ. კ-ეს ასტკივდა თვალი, რის გამოც წამლის შესაძენად შევიდა ი/მ „გ. ბ-ის“ კუთვნილ აფთიაქში. აფთიაქის წარმომადგენელმა – მ. კ-ემ მიაწოდა წამალი, რა დროსაც ინსპექტორმა დახლზე დააგდო ორლარიანი და სწრაფად გავიდა აფთიაქიდან, მიუხედავად ამისა გამყიდველმა მაინც ამოწერა საკონტროლო სალარო აპარატის ქვითარი. აღნიშნულის შემდეგ კ-ემ შეადგინა სამართალდარღვევის ოქმი, გამყიდველს თავი წარუდგინა, როგორც საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი და სთხოვა ოქმზე ხელის მოწერა, რაზეც გამყიდველი არ დაეთანხმა, ვინაიდან მას ქვითარი ამოწერილი ჰქონდა.

საგადასახადო ინსპექციის ინსპექტორის საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე, გურიის საგადასახადო ინსპექციის 2009 წლის 11 აგვისტოს №... ბრძანებით საგადასახადო კოდექსის 139.4 მუხლის შესაბამისად, ი/მ „გ. ბ-ე“ დაჯარიმდა – 500 ლარით.

რაიონული /საქალაქო/ სასამართლოს გადანყვეტილება/სარეზოლუციო/:

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის გადანყვეტილებით ი/მ „გ. ბ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

2009 წლის 7 აგვისტოს სოფ. ... მდებარე ი/მ „გ. ბ-ის“ კუთვნილ აფთიაქში გურიის საგადასახადო ინსპექციის საგადასახადო ადმინისტრირების თანამშრომელმა კ. კ-ემ შეიძინა თვალის ტკივილის საწინააღმდეგე წამალი. გამყიდველმა მ. კ-ემ მიიღო ფულადი თანხა და კ. კ-ეს გადასცა წამალი, ისე რომ არ გამოიყენა საკონტროლო-სალარო აპარატი, კერძოდ, ფულის მიღებამდე და წამლის გადაცემამდე არ ამოარტყა ჩეკი, მხოლოდ წამლის გადაცემის და ფულის მიღების შემდეგ მ. კ-ე გავიდა რამოდენიმე მეტრით მოშორებულ შერეული საქონლით მოვაჭრე სექციაში და ამოჭრა ჩეკი.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

სასამართლოს განმარტებით, ი/მ „გ. ბ-ე“ სადავოდ ხდის საკონტროლო-სალარო აპარატიდან ჩეკის ამოუჭრელობის ფაქტს და მიუთითებს, რომ ვინაიდან, კ. კ-ეს ტკიოდა თვალი მას დაუყოვნებლივ გადეცა

წამალი, ხოლო შემდეგ თავისი მოვალეობის შესრულების მიზნით მ. კ-ე გავიდა შერეული საქონლით მოვაჭრე სექციაში, სადაც მდებარეობდა საკონტროლო-სალარო აპარატი და ამოჭრა ჩეკი, რომელიც უკვე საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელმა აღარ მიიღო.

სასამართლოს შეფასებები სადავო ფაქტებთან მიმართებაში:

რაიონულმა სასამართლომ საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლების ჩვენებებზე დაყრდნობით დადგინებულად მიიჩნია, რომ 2009 წლის 7 აგვისტოს სოფ. ... მდებარე ი/მ „გ. ბ-ის“ კუთვნილ აფთიაქში გურიის საგადასახადო ინსპექციის გადასახადების ადმინისტრირების თანამშრომელმა – კ. კ-ემ შეიძინა თვალის ტკივილის საწინააღმდეგო წამალი. გამყიდველმა მ. კ-ემ მიიღო ფული და კ. კ-ეს გადასცა წამალი ისე, რომ არ გამოიყენა საკონტროლო-სალარო აპარატი, ფულის მიღებიდან წამლის გადაცემამდე არ ამოარტყა ჩეკი, მხოლოდ წამლის გადაცემისა და ფულის მიღების შემდეგ გავიდა გამყიდველი რამოდენიმე მეტრით მოშორებულ შერეული საქონლით მოვაჭრე სექციაში ჩეკის ამოსარტყმელად.

ამდენად, რაიონული სასამართლოს მითითებით, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ დაფიქსირდა სამართალდარღვევის ფაქტი, რაზედაც ის ვალდებული იყო მოეხდინა რეაგირება – შეედგინა სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც შედგა „საგადასახადო ორგანოების მიერ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 27 თებერვლის №145 ბრძანების მე-5 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, მასში გარკვევითაა მითითებული ოქმის შედგენის ადგილი, დრო, ოქმის შემდგენი პირისა და იმ პირების სახელები და გვარები, რომლებმაც გამოავლინეს სამართალდარღვევა, სამართალდამრღვევად მართებულად მიეთითა ი/მ „გ. ბ-ე“, რომელიც ადგილზე არ იმყოფებოდა, ხოლო საგადასახადო ინსპექციის დადამხდელის ი/მ „გ. ბ-ის“ წარმომადგენელმა ოქმს ხელი არ მოაწერა.

სასამართლოს დასკვნები – სასამართლომ მიიჩნია, რომ ი/მ „გ. ბ-ის“ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

რაიონულმა სასამართლომ იხელმძღვანელა „საგადასახადო ორგანოების მიერ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 27 თებერვლის №145 ბრძანების 1.2, 4.1, 4.3, 5.1, 5.4 მუხლებით, საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლით.

აპელანტი: ი.მ „გ. ბ-ე“

მონინალმდევე მხარე: გურიის საგადასახადო ინსპექცია

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელაციის მოტივები:

ფაქტობრივი:

აპელანტის განმარტებით, რაიონულმა სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, სასამართლოს არ დაუსაბუთებია რატომ ჩაითვალნენ საგადასახადო ორგანოს თანამშრომლები უფლებამოსილ პირებად შეედგინათ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი, რამდენადაც საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელს არც საგადასახადო შემონმების დაწყებამდე და არც ოქმის შედგენის შემდეგ არ წარუდგენია გადასახადის დადამხდელისათვის საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ კანონით დადგენილი წესით გამოცემული ბრძანება. ამასთან, სასამართლოში საქმის განხილვისას წარდგენილი ბრძანება არ ქმნიდა გ. ბ-ის შემონმების საფუძველს, რამდენადაც მასში არ იყო მითითებული ი/მ „გ. ბ-ე“. ამდენად, აღნიშნული ბრძანება გამოცემული იყო ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 27 თებერვლის №145 ბრძანების მე-3 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით.

აპელანტის მითითებით, რაიონულმა სასამართლომ არ დაასაბუთა რატომ არ ჩათვალა ჩეკი ამოჭრილად, როდესაც გამყიდველი არ იყო მოლარე-ოპერატორი. მან ნაღდი ანგარიშსწორების შემდეგ თანხა მიიტანა მოლარე-ოპერატორთან, რის შემდეგაც ამოარტყა ჩეკი. აღნიშნულთან დაკავშირებით რაიონულმა სასამართლომ არ გაითვალისწინა „საკონტროლო-სალარო აპარატების ექსპლუატაციის (გამოყენების) წესებისა და სალაროს ჩეკში შესატანი აუცილებელი რეკვიზიტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 10 მარტის №186 ბრძანების 4.1 მუხლის მოთხოვნა.

აპელანტის განმარტებით, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ 2009 წლის 7 აგვისტოს სამართალდარღვევის ოქმში ოქმის შემდგენებად მითითებული არიან საგადასახადო ორგანოს სამი თანამშრომელი (კ-ე, შ-ე და ჭ-ე) საგადასახადო ინსპექციის 2008 წლის 11 აგვისტოს №... ბრძანებაში კი აღნიშნულია, რომ ოქმი შეადგინა ორმა თანამშრომელმა (კ-ემ და შ-ემ).

სამართლებრივი:

აპელანტის მითითებით, საგადასახადო ორგანოს თანამშრომლები სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას გასცდნენ უფლებამოსილების ფარგლებს, რამდენადაც საგადასახადო კოდექსის 99.1 და 106.1 მუხლების შესაბამისად, გადასახადის დადამხდელის საქმიანობაზე საგადასახადო კონტროლის პროცედურები საქმეებს საგადასახადო ინსპექციის უფროსის ბრძანებას, რაც არ არსებობდა მოცემულ შემთხვევაში.

საგადასახადო კოდექსით დადგენილია საკონტროლო შესყიდვის მიზნები და საკონტროლო შესყიდვის განხორციელების წესი. საგადასახადო კოდექსის 108.1 მუხლის შესაბამისად, საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვის მიზანია გადასახადის დადამხდელის მიერ საქონლის მიწოდებით ან/და მომსა-

ხურეობის განვითარებით მიღებული შემოსავლების რეალური მოცულობის დადგენა ან/და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 27 თებერვლის №145 ბრძანების 3.1 მუხლის შესაბამისად, საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე მუდმივი კონტროლის პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით საგადასახადო ინსპექციის უფროსი/მოადგილე გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. აღნიშნული აქტი უნდა შეიცავდეს საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურების ჩამტარებელი საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლის თანამდებობას, სახელსა და გვარს, საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლის სამოქმედო ტერიტორიას და იმ გადამხდელთა სრულ ჩამონათვალს, რომლის მიმართაც უნდა განხორციელდეს საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე შესაბამისი კონტროლის პროცედურები, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მხოლოდ ასეთი აქტების გამოცემის შემდეგ ამავე აქტით განსაზღვრულ სამოქმედო ტერიტორიაზე და მითითებული გადასახადის გადამხდელთა მიმართ საგადასახადო ორგანოს წარმომადგენელს ენიჭება უფლებამოსილება განახორციელოს საკონტროლო-სალარო აპარატების წესების დაცვაზე სისტემატიური კონტროლი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი.

აპელანტის განმარტებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის №186 ბრძანების 4.1 მუხლის შესაბამისად „ჩეკის გაცემა ხდება ნაღდი ფულის გადახდისთანავე ან/და ხურდის დაბრუნებასთან ერთად, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მომხმარებელი ნაღდი ფულის გადახდას ახორციელებს იმ პირთან, რომელიც არ წარმოადგენს მოლარე-ოპერატორს (მაგ. საზღვრების ობიექტში მომსახურე პერსონალი), მომხმარებელს ჩეკი უნდა მიეცეს გონივრულ ვადაში. კონკრეტულ შემთხვევაში აფთიაქის გამყიდველი არ წარმოადგენდა მოლარე-ოპერატორს და მას არ გააჩნდა ვალდებულება ნაღდი ფულის გადახდისთანავე გაეცა მომხმარებელზე ჩეკი. ამასთან, აპელანტის განმარტებით, საქმეშია საკონტროლო-სალარო აპარატიდან ამობეჭდილი „ძ“ ანგარიში, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ წამლის გაყიდვის თაობაზე ამოჭრილი ჩეკის შემდეგ კიდევ ორი ჩეკი ამოიჭრა. შესაბამისად, ჩეკი ამობეჭდილი იქნა გონივრულ ვადაში, რაც არ იქნა გათვალისწინებული არც საგადასახადო ინსპექციისა და არც სასამართლოს მიერ.

შემოსავლების სამსახურის გურიის საგადასახადო ინსპექციამ ი/მ „გ. ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ ცნო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო ნაწილი/:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მაისის განჩინებით ი/მ „გ. ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა რაიონული სასამართლოს დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებზე და დამატებით, მიუთითა საგადასახადო ორგანოების მიერ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 27 თებერვლის №145 ბრძანების 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, „საგადასახადო ინსპექციის უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ამ ბრძანებით დადგენილი წესით განახორციელონ საგადასახადო ინსპექციის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ფარგლებში საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესის დაცვის კონტროლი“. ამავე ბრძანების 4.7 მუხლის შესაბამისად, „საგადასახადო ინსპექციის ის თანამშრომელი, რომელიც ინსპექციის უფროსის (მოადგილის) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კუთხით განპირობებულია კონკრეტულ ტერიტორიულ ზონაზე (ქუჩა, უბანი და ა.შ) ან გადამხდელთა ჯგუფზე, ამ ზონაში განთავსებულ ან ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მითითებულ გადასახადის გადამხდელთა ობიექტებზე შესვლისას, უფლება-მოსილია საგადასახადო სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირებამდე არ გაამჟღავნოს თავისი სამსახურებრივი მიზანი (გამოვიდეს ფსევდომომხმარებლის როლში) და მოახდინოს დაკვირვება მოლარის მიერ ფულის მიღებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების და ქვითრის (ჩეკის) მომხმარებელზე გაცემის პროცედურაზე, იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ დაფიქსირდა საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენებლობის, ან მომხმარებელზე ამობეჭდილი ქვითრის (ჩეკის) წარუდგენლობის ფაქტი, საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეადგინოს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი. აღნიშნული პროცედურა შეიძლება ჩატარდეს ერთი და იგივე ობიექტში სისტემატიურად“.

ამასთანავე, 4.7. განსაზღვრავს თუ რა დროს უნდა მოხდეს საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენება და აღნიშნული მუხლის შესაბამისად, საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენება უნდა მოხდეს მოლარის მიერ ფულის მიღებისას.

კონკრეტულ შემთხვევაში, კი მ. კ-ე მხოლოდ წამლის გადაცემის და ფულის მიღების შემდეგ გავიდა რამოდენიმე მეტრით მოშორებულ შერეული საქონლით მოვაჭრე სექციაში და ამოჭრა ჩეკი.

სააპელაციო სასამართლო იზიარებს რაიონული სასამართლოს მსჯელობას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ქმედებისათვის სამართლებრივი შეფასების კუთხით არსებითი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს იმ გარემოებას, თუ რა მოტივით მოქმედებდა ი/მ „გ. ბ-ის“ წარმომადგენელი მ. კ-ე ჩეკის კანონით გათვალისწინებული წესით გაუცემლობისას და რა მიზანი ამოძრავებდა აფთიაქში შესვლისას საგადასახადო

ინსპექციის თანამშრომელს კ. კ-ეს. საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის მიერ დაფიქსირდა სამართალდარღვევის ფაქტი, რაზედაც იგი ვალდებული იყო მოეხდინა რეაგირება, კერძოდ შეედგინა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციების გატარების მიზნით.

სააპელაციო პალატის განმარტებით, „საკონტროლო-სალარო აპარატების ექსპლუატაციის (გამოყენების) წესებისა და სალაროს ჩეკში შესატანი აუცილებელი რეკვიზიტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 10 მარტის №186 ბრძანების მე-4 მუხლის შესაბამისად, „სალარო ჩეკში შესატანი რეკვიზიტები“ ითვალისწინებს იმ შემთხვევას, როდესაც საზღვრების დაწესებულების პერსონალი (არა მოლარე-ოპერატორი) იღებს ნაღდ ფულს და მიდის ჩეკის ამოსაჭრელად, რომელიც უნდა გადასცეს მომხმარებელს. შერეული სავაჭრო დაწესებულებაში, სადაც არსებობს აფთიაქი, სხვა სავაჭრო სექცია და ერთი სალარო აპარატი, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მყიდველისათვის ჩეკის გადაცემა ფულის მიღებისა და წამლის გადაცემის შემდეგ არ უნდა მომხდარიყო.

კასატორი: ი/მ „გ. ბ-ე“

მონინალმდგეე მხარეები: სსიპ შემოსავლების სამსახურის გურიის საგადასახადო ინსპექცია

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 31 მაისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორი – ი/მ „გ. ბ-ე“ საკასაციო საჩივარში ფაქტობრივად იმეორებს სასარჩელო და სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ ფაქტობრივ და სამართლებრივ მოტივებს.

ამასთან, კასატორის მითითებით, გ. ბ-ის მალაზიაში არის რამოდენიმე სექცია, რომელსაც ემსახურება ერთი საკონტროლო-სალარო აპარატი, შესაბამისად, მალაზიაში არის მხოლოდ ერთი მოლარე-ოპერატორი. საგადასახადოს თანამშრომელმა წამალი შეიძინა წამლებით მოვაჭრე სექციაში. აფთიაქში მოვაჭრე გამყიდველმა საგადასახადოს თანამშრომელს გადასცა წამალი და გავიდა მეორე სექციაში, სადაც მოლარე ოპერატორთან ამოჭრა ჩეკი. საგადასახადოს თანამშრომელმა უარი განაცხადა ჩეკის მიღებაზე და შეადგინა ოქმი.

კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 10 მარტის №186 ბრძანების 4.1 მუხლი, რომელიც ეხება არა მარტო საკვებ ობიექტს, არამედ ზოგადად იმ შემთხვევებს, როდესაც მომხმარებლისაგან ფულის მიღებას და საქონლის გადაცემას აწარმოებს პირი, რომელიც არ არის მოლარე-ოპერატორი.

კასატორის მითითებით, სასამართლომ გაიზიარა ის გარემოება, რომ ჩეკის გადაცემა არ მოხდა კანონით დადგენილი წესით. სასამართლომ არ გაიზიარა არგუმენტი, რომ საგადასახადო ორგანოს თანამშრომელს არ ჰქონდა საკონტროლო შესყიდვისა და საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო უფლებამოსილება. ასევე არ გაითვალისწინა, რომ გამყიდველი არ წარმოადგენდა მოლარე ოპერატორს, რის გამოც იგი არ იყო ვალდებული საქონელთან ერთად გადაეცა ჩეკი მომხმარებლისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 იანვრის განჩინებით ი/მ „გ. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად, როგორც პროცესუალური კასაცია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება /სარეზოლუციო ნაწილი/:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით ი/მ „გ. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

გასაჩივრებული განჩინების დასკვნების არ გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

საგადასახადო კოდექსის 106.1 მუხლის შესაბამისად, გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურები ტარდება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ, საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის მოტივირებული ბრძანებით. ამავე კოდექსის 110 მუხლის თანახმად, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით განახორციელონ საგადასახადო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ფარგლებში საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლი. სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დროს მოქმედი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 27 თებერვლის №145 ბრძანებით დამტკიცებული „საგადასახადო ორგანოების მიერ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის 4.5 მუხლის შესაბამისად, საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურების განხორციელების დროს საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე მუშაობის ან მისი გამოყენების ფაქტის დადგენის მიზნით, საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლის პროცედურები და ამ მიზნით შეასრულოს შესაბამისი მოქმედებები მხოლოდ ობიექტის ხელმძღვანელისათვის, ხოლო მისი ადგილზე არ ყოფნის პირობებში, ობიექტის ტერიტორიაზე მომუშავე ნებისმიერი პირისათვის სამსახურებრივი მონაწილისა და მისი უფლებამოსილების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წარდგენის შემდეგ.

აღნიშნულის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია მოცემულ შემთხვევაში გურიის რეგიონული ცენტრის ადმინისტრირების სამმართველოს ინსპექტორების მიერ კონტროლის პროცედურების განხორციელებისას დაცულ იქნა თუ არა მითითებული დებულებების მოთხოვნები და წარუდგინეს თუ არა მათ გადასახადის გადამხდელის წარმომადგენელს უფლებამოსილების დამადასტურებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სააპელაციო სასამართლოს ასევე არ შეუფასებია რამდენად წარმოადგენდა გურიის საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილის 2009 წლის 1 ივლისის №... ბრძანება ი/მ „გ. ბ-ის“ კუთვნილ აფთიაქში კონტროლის პროცედურის ჩატარებაზე უფლებამოსილების მინიჭების აქტს, რამდენადაც საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 27 თებერვლის №145 ბრძანებით დამტკიცებული „საგადასახადო ორგანოების მიერ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის 3.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუდმივი კონტროლის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით გამოცემული საგადასახადო ორგანოს უფროსის ან მოადგილის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლის სამოქმედო ტერიტორიას კონკრეტული ქუჩების, უბნების ზუსტი აღწერით და იმ გადახდელთა სრულ ჩამონათვალს, რომლის მიმართაც მუდმივად უნდა განხორციელდეს საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე შესაბამისი კონტროლის პროცედურები. სწორედ აღნიშნული მოთხოვნების დაცვით გამოცემული აქტის საფუძველზე უფლებამოსილი საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი განახორციელოს „საგადასახადო ორგანოების მიერ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის 4.7 მუხლით განსაზღვრული პროცედურები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს უფლებამოსილი იყვნენ თუ არა გურიის რეგიონული ცენტრის ადმინისტრირების სამმართველოს ინსპექტორები ი/მ „გ. ბ-ის“ კუთვნილ აფთიაქში ჩატარებინათ კონტროლის პროცედურები, შესაბამისად, დაცულ იქნა თუ არა მათ მიერ საგადასახადო კოდექსისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 27 თებერვლის №145 ბრძანებით დამტკიცებული „საგადასახადო ორგანოების მიერ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნები ამ პროცედურების ჩატარებისას. ასევე სათანადო სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 10 მარტის №186 ბრძანებით დამტკიცებული „საკონტროლო-სალარო აპარატების ექსპლუატაციის (გამოყენების) წესებისა და სალაროს ჩეკში შესატანი აუცილებელი რეკვიზიტების“ მე-4 მუხლის გავრცელების შესაძლებლობას სადავო ურთიერთობაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლომ მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული გარემოებების გამოკვლევის შედეგად უნდა იმსჯელოს და შეაფასოს ადგილი ჰქონდა თუ არა მოცემულ შემთხვევაში სამართალდარღვევის ფაქტს – საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენებლობას ადგილი, რაც საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 10 მარტის №186 ბრძანებით დამტკიცებული „საკონტროლო-სალარო აპარატების ექსპლუატაციის (გამოყენების) წესებისა და სალაროს ჩეკში შესატანი აუცილებელი რეკვიზიტების“ 3.4 მუხლით განისაზღვრა, როგორც ისეთი შემთხვევები, როდესაც გადასახადის გადახდელს გააჩნია საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული აპარატი, რომელიც შეტანილია სახელმწიფო რეესტრში, აპარატზე ჩართულია ფისკალური მეხსიერება, მაგრამ მომხმარებელთან ნაღდი ფულადი ანგარიშსწორებისას არ ხდება ვაჭრობა/მომსახურების ყველა ოპერაციაზე აპარატის გამოყენება, რაც თავის მხრივ მოიცავს იმ მომენტს, რომ მომხმარებლისაგან ყოველ ფულის მიღებაზე ამოებჭდილი უნდა იყოს ჩეკი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო ნაწილი/:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივნისის განჩინებით ი/მ „გ. ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საკასაციო სასამართლოს განჩინებაში მითითებული სამართლებრივი შეფასება და მათზე მითითებით საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს.

კასატორი: სსიპ შემოსავლების სამსახური

მონინალმდგე მხარე: ი/მ „გ. ბ-ე“

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 ივნისის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასაციის მოტივები: სამართლებრივი:

პროცესუალური: კასატორის მითითებით გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია და შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3 მუხლის მოთხოვნები.



მატერიალური: საგადასახადო ორგანოების მიერ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 27 თებერვლის №145 ბრძანების 1.2 შესაბამისად, „საგადასახადო ინსპექციის უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ამ ბრძანებით დადგენილი წესით განახორციელონ საგადასახადო ინსპექციის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ფარგლებში საკონტროლო სალარო აპარატების გამოყენების დაცვის კონტროლი“. ამავე ბრძანების 4.1 მუხლით „საკონტროლო სალარო-აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურებს ახორციელებს ის საგადასახადო ინსპექცია, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე ფუნქციონირებს გადასახადის გადამხდელი“, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, „გადასახადის გადამხდელის მიერ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის კონტროლის ღონისძიებებს სისტემატურად ახორციელებენ გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს/გადასახადების ადმინისტრირების განყოფილების თანამშრომლები საგადასახადო ინსპექციის/რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) უფროსის / მოადგილის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში განთავსებული გადასახადის გადამხდელთან მიმართებაში.

აღნიშნული მინისტრის ბრძანების მე-3 მუხლის შესაბამისად, საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე მუდმივი კონტროლის პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით საგადასახადო ინსპექციის/რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) უფროსი/მოადგილე გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული რეკვიზიტების გარდა უნდა შეიცავდეს: ა) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სათაურს; ბ) საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურების ჩამტარებელი საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლის (წარმომადგენლების) თანამდებობის, სახელს და გვარს; გ) საგადასახადო ორგანოს წარმომადგენლის სამოქმედო ტერიტორიას (კონკრეტული ქუჩების, უბნების ზუსტი აღწერით) და იმ გადამხდელთა სრულ ჩამონათვალს, რომლის მიმართაც მუდმივად უნდა გავრცელდეს საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე შესაბამისი კონტროლის პროცედურები.

კასატორის მითითებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 27 თებერვლის №145 ბრძანების მე-7 მუხლის შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს ის თანამშრომელი, რომელიც ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე უფლებამოსილია ჩაატაროს მათ სამოქმედო ტერიტორიაზე კონტროლის პროცედურები, უფლებამოსილია, გადასახადის გადამხდელთა ობიექტებზე შესვლისას საგადასახადო სამართლდარღვევის ფაქტის დაფიქსირებამდე არ გაამყლავნოს თავისი სამსახურებრივი მიზანი (გამოვიდეს ფსევდომომხმარებლის როლში) და მოახდინოს დაკვირვება მოხელის მიერ ფულის მიღებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენებისა და ქვითრის (ჩეკის) მომხმარებელზე გაცემის პროცედურაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოსაზრებით, საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილის 2009 წლის 1 ივლისის ბრძანება №38, რითაც სამართალდარღვევის ოქმის შემდგენ ინსპექტორებს მინიჭებული ჰქონდათ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე განეხორციელებინათ საკონტროლო პროცედურები, გამოცემულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 27 თებერვლის №145 (შეტანილია ცვილება 2008 წლის 14 აგვისტოს №664 ბრძანებით) ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 3.1 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ამდენად, საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურების განხორციელება ი/მ „გ. ბ-ის“ ობიექტზე განხორციელდა კანონმდებლობასთან შესაბამისად.

რაც შეეხება გამყიდველის მიერ ჩეკის ამოჭრის ფაქტს, კასატორის მითითებით, როგორც სამართალდარღვევის ოქმიდან და მოწმის ჩვენებით ირკვევა გამყიდველმა ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საერთოდ არ გამოიყენა საკონტროლო-სალარო აპარატი, ხოლო ის ფაქტი, რომ გამყიდველმა რამოდენიმე ხნის მერე ამოართყა ჩეკი, რისი უფლებაც მას ჰქონდა, ასევე ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 10 მარტის №186 ბრძანებით დამტკიცებული „საკონტროლო-სალარო აპარატების ექსპლუატაციის (გამოყენების) წესებისა და სალაროს ჩეკში შესატანი აუცილებელი რეკვიზიტების“ ინსტრუქციაში მითითებული განმარტება, რომლის შესაბამისად, გონივრულ ვადაში ქვითრის ამოჭრა შესაძლებელია მაშინ, როდესაც საზღვრების ობიექტში ხდება მომსახურე პერსონალთან ფულადი ანგარიშსწორება.

გ. ბ-ემ საკასაციო შესაგებლით მოითხოვა სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინამძღვრები: (სასკ 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლომ 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებით მიიჩნია, რომ კასატორის სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით, კერძოდ „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-და-საბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაარღვია საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოყენებინა, არასწორად განმარტა იგი, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნები, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების შესაბამისად, განჩინების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამოწმებს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ საქმეს განიხილავს, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ისე მათი სამართლებრივი შეფასების კუთხით. სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს დაადგინოს ახალი ფაქტები, ხოლო საქმის მონაწილე პირებს უფლება აქვთ პირველ ინსტანციაში უკვე განხილულთან ერთად სააპელაციო სასამართლოში წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ანუ სააპელაციო სასამართლო, საკასაციო ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, შებოჭილი არაა პროცესუალური შესაძლებლობით, საქმეზე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, გამოითხოვოს და შეაფასოს მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმე დააბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოში იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივად შეუძლებელია გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება. საქმის მასალებით დადგენილია, რომ საკასაციო სასამართლოს 2010 წლის 5 აპრილის განჩინებით ი/მ „გ. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს, შემდეგი მითითებებით: სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია უფლებამოსილი იყვნენ თუ არა გურიის რეგიონული ცენტრის ადმინისტრირების სამმართველოს ინსპექტორები ი/მ „გ. ბ-ის“ კუთვნილ აფთიაქში ჩაეტარებინათ კონტროლის პროცედურები, შესაბამისად, დაცულ იქნა თუ არა მათ მიერ საგადასახადო კოდექსისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 27 თებერვლის №145 ბრძანებით დამტკიცებული „საგადასახადო ორგანოების მიერ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნები ამ პროცედურების ჩატარებისას, ასევე სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია მოცემულ შემთხვევაში მ. კ-ე, რომელმაც წამალი მიჰყიდა და რომელთანაც მოხდა ანგარიშსწორება საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის მიერ, იყო თუ არა მოლარე-ოპერატორი, ი/მ „გ. ბ-ის“ კუთვნილი ობიექტი წარმოადგენდა თუ არა იმგვარ ობიექტს, სადაც არ ხორციელდებოდა ნაღდი ფულის გადახდა მოლარე-ოპერატორთან და შესაბამისად, მოხდა თუ არა გონივრულ ვადაში ჩეკის ამობეჭდვა. აღნიშნული გარემოებების გამოკვლევის შედეგად უნდა ემსჯელა და შეეფასებინა ჰქონდა თუ არა მოცემულ შემთხვევაში სამართალდარღვევის ფაქტს – საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობას ადგილი.

სააპელაციო სასამართლომ კი 2011 წლის 22 ივნისის განჩინებით ი/მ „გ. ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილა ნაწილობრივ და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს იმავე გარემოებებზე მითითებით, რისი გამოკვლევისა და დადგენის მიზნითაც საკასაციო სასამართლომ საქმე დააბრუნდა სააპელაციო სასამართლოში.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს სსსკ-ის 385.2 მუხლის შესაბამისად, სრული პროცესუალური უფლებამოსილება ჰქონდა თავად გადაეწყვიტა დავა და ხელახლა განსახილველად არ დაებრუნებინა საქმე რაიონული სასამართლოსათვის, რამდენადაც რაიონული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას სსსკ-ის 385.1 მუხლით განსაზღვრულ საპროცესო დარღვევებს ადგილი არ ჰქონია, რაც უპირობოდ შექმნიდა რაიონულ სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა განხილვის პროცესუალურ წინაპირობას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105.2 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სასამართლომ საქმის განხილვისას უნდა მოიპოვოს მტკიცებულებები, სარწმუნოდ დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მისცეს მათ სამართლებრივი შეფასება და გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არ არსებობის შესახებ. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ისარგებლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით და მოიპოვოს მტკიცებულებები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ თავად უნდა გამოიკვლიოს გურიის რეგიონული ცენტრის თანამშრომლების მიერ დაცულ იქნა თუ არა საგადასახადო კოდექსისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 27 თებერვლის №145 ბრძანებით დამტკიცებული „საგადასახადო ორგანოების მიერ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვაზე კონტროლის პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნები, მ. კ-ე, რომელმაც წამალი მიჰყიდა და რომელთანაც მოხდა ანგარიშსწორება საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის მიერ, იყო თუ არა მოლარე-ოპერატორი, ი/მ „გ. ბ-ის“ კუთვნილი ობიექტი წარმოადგენდა თუ არა იმგვარ ობიექტს, სადაც არ ხორციელდებოდა ნაღდი ფულის გადახდა მოლარე-ოპერატორთან და შესაბამისად, მოხდა თუ არა გონივრულ ვადაში ჩეკის ამობეჭდვა. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული გარე-

მოებების გამოკვლევის შედეგად უნდა იმსჯელოს და შეაფასოს – ადგილი ჰქონდა თუ არა მოცემულ შემთხვევაში სამართალდარღვევის ფაქტს – საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობას ადგილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2 მუხლის თანახმად სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც სსსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. ამდენად, სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით, კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სააპელაციო სასამართლომ თვითონ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემოთმითიებული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

#### და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 22 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### მტკიცებულებაების სრულყოფილად გამოკვლევა და შეფასება

#### ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბს-1739-1708 (კ-11)

2 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 26 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ო. თ-მა მოპასუხეების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურის, რ. თ-ისა და გ. მ-ის მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურის ჩანაწერისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 5 ივლისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 29 ივლისის განჩინებით ო. თ-ის სასარჩელო განცხადება განსჯადობით გადაეგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს.

2011 წლის 16 აგვისტოს მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ მოპასუხეების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურის, შპს „...ისა“ და რ. თ-ის მიმართ მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურის ჩანაწერისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2011 წლის 5 ივლისის №101910 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სახლის 1/3 წილისა და მის მიმდებარე 100 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მოსარჩელის სახელზე დარეგისტრირება.

გორის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით ო. თ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. თ-ის სახელზე რიცხული, გორის რაიონის სოფელ ...ში მდებარე უძრავი ქონება კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მონაწილის საფუძველზე მიიღეს მისმა შვილებმა – ო., რ. და მ. თ-ებმა, თითოეულმა 1/3-1/3 წილი, რის შემდეგაც სკრის სახალხო დეპუტატთა სასოფლო-სამეურნეო აღმასკომის 1989 წლის 26 ივლისისა და 27 დეკემბრის გადაწყვეტილებების საფუძველზე, საკომლო წიგნის ჩანაწერებში მათი წილები აღირიცხა მათ სახელზე.

2010 წლის 2 ნოემბერს საჯარო რეესტრში რ. თ-ის სახელზე აღირიცხა გორის რაიონის სოფელ ...ში მდებარე უძრავი ქონება, რომლის შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი 90,40 კვ.მ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი 600 კვ.მ, საკადასტრო კოდია 66.59.06.017.

საკუთრების უფლების რეგისტრაციას საფუძვლად დაედო ეროვნული არქივის 2010 წლის 11 ოქტომბრის №2010017838-03 ცნობა, რომელიც გაიცა სოფელ სკრის საკომლო წიგნის ჩანაწერის საფუძველზე.

საარქივო ცნობის თანახმად, სკრის სასოფლო-საბჭოს სოფელ ...ს 1986-1995 წლების კავშირგანვეტილ კომლთა საკომლო წიგნების ჩანაწერების მიხედვით, რ. თ-ი აყვანილია ცალკე კომლად (ოჯახის უფროსი), კომლის სხვა წევრთა შესახებ ჩანაწერი არ აღმოჩნდა. საეზოვე მიწის ფართი შეადგენს 0,06 ჰა-ს.

რ. თ-ი სამკვიდრო მონუმობისა და სკრის სასოფლო საბჭოს 1989 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით ასევე აღირიცხა ცალკე კომლად 0,05 ჰა მიწის ფართით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. თ-მა არაერთხელ მიმართა საჯარო რეესტრის სამსახურს თავისი საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით. რეესტრის სამსახურის გადაწყვეტილებებით საქმის წარმოება შეჩერდა სხვის საკუთრებაზე ზედღების გამო, ხოლო შემდეგ შეწყდა სარეგისტრაციო წარმოება ხარვეზის შეუსებლობის გამო. მან 2011 წლის 28 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარადგინა განცხადება და მოითხოვა მისი საკუთრების რეგისტრაციის შესახებ საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე გორის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. 2011 წლის 12 აპრილს სააგენტოში გამართულ საჯარო სხდომაზე, სადაც მოხდა მისი განცხადების (საჩივრის) განხილვა, რ. თ-მა ასევე დააყენა მოთხოვნა რ. თ-ის სახელზე საკუთრების ჩანაწერის ბათილად ცნობის შესახებ, რაც არ იქნა განხილული, რადგან დავა სასამართლოს განსახილველ საკითხს წარმოადგენდა, ხოლო მისი მოთხოვნა გორის სამსახურის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერი წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით რეგლამენტირებულ აღმჭურველი სახის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის მიხედვით სარეგისტრაციო დოკუმენტი არის სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ წარმოშობს ამ კანონით განსაზღვრული რეგისტრაციის მოთხოვნის უფლებას, ხოლო 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რეგისტრაცია ბათილად ან არარად უნდა გამოცხადდეს, თუ: ა) ბათილად ან არარად იქნა ცნობილი რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება; ბ) წარმოდგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული აქტი, რომელიც ადასტურებს რეგისტრაციის ბათილად ან არარად ცნობის ფაქტს; გ) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები. სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ რ. თ-მა გორის სარეგისტრაციო სამსახურში საკუთრება დაირეგისტრირა უძრავ ქონებაზე, რასაც საფუძვლად დაედო ეროვნული არქივის 2010 წლის 11 ოქტომბრის №... ცნობით დადასტურებული სკრის სასოფლო-საბჭოს საკომლო წიგნის ჩანაწერი, რომელიც, თავის მხრივ, ასევე წარმოადგენს აღმჭურველი სახის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. სასამართლომ განმარტა, რომ ეს აქტი მოსარჩელის მხრიდან არ გასაჩივრებულა და კანონით დადგენილი წესით სადავო არ გამხდარა, შესაბამისად, ასეთ ვითარებაში, სარეგისტრაციო ჩანაწერის უკანონობა არ დასტურდება, რამდენადაც საკუთრების უფლების საფუძვლად არსებული სარეგისტრაციო დოკუმენტი გასაჩივრებული და გაუქმებული არ არის.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლსა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილზე და არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება მასზე, რომ რ. თ-ის საკუთრებაში დარეგისტრირდა რ. თ-ის კუთვნილი ფართი და განმარტა, რომ აღნიშნული მსჯელობა წარმოადგენს მხოლოდ მხარის ახსნა-განმარტებას და საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება ეს ფაქტი. სასამართლომ მიიჩნია, რომ უძრავი ქონების სხვა პირის საკუთრებაში რეგისტრაციის ფაქტი არ შეიძლება მხოლოდ მხარის ახსნა-განმარტებით დადასტურდეს, რამდენადაც უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება დგინდება საჯარო რეესტრის ჩანაწერით (საკადასტრო აზომვითი ნახაზის მეშვეობით), რომლის მიმართაც მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი), ვიდრე საწინააღმდეგო არ იქნება დადასტურებული. საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულებით არ დგინდება ის ფაქტი, რომ რ. თ-ის საკუთრებაში მოქცეულია (რეგისტრირებულია) რ. თ-ის საკუთრებაში არსებული ფართი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემქმნელზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირის უძრავი ქონების მესაკუთრედ მიჩნევისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს საკუთრების უფლების შემქმნელ რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამ პირობის არარსებობა გამოორიცხავს უძრავ ნივთზე შემქმნის საკუთრების უფლების მოპოვებას. შესაბამისად, უსაფუძვლოა მოსარჩელის მტკიცება იმის შესახებ, რომ რ. თ-ის საკუთრებაში მოქცეული გარკვეული ფართის მე-საკუთრეს რ. თ-ი წარმოადგენს, მით უფრო, საერთოდ დაუდგენელია, კონკრეტულად უძრავი ქონების რა ნაწილზეა დავა, გაურკვეველია ამ სადავო ფართის ადგილმდებარეობა, ოდენობა და კოორდინატები.

სასამართლომ აღნიშნა, რომ რ. თ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია სკრის სასოფლო საბჭოს საკომლო წიგნში, ისევე, როგორც რ. თ-შვილისა, მოხდა მათ სახელზე გაცემული სამკვიდრო მონუმობების საფუძველზე სკრის სასოფლო საბჭოს აღმასკომის 1989 წლის 26 ივლისისა და 27 დეკემბრის გადაწყვეტილებებით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მემკვიდრეებმა თავისი 1/3-1/3 წილი სამკვიდრო მიიღეს და აღი-

რიცხვენ ცალ-ცალკე კომლექსად. ამ საკომლო წიგნის ჩანაწერის საფუძველზე რ. თ-მა საკუთრება აღრიცხა საჯარო რეესტრში თავის სახელზე. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა ო. თ-ის განმარტება მასზე, რომ რ. თ-მა საკუთრებაში დაირეგისტრირა ო. თ-ის მემკვიდრეობით მიღებული ქონება. იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ო. თ-ის საკუთრებაში არსებული და ო. თ-ის საკომლო წიგნის ჩანაწერში აღნიშნული უძრავი ქონება ერთი და იგივეა, სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრში რ. თ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციით კანონის მოთხოვნები არ დარღვეულა. ო. თ-ი, თავისი სარჩელის ფაქტობრივ საფუძველად მითითებული გარემოებების მხედველობაში მიღებით, არ წარმოადგენს იმ პირს, ვისაც რაიმე უფლება გააჩნია ამჟამად რ. თ-ის საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ან მის ნაწილზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბათილად იქნება ცნობილი რ. თ-ის საკუთრების შესახებ ჩანაწერი, ო. თ-ი ამ ფართზე საკუთრების უფლებას მაინც ვერ მოიპოვებდა, რადგან შესაბამისი მტკიცებულება წარმოდგენილი არ იყო.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. თ-მა.

აპელაციო სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ნოემბრის განჩინებით ო. თ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობს მათი ბათილად ცნობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“ და „კ“ ქვეპუნქტებზე და როგორც უფლების დამდგენი დოკუმენტების – საარქივო ცნობისა და სოფელ სკრის საკომლო წიგნის ჩანაწერის საფუძველზე, მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურს უფლება ჰქონდა მოეხდინა ზემოაღნიშნულ ქონებაზე რ. თ-ის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. მისი მოსაზრებით, ზემოაღნიშნული დოკუმენტები წარმოადგენენ სამართლებრივ დოკუმენტებს, რასაც შეიძლება დაეყრდნოს საჯარო რეესტრი საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დროს. ამასთან, მისი მოსაზრებით, საჯარო რეესტრი არ იყო ვალდებული გადაემოწმებინა წარდგენილი დოკუმენტების ნამდვილობა რეგისტრაციის განხორციელების დროს. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ასევე იმ გარემოებაზე, რომ არც საარქივო ცნობა და არც სოფელ სკრის საკომლო წიგნის ჩანაწერი, რომელთა საფუძველზეც მოხდა საჯარო რეესტრში რ. თ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია სადავო უძრავ ქონებაზე, აპელანტს სადავო არ გაუხდინა და არ გაუსაჩივრებია.

სააპელაციო პალატამ გამოიყენა „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, რომლითაც მარეგისტრირებული ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობს ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება, ან მათში მოცემული უძრავი ნივთის ფართობი, გარდა ინსტრუქციით გათვალისწინებული შემთხვევებისა, აღემატება უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულ უძრავი ნივთის ფართობს. იმავე კანონის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკადასტრო მონაცემების ზედდება არის უძრავი ნივთის (მისი ნაწილის) საკადასტრო მონაცემებთან. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან რ. თ-ის მიერ საჯარო რეესტრში სარეგისტრაციოდ წარდგენილი მინის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი არ ფარავდა საჯარო რეესტრში სხვის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებას, ანუ ადგილი არ ჰქონდა კანონით გათვალისწინებულ ზედდებას, ამიტომ სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საჯარო რეესტრის სრული უფლება ჰქონდა აღნიშნული ქონება დაერეგისტრირებინა რ. თ-ის სახელზე საკუთრების უფლებით.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ო. თ-მა.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქმეში არსებული დოკუმენტები, რის გამოც მიიღო უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. კასატორის მოსაზრებით, საჯარო რეესტრმა მესამე პირის სახელზე დაარეგისტრირა მინის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლის ნაწილი, რომელიც წარმოადგენდა მის საკუთრებას, აღნიშნულ რეგისტრაციას კი საფუძველად დაედო არასწორად შედგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზი, რომლის თანახმად მისი კუთვნილი 100 კვ.მ. მინის ნაკვეთი და დედის მიერ დატოვებული მამაპაპისეული სახლის 1/3 ნილი მიეკუთვნა რ. თ-ს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ო. თ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია კანონის არასწორი გამოყენებისა და განმარტების საფუძველზე, საქმეზე არასრულყოფილად დადგენილი და გამოკვლევული ფაქტობრივი გარემოებები, რაც იძლევა განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით განსაზღვრულ საფუძველს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407.2 მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: კასატორის ან გარდაცვლილი დედის ა. თ-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონება, მდებარე გორის რ-ნის სოფ. ..., საკუთრების მონაწილის საფუძველზე მიიღეს მისმა შვილებმა: ო., რ. და მ. თ-ებმა, თითოეულმა 1/3 – 1/3 წილი. სკრის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის 1989 წლის 26 ივლისისა და იმავე წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებებით, საკომლო წიგნის ჩანაწერებში წილები აღირიცხა ო., რ. და მ. თ-ების სახელზე.

2010 წლის 2 ნოემბერს საჯარო რეესტრში რ. თ-ის სახელზე აღირიცხა გორის რ-ნის სოფ. ...ში მდებარე უძრავი ქონება, შენობა-ნაგებობები საერთო ფართობით 90,40 კვ/მ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი – 600 კვ/მ, საკადასტრო კოდით 66.59.06.017.

საკუთრების უფლების რეგისტრაციას საფუძვლად დაედო ეროვნული არქივის 2010 წლის 11 ოქტომბრის №2010017838-03 ცნობა, რომელიც გაიცა სოფელ სკრის საკომლო წიგნის ჩანაწერის საფუძველზე.

საარქივო ცნობის შეაბამისად ირკვევა, რომ სკრის სასოფლო საბჭოს სოფელ ...ს 1986-1995 წლების კავშირგანვეტილ კომლთა საკომლო წიგნების ჩანაწერების მიხედვით, რ. თ-ი აყვანილია ცალკე კომლად (ოჯახის უფროსი), კომლის სხვა წევრთა შესახებ ჩანაწერი არ იძებნება; საეზოვე მიწის ფართობი შეადგენს 0,06 ჰა-ს, საკომლო წიგნის ჩანაწერი ერთვის საქმეს.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებზე და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს შეფასებები წინააღმდეგობაშია მის მიერვე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან, რაც გამოიწვევს გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი თვალსაზრისით შემონიშნების შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სოფელ სკრის საკომლო წიგნის ჩანაწერის, როგორც უფლებადამდგენი დოკუმენტის საფუძველზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურს უფლება ჰქონდა მოეხდინა ზემოაღნიშნულ ქონებაზე რ. თ-ის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ საკომლო წიგნის ჩანაწერი წარმოადგენს უფლებადამდგენ დოკუმენტს, მაგრამ ამ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს აღნიშნული დოკუმენტის შინაარსზე. საკომლო წიგნის ჩანაწერს საფუძვლად უდევს სკრის რ/საბჭოს აღმასკომის 1988 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე რ. ი-ის ასულ თ-ს დედასეული საცხოვრებელი სახლიდან დაუმტკიცდა 1/3 ნაწილი, თანახმად წარმოდგენილი კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მონაწილისა. ანალოგიური შინაარსის ჩანაწერს შეიცავს იმავე საქმეში დაცული კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მონაწილა, რომელშიც საუბარია ა. ა-ის ასული თ-ის ორსართულიანი სახლის 1/3-ის რ. ი-ის ასული თ-ისათვის მიკუთვნების თაობაზე.

საქმეში ასევე წარმოდგენილია მეხილეობის სკრის საცდელი სადგურის დირექტორის 1990 წლის 15 მარტის №15 ბრძანება (ბრძანებაზე მითითებას შეიცავს საკომლო წიგნის ჩანაწერი), რომლის შესაბამისადაც, რ. თ-ს აწერია „დედისეული“ მიწიდან 0,06 ჰა, ხოლო კასატორს – 0,05 ჰა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არც ერთი აღნიშნული დოკუმენტი არ ქმნის სახლის სრული მოცულობით რ. თ-ის სახელზე აღრიცხვის სამართლებრივ საფუძველს, რა პირობებშიც სააპელაციო სასამართლომ უნდა წარმოადგინოს დამატებითი მოტივაცია და მიუთითოს რა მტკიცებულებაზე დაყრდნობით ასაბუთებს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის შესაბამისად, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისებისა ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

როგორც აღნიშნა, სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ო. თ-მა დედისაგან მემკვიდრეობით მიიღო სახლის 1/3 ნაწილი. აქვე სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ო. თ-ი ვერ ასაბუთებს იმ გარემოებას, რომ რ. თ-მა თავის სახელზე დაირეგისტრირა ზუსტად ის საცხოვრებელი სახლი, საიდანაც 1/3 ეკუთვნოდა ო. თ-ს. სასამართლო განმარტავს, რომ ო. თ-ს თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გააჩნია სახლი, რომელიც შესაძლოა იყოს კანონისმიერი მემკვიდრეობით მისთვის დანატოვარი უძრავი ქონება.

საკასაციო სასამართლო გამოიწვევს გადაწყვეტილების „სავარაუდობაზე“ დაფუძნების შესაძლებლობას და აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ შესაბამის მტკიცებულებებს და მათ სწორ სამართლებრივ შეფასებას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმეზე დარღვეულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით დადგენილი ძირითადი პრინციპი „შეჯიბრებითობის პრინციპი“. შეჯიბრებითობის პრინციპი გულისხმობს ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტის უფლებას მოახდინოს საკუთარი უფლებების დაცვა ყველა შესაძლო საშუალებით. შეჯიბრებითობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობით, დაასაბუთონ, უარყონ ან გააქარწყლონ მე-2 მხარის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნები, მოსაზრებები და მტკიცებულებები. საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციულ პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპით სარგებლობენ არა მხოლოდ მოსარჩელე და მოპასუხე, არამედ ადმინისტრაციული პროცესის მონაწილე სხვა სუბიექტებიც.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მტკიცების ტვირთი დააკისრა მხოლოდ მოსარჩელეს და მითითებული ვალდებულებისაგან გაათავისუფლა პროცესის დანარჩენი მონაწილეები.

საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს საქმის მასალების საფუძველზე სრულად გამოირიცხოს ფაქტი იმის შესახებ, რომ რ. თ-ის სახელზე რეგისტრირებული სახლი წარმოადგენს იმ სამკვიდრო მასას, რომლის ნაწილზეც უფლებაც, სამკვიდრო მონაწილის საფუძველზე, წარმოეშვა კასატორს, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება შეუსაბამოა იქნება საქართველოს კონსტიტუციის ზემოაღნიშნულ მუხლთან და ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად.

საკასაციო სასამართლო იმავე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით არამოტივირებულად მიიჩნევს კასატორის პრეტენზიას მიწის ნაკვეთთან მიმართებაში და თვლის, რომ საქმეში დაცული მტკიცებულებებით არ დასტურდება 600კვ/მ მიწის ნაკვეთის რ. თ-ის სახელზე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე რეგისტრაციის ფაქტი.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 15.01.2010 წლის №4 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის მე-14 მუხლის შესაბამისად, რეგისტრაციის მიზნებისათვის მიწის ნაკვეთი არის გეომეტრიული ერთიანობის მქონე ტერიტორია (დაზუსტებული ან დაუზუსტებელი), რომელიც მოქცეულია საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ერთიან უფლებრივ სივრცეში ან არსებობს მასზე უფლების ამგვარად რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება. მიწის ნაკვეთზე უფლება ვრცელდება ასევე მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობაზე, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ზემოაღნიშნული ნორმის ბოლო ნაწილს და აღნიშნავს, რ. თ-ის სახელზე გაცემული სამკვიდრო მონაწილეობა ადასტურებს, რომ მან კანონით დადგენილი წესით მიიღო სამკვიდრო ქონება, სამკვიდრო მონაწილეობა გაუქმებული არ არის, რაც ნიშნავს კასატორის უფლებას ქონების გარკვეულ ნაწილზე, ასეთ პირობებში სააპელაციო სასამართლო ვალდებულია დაადგინოს, არსებობდა თუ არა მიწის ნაკვეთის უფლების ამავე მიწის ნაკვეთზე განთავსებულ სახლზე სრული მოცულობით გავრცელების სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების დადგენა-გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია საქმეზე არსებითად სწორი გადაწყვეტილების მიღება, რა მიზნითაც საქმე განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. რ. თ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ნოემბრის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მტკიცებულებების არასათანადო გამოკვლევა

### განჩინება

№ბს-1302-1287(კ-11)

25 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. მურუსიძე,  
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: პრივატიზაციის ხელშეკრულების შეწყვეტილად ცნობა, ნივთის უკანონომფლობელობიდან გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველომ სარჩელით მიმართა თბილისის ქ. კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ნ. ბ-ის მიმართ, რომლითაც მოითხოვა 30.06.98წ. იჯარა გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულების შეწყვეტილად ცნობა, მოპასუხისათვის 1034.5 აშშ დოლარის გადახდევინების დაკისრება და მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 30.06.98წ. ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოსა და ნ. ბ-ს შორის გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით ქ. თბი-

ლისში, ... რაიონში, ... გამზ. №67-ში მდებარე №... ფოტო-სალონის მიერ დაკავებულ არასაცხოვრებელ ფართზე, რომლის საპრივატიზაციო ღირებულება შეადგენდა 3450 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ეროვნულ ვალუტაში. ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარეს უნდა გადაეხადა საიჯარო ქირა 345 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხით ეროვნულ ვალუტაში ყოველ ექვს თვეში ერთხელ თანაბარწილად, ამასთან ქონების ღირებულების არანაკლებ 10% – ყოველწლიურად. ნ. ბ-მა დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, არ გადაიხადა საიჯარო ქირა. ხელშეკრულების ვადის გასვლის მიუხედავად, მოპასუხე აგრძელებდა საიჯარო ქონებით სარგებლობას.

თბილისის კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს 17.12.04წ. განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.06.05წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.04.06წ. განჩინებით მოქალაქეების – დ. ბ-ის, ს. ა-ისა და ი. ჯ-ის განცხადების საფუძველზე საქმის წარმოება განაჩლდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.05.06წ. განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაებნენ დ. ბ-ი, ს. ა-ი და ი. ჯ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 08.06.06წ. განჩინებაში აღნიშნა, რომ შეუძლებელია თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სარჩელის განხილვა მოპასუხე ნ. ბ-ის მიმართ 30.06.98 წ. იჯარა – გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულების შეწყვეტილად ცნობისა და ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების თაობაზე, ვიდრე არ დადგინდება სადავო ხელშეკრულების უფლება-მოვალეობათა სუბიექტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, 08.06.06 წ. განჩინებით თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს სარჩელზე საქმის წარმოება შეჩერდა შემდეგი საქმეების განხილვამდე: 1. დ. ბ-ის, ს. ა-ისა და ი. ჯ-ის სარჩელისა გამო მოპასუხის ნ. ბ-ის და მესამე პირის – ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიმართ 30.06.1998 წლის იჯარა – გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ადმინისტრაციული საქმის და 2. იმავე მოსარჩელების სარჩელისა გამო იმავე მოპასუხების მიმართ შპს „...“ რეგისტრაციის გაუქმებისა და საწარმოს ხელახალი რეგისტრაციის თაობაზე აღძრული სამოქალაქო საქმის განხილვამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 11.01.2007 წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დ. ბ-ის, ს. ა-ის და ი. ჯ-ის სარჩელი შპს „...“ რეგისტრაციის გაუქმებისა და შესწორებული მონაცემებით რეგისტრაციით განხორციელების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.01.2011 წლის განჩინებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ ზემოდასახელებული 2 საქმიდან ერთის – დ. ბ-ის, ს. ა-ისა და ი. ჯ-ის სარჩელისა გამო შპს „...“ რეგისტრაციის გაუქმებისა და საწარმოს ხელახალი რეგისტრაციის თაობაზე აღძრული სამოქალაქო საქმის წარმოება დასრულებულია 11.01.2007 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ხოლო მეორე საქმეზე დ. ბ-ის, ს. ა-ისა და ი. ჯ-ის სარჩელისა გამო მოპასუხის ნ. ბ-ის და მესამე პირის – ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიმართ 30.06.1998 წ. იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, ადმინისტრაციული საქმის წარმოება არ დასრულებულა და კვლავ მიმდინარეობს. სასამართლომ აღნიშნული განჩინებით თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს უფლებამონაცვლედ საქმეში ჩააბა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; მესამე პირის – დ. ბ-ის უფლებამონაცვლედ კი მოწვეულ იქნენ ნ. პ-ა, ა. გ. და ფ. ბ-ები. ამავე განჩინებით განაჩლდა საქმის წარმოება და ერთ წარმოებად გაერთიანდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სარჩელის გამო მოპასუხე ნ. ბ-ის მიმართ საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის, საიჯარო ქირის დაკისრებისა და ნივთის მფლობელობიდან გამოთხოვის თაობაზე აღძრული ადმინისტრაციული საქმე და ა. ბ-ის, გ. ბ-ის, ფ. ბ-ის, ნ. პ-ას, ა. ა-ისა და ი. ჯ-ის სარჩელის გამო მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, მესამე პირის – ნ. ბ-ის მიმართ იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მიმდინარე ადმინისტრაციული საქმე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.03.11წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა; შეწყვეტილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და ნ. ბ-ის შორის 30.06.98წ. იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულება; ნ. ბ-ის მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა ქ. თბილისში, ... გამზ. №67-ში მდებარე ფოტო-სალონი ...-ის არასაცხოვრებელი ფართი; ი. ჯ-ს, ს. ა-ს, ნ. პ-ას, ა. გ. და ფ. ბ-ებს უარი ეთქვათ 30.06.98წ. დადებულ იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 361.2 მუხლზე და იხელმძღვანელა რა ამავე კოდექსის მე-400 მუხლით, გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ მოცემულ შემთხვევაში ნ. ბ-მა დათქმულ ვადაში არ შეასრულა ვალდებულება, შესაბამისად, მოსარჩელე უფლებამოსილი იყო მოეთხოვა მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების შეწყვეტა. ხელშეკრულების, მხარეთა შეთანხმებით ან ცალმხრივად შეწყვეტის შესაძლებლობას ითვალისწინებდა საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მე-6 თავში საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველად გათვალისწინებულია იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლა. სასამართლომ აღნიშნა, რომ თუკი ხელშეკრულების ვადის ამოწურვა იწვევს ხელშეკრულების მოქმედე-



ბის შეწყვეტას, ასეთი იურიდიული ფაქტის დადგომის შემდეგ, არსებობას წყვეტს იურიდიული მიზანი და შეწყვეტის შემდეგ განხორციელებული მოქმედებები აღარ მიიჩნევა ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მისი შესრულების მიზნის მისაღწევად შესრულებულ მოქმედებებად. ვადის დარღვევით განხორციელებული გადახდა აღარ ემსახურება ხელშეკრულების შესრულების მიზანს, რადგან ასეთი მიზანი, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო, გადახდის დროს, უკვე აღარ არსებობდა. სადავო ნივთზე მოპასუხის მიერ ფაქტობრივი ფლობის შენარჩუნება, საპრივატიზებო თანხისა და იჯარის ქირის დაგვიანებული გადახდა, არ წარმოშობს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელების შესაძლებლობას. ამასთან, მოსარჩელე უფლებამოსილია მოითხოვოს უკანონო მფლობელობიდან სადავო ნივთის გამოთხოვა, რადგან მოპასუხეს არ გააჩნია სადავო ფართის მართლზომიერად ფლობის რაიმე საფუძველი.

რაც შეეხება ი. ჯ-ის და სხვათა სასარჩელო მოთხოვნას, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მისი დაკმაყოფილების როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი საფუძველები, რადგან არ დადგინდა, რომ ნ. ბ-ი 30.06.98 წ. იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულების დადებისას მოსარჩელეთა მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებდა, თუმცა აღნიშნული რომც დადასტურებულიყო, ეს ფაქტორი მაინც არ წარმოადგენდა საფუძველს იმისათვის, რომ მომხდარიყო ხელშეკრულების მხარის – მოიჯარის ჩანაცვლება სხვა პირით, რადგან სადავო შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების დადებამდე ჩატარებული კონკურსის შინაარსს და შედეგებს. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-მა 30.06.98წ. იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზაციის ხელშეკრულების შეწყვეტილად ცნობის და ფართის მფლობელობიდან გამოთხოვის ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.06.11წ. განჩინებით ნ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.03.11წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები და დასკვნები, სასამართლომ ქ. თბილისის ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მთავარი ბუღალტრის 25.10.04წ. მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ბ-მა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევით გადაიხდა როგორც საპრივატიზაციო, ისე საიჯარო ქირა. სააპელაციო სასამართლოს მოთხოვნის მიუხედავად ნ. ბ-მა სასამართლოში ვერ წარადგინა 2000 და 2002 წლებში გადასახდელი თანხების დადგენილი პერიოდულობით გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. ბ-მა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დათქმულ ვადაში ვერ შეასრულა, რის გამოც, მოსარჩელე უფლებამოსილი იყო მოეთხოვა ხელშეკრულების შეწყვეტა. სააპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა მოსარჩელის მოთხოვნა სამოქალაქო კოდექსის 172.1 მუხლის შესაბამისად, კუთვნილი უძრავი ქონების გამოთხოვის შესახებ, რამდენადაც ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა 30.06.03წ. და ჩაითვალა შეწყვეტილად, რამაც სამართლებრივი საფუძველი გამოაცალა ნ. ბ-ის მიერ ქონების ფლობის უფლებას.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-მა. კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლოებმა მხედველობაში არ მიიღეს ის გარემოება, რომ ქონების გამოსასყიდი თანხა მან გადაიხდა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, მაგამ ბანკის ბრალეულობით, ვადაში ვერ დაფიქსირდა თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის ანგარიშზე, რაც გახდა იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.03.12წ. განჩინებით ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარის 07.05.1998 წ. №... ბრძანებით შეიქმნა ქ.თბილისში, ...გამზ. №67-ში მდებარე „...“ მიერ დაკავებული არასაცხოვრებელი ფართის საპრივატიზაციო კომისია, თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარის 12.05.1998 წ. №... ბრძანებით განისაზღვრა აღნიშნული ფართის საპრივატიზაციო ფასი და პრივატიზაციის ფორმა – კომერციული კონკურსი იჯარა-გამოსყიდვის ფორმით, 5 წლის ვადით. 16.06.1998 წ. ჩატარებულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო და გამარჯვებულად გამოცხადდა ნ. ბ-ი, ამ უკანასკნელსა და ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტს შორის

30.06.1998 წ. დაიდო იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულება. იჯარის ობიექტის საპრივატიზაციო ღირებულებამ შეადგინა 3450 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი, ხელშეკრულება დაიდო 5 წლის ვადით – 1998 წლის 30 ივნისიდან 2003 წლის 30 ივნისამდე. საიჯარო ქირად განისაზღვრა საპრივატიზაციო ღირებულების 10 % – 345 აშშ დოლარი, ხოლო გადახდის პერიოდად – ექვსთვიანი შუალედი. გადახდა უნდა განხორციელებულიყო წელიწადში ორჯერ, 6 თვეში ერთხელ, თანაბარწილად. ხელშეკრულების მიხედვით, მოიჯარე ვალდებული იყო ობიექტის საპრივატიზაციო ღირებულების 51 % დაეფარა 1999 წლის 30 ივნისამდე, ხოლო დარჩენილი თანხა – ყოველწლიურად, ქონების დარჩენილი ღირებულების თანაბარი ოდენობით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იჯარა-გამოსყიდვა ხელშეკრულების დადების მომენტში (30.06.1998 წ.) წარმოადგენდა პრივატიზების ერთ-ერთ ფორმას. პრივატიზება, თავის მხრივ, არის ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ ან მათი გაერთიანების მიერ სახელმწიფო ქონებაზე ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნა კანონით დადგენილი წესით. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება მისი დადების მომენტისათვის უკავშირდებოდა სამომავლო მოქმედებათა დროში ორგანიზებას და ითვალისწინებდა ვალდებულების შესრულებას დროის გარკვეულ შუალედში (05 წელი), ვალდებულების შესრულების შუალედური ვადების განსაზღვრით. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადა ესადაგება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არსებულ საჯარო კანონმდებლობის მოთხოვნებს, კერძოდ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 08.09.1997წ., 31.03.1999წ. ბრძანებებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზაციის შესახებ“ დებულებების ნორმებს. ზოგადად, ვადაში იგულისხმება დროის განსაზღვრული პერიოდი, რომელსაც კანონმდებლობა უკავშირებს გარკვეული იურიდიული შედეგის დადგომას. კონკრეტულად განსაზღვრული ვადა ემსახურება არამართო პირის დაცვას გაჭიანურებული შესრულებისგან, არამედ სამართალურთიერთობის დროში ზუსტად განსაზღვრას. განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებს მისი მოქმედების დასრულების კონკრეტულ თარიღს, შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების ვადა აღმკვეთი ხასიათისაა. აღმკვეთი ვადა თავის მხრივ სპობს უფლებამოვალეობას, რადგან ამ ვადის ამონუჯვასთან ერთად ილევა მხარეთა უფლება-მოვალეობის შესრულების ვადა. განსახილველ შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლით, ხელშეკრულების მოქმედება თავისთავად შეწყვეტილია, აღნიშნული სამართლებრივი შედეგი გათვალისწინებული იყო იჯარა – გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულების 6.3 პუნქტითაც. შესაბამისად, სასამართლოს მიერ ხელშეკრულების შეწყვეტილად ცნობის გარეშეც, იგი 2003 წლის 30 ივნისიდან თავისთავად შეწყვეტილია. ამდენად, მოსარჩელის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს იურიდიული ინტერესი იჯარა – გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულების შეწყვეტილად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან მიმართებით არ იკვეთება.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ვალდებულების ჯეროვანი შესრულება გულისხმობს მოვალის მიერ იმ მოთხოვნათა განუხრეველ დაცვას, რომელიც დაკავშირებულია შესრულების საგანთან. ხელშეკრულების მხარის მიერ ვალდებულების შესრულების ვადა გადაცილებულია, თუ მოვალე საკუთარი ბრალით არ შეასრულებს თავის ვალდებულებას სათანადო დროს. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის მე-400 და 401-ე მუხლების დისპოზიციებიდან გამომდინარე, უმთავრესი საკითხები, რაც მოვალის მიერ ვადის გადაცილებაზე მსჯელობისას უნდა დადგინდეს, არის ის, თუ ფორმალურად რამდენად მოხდა ვალდებულების შესრულებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევა და რამდენად იყო ეს დარღვევა ბრალეული. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის გადაცილება დაადგინა ხსენებულ პირობებზე მსჯელობის გარეშე. სააპელაციო პალატას არ დაუდგენია ის, თუ როდის მოხდა ვალდებულების შესრულების მიზნით ბოლო გადარიცხვა, ანუ კონკრეტულად რა მომენტში ჩაითვალა საპრივატიზაციო თანხა და საიჯარო ქირა სრულად დაფარულად (მათ სრულად გადახდას არც ერთი მხარე სადავოდ არ ხდის). შესაბამისად, დაუდგენელი დარჩა ის ფაქტობრივი გარემოებაც, მოხდა თუ არა ფორმალურად შესრულების ვადის გადაცილება. მოპასუხემ არაერთხელ აღნიშნა, რომ მან თანხის გადახდა დროულად – 30.06.03 წ. მოახდინა, თუმცა ბანკის მიერ საბანკო ოპერაციის დაგვიანებით შესრულების შედეგად თანხის ჩარიცხვა ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის ანგარიშზე რამოდენიმე დღის (3) დაგვიანებით მოხდა. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება უდავოდ დადგენილად ცნო, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლომ (16.03.2011 წ. გადაწყვეტილების 3.1.3. პუნქტი), ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლომაც (02.06.2011 წ. განჩინების, 4.4. პუნქტი), თუმცა სასამართლოს არ მიუცია დადგენილი გარემოებისთვის სამართლებრივი შეფასება.

გაურკვეველი დარჩა აგრეთვე ის, თუ რა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას ჰქონდა ადგილი, კერძოდ რა იქნა გადახდილი მოპასუხის მიერ დაგვიანებით – საიჯარო ქირა თუ უძრავი ქონების გამოსასყიდი თანხა, რამდენს შეადგენდა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის დროისათვის ქონების გამოსყიდვის დაუფარავი თანხა და საიჯარო ქირის გადაუხდელი თანხა.

სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა მოპასუხის მიერ საჯარიმო სანქციების გადახდის საფუძვლებსა და თანამდევ სამართლებრივ შედეგებზე. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არსებული 08.09.1997 წ. სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის №548 ბრძანების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შუალედურ ვადებში პირობათა შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში „მოიჯარე“ იღებდა გაფრთხილებას წერილობითი სახით და ჯარიმდებოდა

დარჩენილი გადაუხდელი საიჯარო თანხის და ქირის 10%-ით. ანალოგიურ რეგულაციას ითვალისწინებდა აგრეთვე სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 31.03.1999 წ. №152 ბრძანების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის №1-1/1244 ბრძანების მიღებამდე მოქმედებდა. განსახილველ დავაში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს ის, რომ 19.10.2004 წ. ნ. ბ-მა გადაიხადა ჯარიმა – 629,63 ლარი, ანუ 345 აშშ დოლარი – საპრივატიზაციო თანხის 10%, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი საჯარიმო სანქციის დაკისრების საფუძველი – გაფრთხილება, აქტი დაჯარიმების შესახებ. ამდენად, სააპელაციო პალატას არ გაურკვევია თუ რით იყო განპირობებული მოპასუხის მიერ ჯარიმის გადახდა – საკუთარი ინიციატივით თუ მოსარჩელის მიერ წარდგენილი შესაბამისი წერილობითი გაფრთხილებით, აქტით დაჯარიმების შესახებ. პალატას არ უმსჯელია თუ რა სამართლებრივი შედეგი შეეძლო გამოენვია ან გამოიწვია აღნიშნულმა.

სააპელაციო სასამართლომ ისე დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ, რომ არ დაუდგენია სადავო უძრავი ნივთის მოპასუხე ნ. ბ-ის მფლობელობაში ყოფნის ფაქტი. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანია, რადგან სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლიდან გამომდინარე, ვინდუკაციური სარჩელის დაკმაყოფილების აუცილებელ წინაპირობას ნივთის უკანონო მფლობელობაში არსებობა წარმოადგენს. მოპასუხე ნ. ბ-ი უარყოფს ობიექტის ფლობას, ამასთანავე, მის სახელზე არ გაცემულა ობიექტზე – არასაცხოვრებელ ფართზე საკუთრების მონაწილეობა. შესაბამისად, გაურკვეველია თუ რით ირღვევა ის სამართლებრივი სიკეთე (მოცემულ შემთხვევაში მესაკუთრის მიერ ნივთის ფლობის უფლება), რომლის დაცვასაც მოსარჩელე – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მოითხოვს.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის გარემოებები სრულად არის გამოკვლეული და სამართლებრივად სწორადაა შეფასებული, რის გამოც იგი უცვლელად იქნა დატოვებული. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარის უფლება სასამართლო განხილვაზე გულისხმობს არა მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. უკანასკნელი მოთხოვნა განპირობებულია მხარის ინტერესით იცოდეს სახელმწიფოს სახელით გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველები და მოტივაცია. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეზე არ არის სათანადოდ გამოკვლეული სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები, დაზუსტებას მოითხოვს სასარჩელო მოთხოვნები, ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არსებობს სსკ 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისთვის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

#### დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 02.06.2011 წ. განჩინება და საქმე ხალახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.